პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 8 ივნისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 128 (1873)

## დღიური

— რუმინეთში შესდგა ახალი მთავრობა.
— ელსნიცის (პრუსიაში) ქალაქის თავად აირჩიეს კომუნისტი ბახმანი.
— ბერლინში გაიმართა შანხაის ამბების მოსაგონარი საღამო.
— ტიან-ცზინში (ჩინეთი) ჩავიდა [illegible]
— სან-ში-ის პროვინციის მმართველი შეუერთდა გომინდანს.
— საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება საბჭოთა კომერციულ აგენტების შესახებ.

10 ივნისს, საღამოს 6 საათზე
საქართველოს სახკომსაბჭოს წითელ დარბაზში შესდგება
**საქ. კომპარტიის (ბ) ცკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის**
**მორიგი პლენუმი**
საქართველოს კომპარტიის (ბ) სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნებთან ერთად.
საქ. კომპარტიის (ბ) ცკას მდივანი ლ. **ქართველიშვილი.**
საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის
თავმჯდომარე ა. **დოლიძე.**

**ა.-კ. ცაკის მეოთხე მოწვევის სესია**
გაიხსნება დღეს, 8 ივნისს, საღამოს 7 საათზე სასახლის წითელ დარბაზში
ა.-კ. ცაკის მდივანი **შავერდოვი**

14 ივნისს, სასახლის წითელ დარბაზში მოწვეულია
მეოთხე მოწვევის სრულიად საქართველოს
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
**მეორე სესია**
საქ. ცაკის მდივანი შ. **მათიკაშვილი.**

# მერყევი წონასწორობა

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ იქმნება მერყევი საერთაშორისო მდგომარეობა. ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, კონსერვატიულ რეაქციის ქვეყანასა და სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას შორის არსებული წინააღმდეგობანი, რომელიც ხან ფარულად და ხან აშკარად იჩენდა თავს, ეხლა გამწვავებული და უმაღლეს ხარისხამდეა ასული. თვითეულ დღეს შეუძლია მოიტანოს ახალი საბედისწერო მოულოდნელი ამბავი. კონფლიქტი ვითარდება აღმოსავლეთში ანთებული ცეცხლის ფონზე, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობის წინააღმდეგობას. სიბეცე და პაციფისტური თავდავიწყება იქნებოდა გვეფიქრა, რომ ომის საფრთხე „გაფანტულია", რომ ინგლისი არ ამზადებს დაჩქარებით ჩვენზე თავდასხმას. ომის საფრთხე და მახრჩობელი ატმოსფერა ქუხილის წინ ისევ თავს დასტრიალებს მსოფლიოს და, უწინარეს ყოვლისა, მუშათა და გლეხთა ქვეყანას.

მდგომარეობა ისევ განსაკუთრებულად მერყევია, თუმცა ბევრია ისეთი ადამიანები, რომელნიც ირწმუნებიან, რომ „არაფერი განსაკუთრებული" ქვეყანაზე არ მომხდარა, რომ არავითარი, სულ მკრთალი ჩრდილიც კი, არ მისდგომია „მშვიდობიანობის ანგელოზს" და რომ ომის რეალური საფრთხე არ არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობის გამწვავების დაფარვა და ომის საფრთხისაგან მასების ყურადღების მოშორების ცდა ორი მხრიდან მომდინარეობს.

ერთის მხრივ ამას სჩადის „პაციფისტური" საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია. ბატონი ჰილფერდინგები გერმანიის სოციალ-დემოკრატიის კილის ყრილობაზე ხატავენ „მოწესრიგებულ კაპიტალიზმის" სურათს მომავალში, იმის ნაცვლად, რომ სიმართლე უთხრან მასებს, თუ რას აპირობენ ინგლისის კონსერვატორები. სხვადასხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ხან ჩუმ-ჩუმად, ხან აშკარად მუშაობენ. კაპიტალისტურ სამხედრო შტაბებში, გაიძახიან, რომ „განგაში" ომის შესახებ კომუნისტების მიერაა მოგონილი. ამ საქმეში სოციალ-დემოკრატიის ბევრი ოფიციალური ლიდერები ხელს უწყობენ კონსერვატიულ ცეცხლისწამკიდებლებს. ათეთრებენ მათ შავ საქმეებს, სიმართლეს უმალავენ მასებს და აცხადებენ სამარცხვინო „ნეიტრალიტეტს" პროლეტარულ საბჭოთა კავშირსა და კონსერვატიულ ფაშისტ ჯოინსონ ხიკს შორის მომხდარ კონფლიქტში.

მეორე მხრივ, არსებული მდგომარეობის დამახინჯებას არ დაერიდება ის, ვინც ომის დემონს ეთამაშება. ჩერჩილებისა და ჩემბერლენებისათვის, რა თქმა უნდა, უფრო ხელსაყრელია მოკავშირეების ჩუმად ძებნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამავე დროს გაიძვერულად მტკიცება, რომ არავითარ ანტისაბჭოთა ბლოკს ისინი არ აწყობენ და რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლა არის მხოლოდ კერძო „ეპიზოდი", რომელიც მხოლოდ ამ ქვეყნებს ეხება.

მთელი მსოფლიოს მუშებმა და გლეხებმა არც ერთი წუთით არ უნდა დაიჯერონ მტრების „კეთილი" განზრახვები. ჩემბერლენს სურს მდგომარეობის გამწვავება და არა შემსუბუქება,—მშრომელმა მასებმა ამას უნდა გაუწიონ ანგარიში.

რომ მდგომარეობა მერყევია და ატმოსფერა დაჭიმულია უკიდურესობამდე, ამას ამტკიცებს მრავალი ნიშანი, მრავალი ფაქტი არა მარტო კომუნისტური, არამედ სხვა წყაროებიდან. თითქმის მთელი მსოფლიო პრესა აღიარებს ინგლის-საბჭოთა კავშირის ანტაგონიზმის არაჩვეულებრივ გამწვავებას. ყველა ფიქრობს, რომ ანტაგონიზმი, აზიაში დაწყებულ რევოლიუციასთან ერთად, წარმოადგენს მთელი მსოფლიო პოლიტიკის ანტაგონიზმების „საფუძველთა საფუძველს". საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებს საზიზღარი კამპანია. კომინტერნის წინააღმდეგ ასტყდა გააფთრებული განგაში. კომინტერნის აღმასკომის მოწოდება ომის საშიშროების შესახებ გაუგონარ აურ-ზაურს იწვევს ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ პრესაში. ფაშისტური პარტია ამზადებს საპასუხო დეკლარაციას ლენინის ინტერნაციონალის მოწოდებაზე. დიდი ხანია მსოფლიო არ ყოფილა ასეთი ველური სისინის მოწმე, როგორც ეხლა.

რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტა კარდინალურად სთვლის საერთაშორისო მდგომარეობას, ძირიან-ფესვიანად აუარესებს ევროპის მშვიდობიანობის საქმეს, ეს ესმით ლიბერალურ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, როგორიცაა ლოიდ-ჯორჯი. ლოიდ-ჯორჯი ამტკიცებს, რომ „ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება საერთაშორისო პოლიტიკის დარგში, როგორც სჩანს. წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია ომის შემდეგი დროის ხანაში". შემდეგ. ინგლისის მთავრობის ამ გადაწყვეტილების ლოღიკურად გამგრძელებელ ნაბიჯად ლოიდ-ჯორჯი სთვლის ომის დაწყებას.

იტალიის ჟურნალისტი ფერრარო „ნეიე ფრეიე პრესსე"-ში წერს, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის ფარულ საფუძველს წარმოადგენს „ომი აზიისათვის", რომელმაც უმაღლეს წერტილს მიაღწია ჩინეთის რევოლიუციის განვითარების გამო. ნამდვილად საქმე, ფერრაროს აზრის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, „აზიისათვის ბრძოლაში" კი არ არის, როგორც ეს იმას ესმის. წინააღმდეგ ცილისწამების კამპანიისა „საბჭოთა ინტრიგების შესახებ", ჩინეთში არ მოიპოვება არც ერთი საბჭოთა ჯარისკაცი, არც ერთი წითელარმიელი, მაშინ, როდესაც თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იმპერიალიზმის დაქირავებული ჯარები აშკარად ეხმარებიან და კიდეც მეთაურობენ ჩინეთის კონტრ-რევოლიუციას. ფერრარო, თქვენ ალბათ „გეძინათ". აზია ეხლა არა „ობიექტია", როგორც წინად, არამედ იგი ეხლა ხდება ისტორიის სუბიექტად და აქტიური დასაწყისად. აზიისათვის ბრძოლა კი არ წარმოებს, არამედ აზიის რევოლიუციონური ხალხების ბრძოლა ფინანსიური კაპიტალის წინააღმდეგ. მსოფლიო ამბების ლოღიკა ამჭიდროებს ერთ რევოლიუციონურ ფრონტში ჩინეთს და საბჭოთა კავშირს მსოფლიო რეაქციის ფრონტის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ ფრონტს ინგლისის დიპლომატია გაფაციცებით აწყობს. გერმანიის ბურჟუაზიული პროფესორი ხეტჩი სავსებით მართალია, როდესაც ჩემბერლენის დიპლომატიის დღევანდელი მოქმედების ძირითადად ხაზს ახასიათებს, როგორც „მოკავშირეების ძებნას". მისი სიტყვით, ინგლისის დიპლომატია გამოდის სამარ კონფლიქტების დამწყების როლში. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის და ურთიერთობის გაწყვეტის ზღაპრული დასაბუთებით მან პირდაპირ თავი შეირცხვინა. დამახასიათებელია, რომ ინგლისის კონსერვატიულმა პრესამ ვერ მოახერხა რაიმე დაპირდაპირება ამხ. რიკოვის მიერ მოსკოვის საბჭოს პლენუმზე წარმოდგენილ ფაქტების და დოკუმენტების საქმიანი განხილვისათვის. ინგლისის პრესამ მოიყვანა ადგილები ამხ. რიკოვის სიტყვიდან უკომენტარიოდ, რადგან მისთვის ძნელი იყო საქმიანი კონტრ-არგუმენტაციის წარმოდგენა და მას არაფრის თქმა არ შეეძლო. განხეთქილების ბურჟუაზიული მოწინააღმდეგენიც კი თვით ინგლისში სავსებით კმაყოფილი არ არიან მისი უშუალო შედეგებით და პერსპექტივებით. ლოიდ-ჯორჯი აფრთხილებს ინგლისის „საზოგადოებრივ აზრს", რომ ინგლისის მეტოქეები მშვენივრად სარგებლობენ ინგლისის მეფის მთავრობის „აჩქარებულ და მოუფიქრებელ" (ჩვენ დაუმატებთ, დანაშაულებრივ) ნაბიჯის ნაყოფით. ინგლისის კონსერვატორები ქმნიან დაბრკოლებას თვით ინგლისის მეურნეობისათვის, აწყობენ სისხლისმღვრელ ინტრიგას მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის წინააღმდეგ და აყენებენ კაცობრიობას სამარი საფრთხის რეჟიმის ქვეშ. ამით ისინი ამწვავებენ მდგომარეობას და არყევენ ევროპის ისედაც მერყევ წონასწორობას. კონსერვატორების პოლიტიკა აურაცხელ უბედურებას ჰქმნის ხალხებისათვის. მაგრამ ეს პოლიტიკა იწვევს და კიდევ უფრო მეტად გამოიწვევს მასების უკმაყოფილებას. კონსერვატიულ ხროვას კიდევ მოუხდება ანგარიშის გაწევა მასების პროტესტისათვის, რომელიც იზრდება. ამ პროტესტზე მოიტეხავს მის კისერს, რადგან ომის სტიქიის განვითარება დღევანდელ პირობებში ნიშნავს რევოლიუციის განვითარებას.

„პრავდა".

მოსკოვი, 7 ივნისი.

# რევოლიუციონურ ფრონტელების აღლუმი ბერლინში

## აღლუმში მონაწილეობა მიიღო ნახევარ მილიონზე მეტმა ხალხმა

### „მსოფლიო მუშათა კლასის ბედ-იღბალი განუწყვეტლად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან"

## ჩეხო-სლოვაკიის მუშები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

### გერმანიის პოლიტიკურ წრეებში იზრდება უკმაყოფილება საფრანგეთ-ინგლისით რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხის გამო

## წითელ ფრონტელების აღლუმი

### აღლუმში მონაწილეობა მიიღო 500 ათასმა კაცმა.

**ბერლინი,** 6 ივნისი. წითელი ფრონტელების აღლუმის დროს მიტინგზე შილერ-პარკში ტელმანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ფრონტელების წითელი კავშირის საერთო-საქალაქო შემოწმება მძლავრი შესავალია გადამჭრელი ბრძოლისა იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ და რუსეთის და ჩინეთის რევოლიუციების დასაცავად ყოველგვარი საშუალებით.

ასეთივე სიტყვები წარმოსთქვეს დანარჩენმა ორატორებმა. ორატორების სიტყვების დამთავრების შემდეგ, შეგროვილმა ხალხმა მიიღო ფრონტელების წითელი კავშირის ფიცი: „არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ მსოფლიო იმპერიალიზმი ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რომ მუშათა კლასის ბედი მთელ მსოფლიოში განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან. ყოველთვის შევასრულებთ რევოლიუციონურ მოვალეობას მუშათა კლასისა და სოციალიზმის მიმართ, ყოველთვის ვიქნებით რევოლიუციის ჯარისკაცები, ყველა პროლეტარულ ორგანიზაციებში ვიქნებით შეურიგებელი კლასიურ ბრძოლის პიონერები, ფრონტზე იმპერიალიზმის არმიებში ვიმუშავებთ მხოლოდ რევოლიუციისათვის, ვაწარმოებთ რევოლიუციონურ ბრძოლას გერმანიის ბურჟუაზიის კლასიურ ბატონობის დასამხობად, ყოველგვარ საშუალებით დავიცავთ რუსეთის და ჩინეთის რევოლიუციებს და ყოველთვის ვიბრძოლებთ საბჭოთა კავშირისა და ძლევა-მოსილი მსოფლიო რევოლიუციისათვის".

დაბოლოს, ფრონტელების წითელ კავშირს გადასცეს საბჭოთა ორი და ერთი გომინდანის დროშა, რის შემდეგ გრანდიოზული მიტინგი დაიხურა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

წითელი ფრონტელების კავშირის წევრთა რიცხვი, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ მიტინგში, 120.000-მდე აღწევდა.

შილერ-პარკში გამართულ მიტინგზე დამსწრეთა საერთო რიცხვი 300.000-მდე აღწევდა. შესაკრებ პუნქტებში მყოფ მასებთან ერთად, აღლუმში მონაწილეობა მიიღო 500.000 კაცმა. (ადს).

## საბჭოთა კავშირის ცნობისათვის

**პრაღა,** 6 ივნისი. ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ეროვნულ-სოციალისტმა ბენეშმა მიიღო იმ მელიტონე—მუშათა დელეგაცია, რომელნიც ეროვნულ-სოციალისტურ პარტიაში შედიან. დელეგაციამ მოითხოვა საბჭოთა კავშირის ცნობა ჩეხო-სლოვაკიის მიერ. ბენეშმა გაურკვეველი პასუხი გასცა და განაცხადა, რომ „ეს ცნობა ხელსაყრელ მომენტში მოხდება".

ეროვნულ-დემოკრატიული პრესა ილაშქრებს ბენეშის წინააღმდეგ მისი დაპირების გამო და აცხადებს, რომ საერთაშორისო მდგომარეობა საბჭოთა კავშირის მიმართ მოითხოვს მტრული პოლიტიკის და არა მეგობრული პოლიტიკის წარმოებას. (ადს).

## საბერძნეთ-საბჭოთა ურთიერთობა

### მორიგი პროვოკაცია

**ათინა,** 6 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა საბერძნეთის გაზეთებს გადასცა შემდეგი განცხადება:

„საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს კატეგორიულად უარყოს სალონიკიდან გამომდინარე ცნობა, რომელიც გამოაქვეყნა გაზეთ „პროია"-მ და რომელიც სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდეს.

ეს ცნობა ამტკიცებს, რომ თითქოს საბჭოთა კავშირის სავაჭრო სააგენტოს წილი უდევს მაკედონიის მუშათა მოძრაობის განვითარებაში. უნდა მოგაგონოთ, რომ ამ მოკლე ხნის წინ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამ საკითხის შესახებ მისცა საბერძნეთის მთავრობას დამაკმაყოფილებელი გარანტიები.

დასახელებული ცნობა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული სიცრუეა და გამომდინარეობს საეჭვო წყაროდან; მისი მიზანია ცუდი ატმოსფერა შექმნას საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების გარშემო და გააძნელოს მათ შორის სადავო საკითხების მოწესრიგება". (ადს).

### გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობა

**ათინა,** 6 ივნისი. ათინის პრესაში გამოქვეყნებულია გარეშე საქმეთა სამინისტროს შემდეგი ცნობა:

„პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება კომუნისტურ მოძრაობას სალონიკში და ამ მოძრაობაში საბჭოთა კომერციულ აგენტების მონაწილეობას, **გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მიღებული ოფიციალური ცნობები არავითარ საბუთს არ გვაძლევს ვილაპარაკოთ ამჟამად ამ ფაქტის არსებობაზე".** (ადს).

## ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ

### ინგლისი ზარალობს.

**მოსკოვი,** 7 ივნისი. უკანასკნელ ხანებში ინგლისის ტონაჟი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საბჭოთა კავშირის საექსპორტო-საიმპორტო გადაზიდვაში.

ეხლა, ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტის გამო, შესწყდება ინგლისის ტონაჟის ფრახტი. **ამგვარად, ურთიერთობის შეწყვეტა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, ფრახტის საქმის დარგში ნიშნავს იმას, რომ ინგლისის გემების პატრონები დიდ სამუშაოს დაჰკარგავენ ჩვენი საიმპორტო-საექსპორტო საქონლის გადაზიდვაში.**

ლონდონის საფრახტო კანტორის დახურვის გამო, ჩვენი საფრახტო მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნება ხმელეთზე. სათანადო დირექტივები უკვე გაეგზავნა საბჭოთა საფრახტო კანტორებს გერმანიაში, იტალიაში და საბერძნეთში. (ადს).

## შეღავათები წითელარმიელთა ოჯახებს

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა ჩაატარა გამოკვლევა, თუ რამდენად გაატარეს ცხოვრებაში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა კანონები სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათისა და უპირატესობის მინიჭების შესახებ. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ეს კანონები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ წითელი არმიის აღმშენებლობის საქმეში, არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება. ამის მიზეზია. პირველი, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა, ისე თვით წითელარმიელთა ოჯახების წევრებმა არ იციან, თუ როგორი შეღავათებით და უპირატესობით სარგებლობენ ეს უკანასკნელნი არსებული კანონის თანახმად; მეორე—ხელისუფლების ორგანოები არ აქცევენ ყურადღებას ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას და, დაბოლოს, ზოგიერთ შემთხვევაში არ არსებობს ნივთიერი შესაძლებლობა.

ჯერ კიდევ 1925 წელში გამოცემულ იქნა და ადგილებს დაეგზავნა კანონების კოდექსი სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახებისათვის შეღავათებისა და უპირატესობათა მინიჭების შესახებ. სათემო აღმასკომების წევრები და წითელარმიელთა ოჯახების წევრები ხშირად აცხადებენ, რომ მათ არ იცოდენ, რომ არსებობს კანონი შეღავათების შესახებ. ცხოვრებაში არ ტარდება ისეთი მნიშვნელოვანი შეღავათები წითელარმიელთა ოჯახების წევრებისათვის, როგორც სახელმწიფო საგანაკვეთო დაზღვევის, ტყით სარგებლობის, ჯანმრთელობის, ხანდახან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სხვ. დარგში.

წითელარმიელები სწავლობენ კანონების კოდექსს სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახებისათვის შეღავათების და უპირატესობათა შესახებ და ისინი მშობელთა წერილებიდან ან სახლში დაბრუნების შემდეგ იგებენ, რომ მათი ოჯახები არ სარგებლობენ კანონით გათვალისწინებული შეღავათებით. პოლიტორგანოების მიმართვა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისადმი ამ კანონის დარღვევის შესახებ სრულიად უყურადღებოდ რჩება.

მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში წითელარმიელთა ოჯახებს უწევენ ცოტაოდენ დახმარებას და აძლევენ შეღავათებს, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს დახმარება და შეღავათი ეძლევა მხოლოდ უღარიბეს ნაწილს საერთო საფუძველზე.

მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კანონი წითელარმიელთა ოჯახების წევრთათვის შეღავათის მიცემის შესახებ შეურყევლად გატარდეს ცხოვრებაში. ყოველი წითელარმიელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი ოჯახი სარგებლობს კანონით დაწესებული ყველა შეღავათებით. თუ იგი ამაში არ იქნა დარწმუნებული, ეს უსათუოდ იქონიებს უარყოფით გავლენას ჩვენი არმიის პოლიტიკურ-მორალურ მდგომარეობაზე.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა მოხსენება სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათებისა და უპირატესობის მინიჭების კანონის ცხოვრებაში გატარების შედეგების შესახებ, თავისი დადგენილებით მისცა წინადადება ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, რომ მიიღონ მთელი რიგი ღონისძიებათა კანონის ცხოვრებაში გატარების გაუმჯობესებისათვის.

პირველი პირობა ამა თუ იმ კანონის ცხოვრებაში გატარებისათვის არის ის, რომ ეს კანონი იცოდენ ხელისუფლების იმ ორგანოებმა, რომელნიც მას ატარებენ ცხოვრებაში. ამ მიზნით და აგრეთვე იმისათვის, რომ მოსახლეობის ფართო ფენები გაეცნონ იმ შეღავათებსა და უპირატესობებს, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება ანიჭებს წითელარმიელთა ოჯახებს, უნდა ჩატარდეს ამ საკითხების ახსნა-განმარტების კამპანია პრესაში, განსაკუთრებით გაზ. „ახალი სოფელი"-ს საშუალებით. გარდა ამისა, აუცილებელია ხელახლად გამოიცეს კანონთა კოდექსი შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ; ამასთანავე, ამ გამოცემას თან უნდა დაერთოს ახსნა-განმარტებანი გასაგებ, პოპულიარულ ენაზე.

ავტონომიური ერთეულების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტებმა მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ სათემო საბჭოებმა და აღმასკომებმა შეისწავლონ კოდექსი წითელარმიელთა ოჯახებისათვის შეღავათებისა და უპირატესობათა მინიჭების შესახებ და შეურყევლად გაატარონ იგი ცხოვრებაში.

სათანადო ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა გამოსცენ დაწვრილებითი ინსტრუქციები კოდექსის სათანადო მუხლების შესახებ და ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი მათ განხორციელებას ადგილებზე.

გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებმა უნდა გააძლიერონ ნივთიერი დახმარების აღმოჩენა წითელარმიელთა ღარიბი ოჯახებისათვის, განსაკუთრებით იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის, რომელნიც ოჯახის ერთად-ერთი მარჩენალი იყვნენ.

გარდა ამისა, ცაკის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ხელისუფლების ყველა ადგილობრივ ორგანოებს, რომ ყურადღებით მოეკიდონ იმ მოთხოვნილებებს და მიმართვებს, რომლებსაც მათ უგზავნიან არმიის ნაწილების პოლიტორგანოები.

საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას.

აუცილებელია საბჭოთა ხელისუფლების ყველა მუშაკებმა შეიგნონ, რომ წითელარმიელთა ოჯახებისათვის შეღავათებისა და უპირატესობათა მინიჭების კანონის სისწორით გატარება ცხოვრებაში ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერების განსამტკიცებლად.

შ. მათიკაშვილი.

## ჩინეთის ამბები

### პეკინის ციხეში

**პეკინი,** 6 ივნისი. ქლქით დაავადებული მოროზოვი (საბჭოთა მოქალაქე), რომელიც დაპატიმრებულია, პეკინში მოთავსებულია საავადმყოფოში, სადაც იმყოფება პოლიციელების მეთვალყურეობის ქვეშ. მოროზოვის მდგომარეობა მძიმეა.

მოროზოვს ნებადართული აქვს ცოლთან შეხვედრა პოლიციის მოხელეს და თარჯიმანის თანდასწრებით. დანარჩენ დაპატიმრებულებს ნებადართული აქვთ ნათესავებთან შეხვედრა კვირაში ორჯერ.

გემის „ლენინის ხსოვნას" მატროსების შესახებ არაფერი არ ისმის მათ მიერ სიმშილობის გამოცხადების შემდეგ.

### იაპონიის პოზიცია

**პეკინი,** 6 ივნისი. „ტოხოს" სააგენტოს ცნობით იაპონიის მთავრობა წინააღმდეგია პეკინის ზოგიერთ დიპლომატიურ წრეების მიერ წამოყენებული პროექტისა მუკდენელებისა და ნანკინის მთავრობებს შორის შუამავლობის შესახებ.

„იაპონიის მთავრობა—ნათქვამაა სააგენტოს ცნობაში,—ფიქრობს, რომ ასეთი შუამავლობა იქნება სამხრეთელების საქმეში ჩარევა". (ადს).

### ენ-სი-შანის შეერთება გომინდანთან

**პეკინი,** 6 ივნისი. „გოვენის სააგენტოს ცნობით, შან-სის პროვინციის მმართველი ენ-სი-შანი საბოლოოდ შეუერთდა გომინდანს. ენ-სი-შანმა უბრძანა ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს ჩამოხსნან ხუთფერი დროშები და აღმართონ გომინდანის დროშა. ამავე დროს ენ-სი-შანმა გამოაცხადა, რომ სუი-იუ-ანის და შან-სის არმიებს სახელად ეწოდებათ ეროვნულ-რევოლიუციონური არმიები. (ადს).

### ტერორი

**პეკინი,** 6 ივნისი. „გოვენის სააგენტოს ცნობით, მოჰკლეს მუკდენის სამხედრო აკადემიის უფროსი ჩუ-ჩიო-იანი. სააგენტოს ცნობით, მისი მკვლელი არის მარინის მმართველის ჩჟან-ძო-სიანის ძმა. (ადს).

### რედაქტორის დაპატიმრება

**პეკინი,** 6 ივნისი. 1 ივნისს დაპატიმრებული გაზ. „იში-ბაოს" რედაქტორი ჯერ ისევ ციხეშია. ჩინეთის ჟურნალისტებმა აღძრეს შუამდგომლობა რედაქტორის თავდების ქვეშ გამოშვების შესახებ. (ადს).

### ლედებური ჩან-კაი-შის შესახებ

**ბერლინი,** 6 ივნისი. გომინდანის ბერლინის სექციამ 1925 წ. 30 მაისში შანხაიში მომხდარი ამბების აღსანიშნავად მოაწყო სალამო. გომინდანისა და გერმანიაში მყოფ ჩინელ სტუდენტთა კავშირის წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენებანი თანამედროვე მდგომარეობის და ჩან-კაი-შის გამცემლობის შესახებ.

გომინდანის ბერლინის სექციიდან გამორიცხულმა ჩან-კაი-შის მომხრეებმა მოაწყვეს ჟურნალისტების მიღება. მიღებაზე გაკეთებულ იქნა ორი მოხსენება, რომელშიაც ჩან-კაი-შის მომხრენი სცდილობდენ ჩან-კაი-შის მოქმედების გამართლებას, განსაკუთრებით მუშათა და პროფკავშირების მოღვაწეთა დახვრეტის გამართლებას.

მიღებას დაესწრო **ლედებური** (მემარცხენე სოციალ-დემოკრატი), რომელმაც მისცა შეკითხვა: ადასტურებენ თუ არა ჩან-კაი-შის ბერლინელი მომხრეები ჩან-კაი-შის მიერ მოხდენილ დახვრეტას? დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, **ლედებურმა განაცხადა, რომ ჩან-კაი-ში ჯალათია, რომელიც ჟლეტს მუშებს და რომ მას, ლედებურს, არასოდეს არ ექნება არაფერი საერთო იმ მოძრაობასთან, რომელსაც ასეთი ბელადი მეთაურობს.** (ადს).

### რეაქცია ემზადება.

**შანხაი,** 6 ივნისი. „ჩაინა პრესი" იუწყება, რომ **გუანდუნის და ხენანის პროვინციის საზღვრებზე აგროვებენ ჯარებს იმ მიზნით, რომ თავს დაესხან „რევოლიუციის ბუდეს უხანში".** (ადს).

## ერთა ლიგის არ სჯერათ

**ბერლინი,** 6 ივნისი. **გერმანიის პოლიტიკურ წრეებში მცირე იმედებს ამყარებენ იმაზე, რომ ერთა ლიგის საბჭოს მომავალ სესიის შედეგად მოჰყვება გერმანიის მოთხოვნილებათა თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილება რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხში.**

**საფრანგეთის და ინგლისის პრესის განცხადებათა მიხედვით, ინგლისს და საფრანგეთს არ აქვთ განზრახვა რაიმე დათმობაზე წავიდენ.**

გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ შტრეზემანის მოლაპარაკება ჩემბერლენთან და ბრიანთან ჟენევაში მნიშვნელოვან შედეგებს არ გამოიწვევს გერმანიისათვის საინტერესო საკითხების გადაწყვეტაში. (ადს).

## რუმინეთის ახალი მთავრობა

**ვენა,** 6 ივნისი. ავერესკუ მიიღო მეფემ, რომელსაც მან მოხსენება უნდა გაუკეთოს იმ მოლაპარაკების შედეგების შესახებ, რომელიც სწარმოებდა კოალიციური კაბინეტის შედგენისათვის.

მოხსენების შემდეგ გაიმართა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც გამოცხადდა სასახლის მინისტრი და ავერესკუს ხელის მოსაწერად გადასცა მეფის დეკრეტი, რომლის მიხედვითაც **ახალი კაბინეტის შედგენა მიენდობა თავად სტირბეის.**

ავერესკუმ სასახლის მინისტრს მისცა თხოვნა გადადგომის შესახებ.

**იუწყებიან, რომ სტირბეის კაბინეთში შევლენ ლიბერალები, გლეხთა ეროვნული პარტია, იორგის ჯგუფი და ალბად, ლუპეს ჯგუფი.** კაბინეტში მონაწილეობას არ მიიღებს ავერესკუს პარტია და აგრეთვე ფაშისტური პარტია, რომელსაც მეთაურობს **კუზი.**

ფიქრობენ, რომ მთავრობის კრიზისის გამო დათხოვნილი იქნება პარლამენტი და დაინიშნება ახალი არჩევნები.

სტირბეი—ბრატიანუს სიძეა; იგი არის ლიბერალების წარმომადგენელი სასახლის წრეებში.

ახალ კაბინეთში სტირბეი პრემიერობის გარდა მიიღებს აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელს. გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ასახელებენ ლიბერალ დუკას,—გარეშე საქმეთა ყოფილ მინისტრს ბრატიანუს კაბინეთში. (ადს).

## მდგომარეობა ჩინეთში

შან-სის პროვინციის მფლობელი იენ-სი-შანი საბოლოოდ გადმოსულა გომინდანის მხარეზე და თავისი ორი არმია შან-სის და სუი-იუანისა (პროვინცია არის შან-სის ჩრდილოეთით, ექვემდებარება იმავე იენ-სი-შანს) გამოუცხადებია ნაციონალურ-რევოლიუციონურ არმიებად. თვით ასეთი სახელწოდება გულისხმობს იენ-სი-შანის შეკავშირებას ფინ-იუ-სიანთან, რადგანაც უკანასკნელის ჯარებიც აგრეთვე იმავე სახელწოდებას ატარებენ. სუი-იუანის არმია, ეს ის ჯარია, რომელიც ამჟამად კალგანის მიმართულებით პეკინისაკენ მიდის; შან-სის არმია კი პეკინისაკენვე მიდის ტაი-იუან ჩენ-დინის მიმართულებით.

რევოლიუციონურ ჯარების პეკინისაკენ შეტევის საერთო სურათი ამჟამად ნათელია. როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთის მხრით შეტევას ორ ჯგუფად აწარმოებს იენ-სი-შანი; სამხრეთის მხრივ ჩენ-ჯოუ—პეკინის რკინის გზის გაყოლებით—ფინ-იუ-სიანის და ტან-შენ-ჩის შეერთებული ძალები. უკანასკნელთა აღმოსავლეთით ნანკინ — ტიან-ძინის რკინის გზის გაყოლებით პეკინისაკენვე მიისწრაფის ჩან-კაი-შის ჯარები. ამ ჯგუფთა შორის პეკინზე [illegible] ყველაზე ახლოს იენ-სი-შანის ჯარებია. მაგრამ არა გვგონია, რომ უკანასკნელმა პეკინზე შეტევა დამოუკიდებლად აწარმოოს, რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლებელია ჩან-ძო-ლინი მთელი თავისი ჯარით მას დაეცეს და უფრო ადრე დაამარცხოს, ვიდრე მოუსწრებენ ფინ-იუ-სიანის და ტან-შენ-ჩის ჯარები. იენ-სი-შანი აქამდის ისეთი სიფრთხილით იქცეოდა, რომ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ფინ-იუ-სიანის ჯარებმა ყვითელი მდინარე გადალახეს, იენ-სი-შანმა ნეიტრალიტეტი დაარღვია და გადმოვიდა რევოლიუციონურ ჯარების მხარეზე. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ვიდრე სამხრეთიდან მომავალი რევოლიუციონური ჯარები ჩენ-დინის რაიონს არ დაუახლოვდებიან, იენ-სი-შანი ინტენსიურ სამხედრო მოქმედებას არ დაიწყებს. ამ დღეებში დიდი და მნიშვნელოვანი ბრძოლები მოსალოდნელი არ არის. შეიძლება ჩან-კაი-შის ჯარებს მოუხდეს ასეთი შეტაკება, მაგრამ ამჟამად მის წინაშე მაინცა და მაინც საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე არა სჩანს. აქაც ალბათ სამხედრო მოქმედება დროებით მიყუჩდება.

ი. გედევანიშვილი.

# საბჭოთა კავშირის პოლონეთის ელჩის ამხ. ვოიკოვის მოკვლა

7 მაისს, დილის 10 საათზე, ვარშავის სადგურზე, რუსმა თეთრგვარდიელმა ბორის კავერდამ 4 ტყვიით მოკლა საბჭოთა კავშირის ელჩი პოლონეთში ამხ. ვოიკოვი.

**ვარშავა,** 7 ივნისი პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„7 ივნისს, დილის 10 საათზე, ვარშავის ცენტრალურ რკინის გზის სადგურზე მოხდა თავდასხმა საბჭოთა ელჩ—**ვოიკოვზე.** ახალგაზრდა რუსმა მონარქისტმა, რომლის ვინაობა უცნობია, რევოლვერის გასროლით დასჭრა **ვოიკოვი.** თავდამსხმელი დაპატიმრებულია. ვოიკოვი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. სადაც დაუყოვნებლივ გამოცხადდენ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ზალესკი** და საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო ნაწილის გამგე **პშეზდეცკი"** (ადს).

**ვარშავა,** 7 ივნისი. დღეს დილით საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი პოლონეთში **ვოიკოვი,** რომელიც შეხვდა ვარშავაში გზათ გამოვლილ როზენჰოლცს, რკინისგზის სადგურზე დაჭრილია რამოდენიმე ტყვიით. ექიმებმა ჯერ-ჯერობით ვერ აღმოაჩინეს ტყვიების მიმართულება.

ვოიკოვის მდგომარეობა სერიოზულია (ადს).

**ვარშავა,** 7 ივნისი. დილის 10 საათსა და 40 წუთზე **ვოიკოვი** გარდაიცვალა საავადმყოფოში მანამდე, ვიდრე ოპერაციას გაუკეთებდენ. ვოიკოვი დაჭრილი აღმოჩნდა ოთხ ალაგას გულის და ფილტვების არეში. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზალესკი გამოცხადდა საბჭოთა კავშირის საელჩოში პოლონეთის მთავრობის სახელით სამძიმრის გამოსაცხადებლად. როზენჰოლცი დარჩა ვარშავაში.

ვოიკოვის მკვლელი თავდასხმისთანავე შეპყრობილი იქნა პოლიციის მიერ რკინის გზის სადგურზე. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზალესკი გამოცხადდა საავადმყოფოში და გადასცა სამძიმარი საბჭოთა კავშირის საელჩოს წევრებს, რომელნიც მორიგეობენ გარდაცვალებულის ცხედართან.

საბჭოთა კავშირის საელჩოში გამოცხადდა პილსუდსკის ადიუტანტი და პილსუდსკის სახელით განაცხადა სამძიმარი.

ვოიკოვს დარჩა ცოლი და 10 წლის ბავშვი (ადს).

**ბერლინი,** 7 ივნისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: სტატს-სეკრეტარმა **შუბერტმა** საბჭოთა კავშირის ელჩის პოლონეთში მოკვლის გამო გადასცა სამძიმარი.

იაპონიის საელჩოს მოსკოვში გადაეგზავნა ანალოგიური ინსტრუქციები (ადს).

### საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში.

**მოსკოვი,** 7 ივნისი. საღამოს 7 ივნისს საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მორიგი სხდომის გახსნისას სხდომის თავმჯდომარემ ცურიუპამ ინფორმაციული მოხსენება გაუკეთა სახალხო კომისართა საბჭოს პოლონეთის ტერიტორიაზე ვოიკოვის მკვლელობის შესახებ (ადს).

### ორკვირეული ტრაური

**მოსკოვი,** 7 ივნისი. ვოიკოვის მკვლელობის გამო საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიამ გამოაცხადა ორი კვირის ტრაური საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა დაწესებულებებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და საზღვარ-გარეთ.

### ამხ. ლიტვინოვის დეპეშა ვოიკოვის ცოლისადმი

**მოსკოვი,** 7 ივნისი. ამხ. ლიტვინოვმა ვოიკოვის ცოლს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

კომისარიატის კოლეგიის და ყველა თანამშრომლების სახელით გიცხადებთ ულრმეს თანაგრძნობას თქვენს მწუხარებაში. დეე, იმის შეგნება, რომ პეტრე ლაზარეს ძე მოკვდა თავის პოსტზე, იქნეს თქვენი მანუგეშებელი ამ ტრაღიკულ დანაკლისში. (ადს).

### ბრძანება გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატისადმი

**მოსკოვი,** 7 ივნისი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმართ გამოცემულ ბრძანებაში ნათქვამია, რომ ვოიკოვის მკვლელი არის მონარქისტი **ბორის კავერდა.** ამხ. ვოიკოვი, რომელიც თავდასხმის დროს თავს იცავდა, დაჭრილ იქნა 4 ტყვიით გვერდში და გარდაიცვალა მიღებული ჭრილობიდან ერთის საათის შემდეგ. პეტრე ლაზარეს ძის განსაკუთრებული ღვაწლი, — ნათქვამია ბრძანებაში, — მისი თავდადება მუშურ-გლეხურ სახელმწიფო საქმისათვის, სიკვდილამდე მოვალეობის შესრულება საბჭოთა ელჩის თანამდებობაზე, — მუდამ მაგალითი იქნება საბჭოთა სახელმწიფოს ყველა მუშაკებისათვის.

აცნობებს რა სახალხო კომისარიატის ყველა თანამშრომლებს პეტრე ლაზარეს ძის უდროო სიკვდილს, კოლეგია გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ახალი გამცემლური თავდასხმა არ შეიტანს სახალხო კომისარიატის მუშაკთა რიგებში შეშფოთებას და ამ ახალ მძიმე დანაკლისის წინაშე გააორკეცებენ ენერგიას და თავდადებას საპასუხისმგებლო და მძიმე მუშაობის დროს, რომელიც დაკისრებული აქვს ჩვენს სახალხო კომისარიატს (ადს).

## ამხ. ლიტვინოვის ნოტა

**მოსკოვი,** 7 ივნისი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა ნოტით მიმართა პოლონეთის ელჩს საბჭოთა კავშირში:

— საკავშირო მთავრობამ,—ნათქვამია ნოტაში,—ეს არის მიიღო მოკლე ცნობა რუსი მონარქისტის მიერ საბჭოთა კავშირის პოლონეთში სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის მოკვლის შესახებ. საკავშირო მთავრობა ამ გაუგონარ ბოროტმოქმედებას უკავშირებს იმ მთელ რიგ აქტებს, რომელნიც მიზნად ისახავენ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობათა დარღვევას და ქმნიან ომის აუცილებელ საფრთხეს. თავდასხმა საბჭოთა კავშირის პეკინის საელჩოზე, შანხაის საკონსულოს გარემოცვა, პოლიციელთა თავდასხმა სავაჭრო დელეგაციაზე ლონდონში, ინგლისის მხრივ დიპლომატიურ ურთიერთობათა პროვოკაციული შეწყვეტა—ასეთი აქტების მთელმა რიგმა ფართო გასაქანი მისცა რეაქციონური ჯგუფების პროვოკაციულ მოქმედებას, რომელნიც მუშათა კლასის ბრმა და უძლურ მძულვარებით შეპყრობილნი ხელს კიდებენ პოლიტიკურ მკვლელობათა ორგანიზაციას. საკავშირო მთავრობა თავის ელჩის მკვლელობის ფაქტში ხედავს აგრეთვე პოლონეთის მთავრობის მხრით აუცილებელი ზომების მიუღებლობის შედეგს პოლონეთის ტერიტორიაზე იმ რუს კონტრ - რევოლიუციონურ-ტერორისტულ ორგანიზაციების წინააღმდეგ პოლონეთის ტერიტორიაზე, რომელნიც განსაკუთრებით საშიში არიან მშვიდობიანობისათვის ამჟამად გამწვავებულ საერთაშორისო ატმოსფერაში.

თავის დროზე საკავშირო მთავრობა პოლონეთის მთავრობის ყურადღებას მიაქცევდა თეთრგვარდიელ ტერორისტების მოქმედებას და არა ერთხელ გაუფრთხილებია იგი, რომ მოსალოდნელია ამ ელემენტების მხრივ პროვოკაციული ბოროტმოქმედება.

აცხადებს რა ამიტომ ენერგიულს, აღშფოთებით აღსავსე პროტესტს და სთვლის რა, რომ პოლონეთის მთავრობა ვერ გაექცევა მომხდარ ამბების პასუხისმგებლობას, საკავშირო მთავრობა იტოვებს უფლებას დაუბრუნდეს ამ საკითხს ვარშავაში მომხდარ ბოროტმოქმედების შესახებ უფრო დაწვრილებითი და ამომწურავი ცნობების მიღების შემდეგ. გთხოვთ აცნობოთ თქვენს მთავრობას ზემოხსენებული და მიიღოთ ბ-ნო მინისტრო რწმუნება ჩემს თქვენდამი სრულ პატივისცემაში".

### პატეკი ლიტვინოვთან

**მოსკოვი,** 7 ივნისი. **ლიტვინოვმა** მიიღო პოლონეთის ელჩი **პატეკი** და ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი, საუბრის დროს ლიტვინოვმა პატეკს გადასცა პროტესტი. პატეკმა თავის მთავრობის სახელით განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობა ამ აღსრულებულ აქტს სთვლის უდიდეს ბოროტმოქმედებათ. კვლევა-ძიება იწარმოებს განსაკუთრებული გულმოდგინეობით და დამნაშავენიც დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით. (ადს).

### ამხ. ვოიკოვის ბიოგრაფია

**მოსკოვი,** 7 ივნისი. პეტრე ლაზარეს ძე ვოიკოვი დაიბადა 1888 წელს კერჩში. კერჩისა და შემდეგ იალტის გიმნაზიიდან გამორიცხვის შემდეგ (პოლიტიკურ არაკეთილსაიმედოების) იგი ახერხებს საშუალო სასწავლებლის დამთავრებას მხოლოდ 1905 წელს. გიმნაზიის სკამიდან ვიდრე პარტიის რასკოლამდე — 1903 წლამდე ვოიკოვმა მუშაობა დაიწყო რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციებში. უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის დროს იგი იძულებული ხდება მიატოვოს უნივერსიტეტი და გადავიდეს არალეგალურ მუშაობაზე. 1907 წელს მას აძლევენ სამხედრო-საველე სასამართლოში, რომლის განაჩენიც მას დახვრეტით ემუქრება. ეს გარემოება აიძულებს მას გაიქცეს რუსეთიდან. საზღვარგარეთ ვოიკოვი, პარტიასთან კავშირის გაუწყვეტლად ღებულობს უმაღლეს ფიზიკო-მათემატიკურ განათლებას ჟენევის და პარიზის უნივერსიტეტში. მსოფლიო ომის პირველ დღეებიდანვე ვოიკოვი გამოდის, როგორც ომის მოწინააღმდეგე და ემხრობა ინტერნაციონალისტებს. ამით იგი იმსახურებს საზოგადოებრივი აზრის, ემიგრანტების და ემიგრანტ გარეშე წრეების გულისწყრომას.

1917 წელს აგვისტოში ვოიკოვი შედის კომუნისტურ პარტიაში. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მას უჭირავს მთელი რიგი პასუხსაგებ თანამდებობათა. ერთ დროს საგარეო ვაჭრობის სახ. კომისრის მოადგილეთაც იყო. 1921 წელს ვოიკოვი იწყებს მუშაობას საგარეო საქმეთა კომისარიატში და 1924 წლის 10 ოქტომბერს ინიშნება საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად პოლონეთში.

ვოიკოვი იყო ცნობილი მათემატიკოსი და მისი ჟენევაში ყოფნის დროს უნივერსიტეტის პროფესორები მას უწინასწარმეტყველებდენ საქვეყნოთ განთქმულ მათემატიკოსის სახელს

## კომუნისტების გამარჯვება

**ბერლინი,** 6 ივნისი. ელსნიცის (პრუსიაში) ქალაქის საბჭომ თებერვალში კომუნისტი ბახმანი აირჩია ქალაქის თავად. ადმინისტრატიულმა ცენტრმა ცვიკაუში არ დაამტკიცა არჩევნები. საბჭომ საჩივარი აღძრა თვითმართველობის ცენტრალურ პალატაში. **საჩივარი დაკმაყოფილებულ იქნა და ბახმანი ეხლა** საბოლოოდ დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე.

ბახმანი არის პირველი კომუნისტი, რომელიც გერმანიაში არჩეულ იქნა ქალაქის თავის თანამდებობაზე. **ქალაქის საბჭოს უმრავლესობა ელსნიცში შესდგება 8 კომუნისტის და** ხუთი სოციალ-დემოკრატისაგან წინააღმდეგ 12 ბურჟუაზიული ხმოსნისა. (ადს).

საქართველოს
ეროვნული

# საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის 7 წლის თავი

## სალამი მუშურ-გლეხურ ოსეთს

საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტმა სამხრეთ - ოსეთის ცაკს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

სამხრეთ - ოსეთის მშრომელებმა, რომელნიც აჯანყდენ მცირე ერთა ჩაგვრის ცარიზმის პოლიტიკის გამგრძელებელ მენშევიკების უღლის წინააღმდეგ, 1920 წლის 8 ივნისს დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლები სასტიკად გაუსწორდენ აჯანყებულ გლეხობას და სამხრეთ - ოსეთი ცეცხლის ალში გახვიეს.

სამხრეთ - ოსეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიეს საბოლოო გამარჯვებას მხოლოდ 1921 წლის თებერვალში.

საკ. კომპარტ. ა.-კ. საოლქო კომიტეტი მხურვალედ ესალმება სამხრეთ - ოსეთის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავზე და უსურვებს მათ შემდეგ დიდ გამარჯვებას თავის მხარის სამეურნეო და კულტურულ განვითარების საქმეში. გაუმარჯოს სამხრეთ - ოსეთის მშრომელთა განთავისუფლების დღეს.

საკ. კომპ. ა.-კ. საოლქო კომიტეტი

## სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ მენშევიკების უღლის წინააღმდეგ მათი გმირული აჯანყების მეშვიდე წლის თავზე, როდესაც მათ ააფრიალეს საბჭოთა ხელისუფლების დროშა. მენშევიკური მთავრობის მუხანათურმა პოლიტიკამ ნაცარ-ტუტად აქცია სამხრეთ-ოსეთი და გამოგლიჯა მის მშრომელთა რიგებს მრავალი ათასი მსხვერპლი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შესაძლებელი გახდა საქართველოს და სამხრეთ - ოსეთის მშრომელთა ძმური თანამშრომლობა. შვიდი წლის განმავლობაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამხრეთ - ოსეთის მუშები და გლეხები ინკურნებიან ჭრილობებისაგან და ნელა, მაგრამ მედგრად აშენებენ თავისუფალ სოციალისტურ სამხრეთ - ოსეთს.

გაუმარჯოს სამხრეთ - ოსეთის გლეხებს და მუშებს!

გაუმარჯოს თავისუფალ სამხრეთ - ოსეთს და საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

## ა.-კ. ცაკის მისალმება სამხრეთ-ოსეთს

სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 7 წლის შესრულების გამო, ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარის ამხ. ჯატიევის სახელზე გაგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

— „ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი უგზავნის მხურვალე სალამს—სამხრეთ-ოსეთს მისი გასაბჭოების 7 წლის თავის გამო. პრეზიდიუმი სთხოვს გადასცს სამხრეთ-ოსეთის მშრომელებს, რომ ამ ღირსშესანიშნავ დღეს მთელი ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები შეხარიან თავის ძმების—ოსების მიღწევებს და უსურვებენ მას შემდგომ წარმატებებს ქვეყნის აღსადგენად.

პრეზიდიუმი მწუხარებას გამოსთქვამს იმისთვის, რომ ამიერ-კავკასიის ცაკის სესიის მოწვევის გამო მას საშუალება არა აქვს გაგზავნოს თავის წარმომადგენელი.

გაუმარჯოს წითელ სამხრეთ-ოსეთს!

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე კასიანი.

## თავისუფალ ოსეთს

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალეთ ესალმება სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ, მენშევიკური ჯალათების უღლიდან მათი განთავისუფლების 7 წლის თავის გამო.

გაუმარჯოს სამხრეთ - ოსეთის სოციალისტურ აღმშენებლობას საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად.

გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე.

## რა გაკეთდა სამხრეთ-ოსეთში

(საუბარი ამხ. ა. აბაევთან)

**ცხინვალი**, 7 ივნისი. სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 7 წლის თავის შესრულების გამო სამხრეთ-ოსეთის საოლქო პარტ. კომიტეტის მდივანმა ამხ. ალექსანდრე აბაევმა შემდეგი განაცხადა:

„ამჟამად სამხრეთ - ოსეთში არსებობს პირველი და მეორე საფეხურის 118 სკოლა. სკოლები ამ მხრის მთელ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ, მაგრამ, თუ შევადარებთ სკოლების რაოდენობას იმას, რაც იყო ძველი რეჟიმის და მენშევიკების დროს, დავინახავთ, რომ სახალხო განათლების საქმეში მიღწეულია დიდი შედეგები. გარდა აღნიშნული სკოლებისა არსებობს, ერთი სკოლა გლეხთა ახალგაზრდობისათვის 76 კაცისათვის, ორი საბავშო სახლი, 7 ქოხ-სამკითხველო, რადიო-მიმღები, 2 წლიანი სამასწავლებლო კურსები — 40 კაცისათვის, და 2 საბავშო ბაღი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ყოველკვირეული გაზეთის და ყოველთვიურ ჟურნალის გამოცემა ოსურ ენაზე.

სამხრეთ ოსეთში სამრეწველო დაწესებულებები რევოლიუციამდე არ იყო. ამჟამად არის: ხე-ტყის ქარხანა, გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა, ელექტრო - სადგური 70 ცხ. ძალის, აგურის და კირის ქარხნები. ამ წარმოებებისათვის ცენტრიდან მიღებული იყო 56.000 მანეთი, გრძელვადიანი სესხის სახით და 40.000 მანეთი საბრუნავი თანხა. ხე-ტყის მასალის დასამუშავებელ ქარხნებისათვის ცენტრი იძლევა 150.000 მანეთს.

დიდ მიღწევას გზების აღმშენებლობაში წარმოადგენს ცხინვალ - როკის გზის გაყვანა, რომელიც მომავალ წელს დამთავრდება.

სამხრეთ-ოსეთში უკანასკნელ წლების განმავლობაში შექმნილია სასოფლო - სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერატივების მთელი ქსელი.

საკუთარ სახსრების სიმცირის გამო კოოპერაციას არ აქვს საშუალება ფართოთ გაშალოს მებაღეობა. მოველით ცენტრიდან სესხის მიღებას. სესხის მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდება ინტენსიური მუშაობის წარმოება.

მენშევიკების მიერ განადგურებული სასოფლო მეურნეობა აღორძინების გზაზეა. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში ამჟამად იხილავენ სამხრეთ - ოსეთის გლეხური მეურნეობის აღდგენის პროექტს. პროექტით გამოთხოვილი იქნება **1.600.000 მანეთი.**

ჯანმრთელობის დაცვის საქმეში უნდა აღინიშნოს დიდი მიღწევები. მოწყობილია სანიმუშო საავადმყოფო 75 ლოგინით, 2 სარაიონო საავადმყოფო 15 ლოგინით და 7 სექიმო პუნქტი.

ცხინვალში შენდება საგლეხო სახლი.

## ისტორიული დოკუმენტი

### ბრძანება

1920 წელი, 8 ივნისი, ქალაქი ცხინვალი

აჯანყებული გლეხების მიერ სამხრეთ-ოსეთიდან განდევნილი არიან საქართველოს მენშევიკური ჯარები და ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება მთელს ტერიტორიაზე ონიდან დუშეთამდე.

ყველა ხელისუფლება აღნიშნულ ტერიტორიაზე ემორჩილება სამხრეთ-ოსეთის რევკომს, რომელიც იმყოფება ცხინვალში.

ეცნობოს რ. ს. ფ. რ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს, რომ სამხრეთ-ოსეთს სურს საბჭოთა რუსეთთან შეერთება.

პოლიტკომი ნ. გადიევი.

სამხრეთ - ოსეთის რევკომის თავმჯდომარე კ. აბაევი.

## სამხ.-ოსეთის მრეწველობა

(ს. მ. უ. ს. მასალებიდან)

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე სამხრეთ-ოსეთში არ არსებობდა არც ერთი სამრეწველო ხასიათის დაწესებულება, იყო რამოდენიმე კუსტარული ტიპის ქარხანა, წისქვილები და კერძო სახელოსნოები, მაგრამ ყველა ესენი განადგურდა მენშევიკების ბატონობის დროს.

1921 წლიდანვე სამხრეთ - ოსეთში დაიწყო გაცხოველებული აღმშენებლობა და 1925-26 წელს უკვე მუშაობდენ შემდეგი ფაბრიკა - ქარხნები: სახერხი ქარხანა, გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა, აგურის ქარხანა, კირის ქარხანა და კრამიტის ქარხანა. სახერხ ქარხანას შეუძლია დაამზადოს ყოველწლიურად 144.000 კვადრატიული ვერშოკის რაოდენობის ხის მასალა პირველ წელსვე ქარხანამ გამოუშვა 46.041 კვ. ვერშოკი გადამუშავებული ხე-ტყე. გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკამ პირველ წელსვე გაამზადა და ბაზარზე გამოუშვა 864 თორმეტეული მაგიდა და ამდენივე რიცხვის სავარძლები და სკამები. კირის ქარხანამ გადაამუშავა 15.451 ფუთი კირი, ხოლო კრამიტის ქარხანამ გაამზადა და ბაზარზე გასასაღებლად გამოუშვა 360.000 ცალი კრამიტი.

ყველა ჩამოთვლილი ქარხნების მოსაწყობათ დაიხარჯა 68.301 მანეთი.

გარდა ჩამოთვლილი სამრეწველო დაწესებულებებისა სამხრეთ - ოსეთში ამჟამად არ არის სხვა ფაბრიკა - ქარხნები, არც კერძო მწარმოებლების და არც კოლექტივების.

მომავალი ხუთი წლის განმავლობაში აგებულ იქნება 5 ახალი ქარხანა და საფუძველი ჩაეყრება მთელ რიგ ახალ წარმოებებს.

პირველ რიგში განზრახულია რძის ნაწარმოებთა გადასამუშავებელი ქარხნის აგება. შემდეგ აგურ-კრამიტის ქარხნის, სარემონტო - მექანიკური სახელოსნოსი, ხილის საშრობი ქარხნის და კრახმალის ქარხნის. ყველა ჩამოთვლილი ქარხნების აგება დაჯდება 768.000 მანეთი. ყველა ჩამოთვლილი ქარხნები წლიურათ გამოიმუშავებენ 653.000 მანეთის პროდუქციას თვითღირებულებით, ხოლო აღნიშნული პროდუქციის საბაზრო ფასის ჯამი შეადგენს 759.000 მანეთს.

ამგვარად ყოველწლიურად სამხრეთ - ოსეთის მრეწველობა მისცემს სახელმწიფოს 106000 მანეთ წმინდა მოგებას.

გარდა ამისა ახალი მრეწველობის დაწყებას გავლენა ექნება უმუშევრობასთან ბრძოლაზედაც. ქარხნების ამუშავების პირველ წელსვე საჭირო გახდება 250 მუშის დაქირავება. ყველა ქარხნების აგება უნდა დასრულდეს 1930-31 საანგარიშო წლის განმავლობაში და ამავე წელს უნდა დაიწყოს აგებული ქარხნების ექსპლოატაცია.

# საბჭოთა კავშირში

## რუსეთი

### საწოლები გლეხებისათვის

**მოსკოვი**, 7 ივნისი. რ.ს.ფ.ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა ჯანსახკომს წელს გლეხებისათვის თავის კურორტებზე შეინახოს საწოლების იმდენივე რაოდენობა, რამდენიც შარშან იყო შენახული. (ადს).

### კალმიკთა ავტონომიურ ოლქის ცენტრი

**მოსკოვი**, 7 ივნისი. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა რ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომლის თანახმად კალმიკთა ავტონომიურ ოლქის ცენტრი ასტრახანიდან გადატანილი უნდა იქნეს ქალაქ ელისტაში. (ადს)

### პენსია ბრუსილოვის ცოლს

**მოსკოვი**, 7 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ბრუსილოვის ცოლს პენსია გაუდიდოს 140-დან 250 მანეთამდე (ადს).

### ელექტრო - მოწყობილობანი რკინის გზებისათვის

**მოსკოვი**, 7 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატს მიმართა წინადადებით, რომ სუსტი დენის ტრესტებს თანდათანობით გადაეცეს რკინის გზისათვის საჭირო ელექტრო - მოწყობილობის დამზადება, რომელიც ეხლა საზღვარ - გარეთიდან შემოაქვთ (ადს).

### 100,000 მან. მოგება

**ლენინგრადი**, 7 ივნისი. 6 ივნისს სახელმწიფო ბანკში წარმოდგენილ იქნა 1926 წლის სესხის იმ ობლიგაციის მეოთხედი, რომელმაც მოიგო 100,000 მანეთი.

მომგები ერთ-ერთი ქარხნის ელექტრო - ტეხნიკოსია. მან ითხოვა არ გამოაქვეყნებიათ მისი გვარი. (ადს)

## უკრაინა

### ხარკოვის პარტაქტივი ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის გამოსვლის წინააღმდეგ

**ხარკოვი**, 7 ივნისი. პარტაქტივის კრებამ ამხ. მანუილსკის მოხსენების გამო, (კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგები) 8.000 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 39 ხმისა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით და მთლიანად იწონებს კომინტერნის აღმასკომის მე-8 პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ხარკოვის აქტივი განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს იმ პასუხს, რომელიც გაკოტრებულმა ოპოზიციამ ტროცკის და ზინოვიევის მეთაურობით მიიღო კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე და სთხოვს უმაღლეს პარტიულ ორგანოებს ენერგიული ზომები მიიღონ იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოთ შესწყდეს ცეკას წევრის წოდებისათვის სავსებით შეუფერებელი მოქმედება, რომელსაც დღემდე ეწევიან ოპოზიციის ბელადები პარტიის და კომინტერნის მუშაობის ჩაშლისათვის (ადს).

### სიცხეები უკრაინაში

**ხარკოვი**, 7 ივნისი. უკანასკნელ დღეებში უკრაინაში არაჩვეულებრივი სიცხეები დაიწყო მთელ რიგ ქალაქებიდან იტყობინებიან, რომ ტემპერატურა 30 გრადუსზე მეტია (ადს).

## ბელორუსია

### ქარიშხალი ბელორუსიაში

**მინსკი**, 7 ივნისი. ბელორუსიაზე გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა. ზოგიერთ ადგილებში ქარმა ფესვებიანად ამოთხარა ხეები და დაანგრია შენობები. ნიაღვარმა ზოგიერთ ადგილას ნათესი წალეკა. დაზიანებულია ხიდები და გზები.

მოსახლეობის ზარალი დიდია. (ადს)

## ციმბირი

### ავიაქიმიის ჰაეროსტატი

**ჩიტა**, 7 ივნისი. 4 ივნისს რამდენიმე მონადირემ ქალაქიდან ჩრდილოეთით 200 ვერსის დაშორებით მაღალ კლდეებში ნახეს ჩამოვარდნილი ჰაეროსტატი. ფიქრობენ, რომ ეს არის ავიაქიმის ჰაეროსტატი. (ადს)

## პუშკინის დაბადების დღე

**მოსკოვი**, 7 ივნისი. 5 ივნისს შესრულდა პუშკინის დაბადების 128 წლ. თავი; ამ დღეს ბაუმანოვის ქუჩ. № 10 სახლთან, რომელშიაც დაიბადა პუშკინი, შეიკრიბენ მოსკოვის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშები და მოწაფეები. სახლს, რომელშიაც პუშკინი დაიბადა, მიაკრეს სახსოვარი ფიცარი. დამსწრეებს შორის იყვენ პოეტის შვილის შვილები. საღამოს გაიმართა საზეიმო სხდომა პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად.

ლენინგრადში პოეტის ბინაზე მაიკაზე და სამეცნიერო აკადემიაში გაიმართა სხდომები. (ადს).

## მშენებლობის გეგმა

**მოსკოვი**, 7 ივნისი. თავდაცვის საბჭომ, მოისმინა რა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მოხსენება ლითონის მრეწველობის ახალი ქარხნების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ, ს.ს.რ.კ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყურადღება მიაქცია ლითონის მრეწველობის ახალი ქარხნების მშენებლობის ნელ ტემპსა და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ამ საქმეში არასაკმაოდ არის ჩაბმული უცხოეთის ტეხნიკური ძალები და არასაკმაოდ არის მიპყრობილი საზოგადოებრივი აზრის ყურადღება ამ საკითხზე.

თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა ს.ს.რ.კ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გააძლიეროს განზრახული მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოთა ტემპი. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს მშენებლობის პროექტების შედგენის მტკიცე საკალენდრო გეგმები პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრებით იმ პირებზე, რომლებიც ხელმძღვანელობენ ცალკე ქარხნების აშენების გეგმას. ახალი ქარხნების აგების გეგმის შედგენის დროს საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული წარმოების ყველა ელემენტები ისეთი ანგარიშით, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი წარმოების თვითღირებულების დაწევა. (ადს).

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

## აზერბეიჯანი

### რადიოფიკაცია

**ყაზახი**, 7 ივნისი. სოფელ კუშჩში, ძეგომში, ფოილოში, ბეიუკ-კიშლაკში, შიხლი-ნოროდში და ყაზახში დაიწყო რადიო-მიმღების დადგმა. (ადს).

### საბონდარო ქარხანა

**ბაქო**, 7 ივნისი. აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა პროექტი დიდი საბონდარო ქარხნის აგებისა ბაქოში ქარხანა წელიწადში დაამზადებს 300.000 კასრს ქარხნის აგებისათვის საჭირო საშუალებები უკვე გადადებულია. ქარხანა მოეწყობა უახლოესი ტიპის დაზგებით. (ადს)

### დიდი ბოროტმოქმედება

**ბაქო**, 7 ივნისი. აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დიდი ბოროტმოქმედება აღმოაჩინა „აზტექსტილის“ საამშენებლო მუშაობაში და აგრეთვე სამრეწველო ბანკის შენობის აგებაში. გამოკვლევამ გამოააშკარავა, რომ მოიჯარადრეებს მიეცა ზედმეტი თანხა 32.000 მან. რაოდენობით. სამუშაოთა ხელმძღვანელი არქიტექტორი ლალევიჩი ხელშეკრულობებს მოიჯარადრეებთან სდებდა საჯარო ვაჭრობის გამოუცხადებლად.

აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადებით გაუქმებულ იქნა ლალევიჩის მიერ დადებული ყველა უკანონო ხელშეკრულებანი. ლალევიჩი მოხსნილ იქნა სამუშაოდან და პასუხისგებაშია მიცემული. (ადს)

## სომხეთი

### ცემენტის ქარხანა

**ერევანი**, 7 ივნისი, მოსკოვიდან ჩამოსული პროფესორები ივანოვი და იონგი გაემგზავრენ დავალუში ნიადაგის დასათვალიერებლად და ცემენტის ქარხნის ადგილის ამოსარჩევად (ადს).

### მუშები კურორტებზე

**ერევანი**, 7 ივნისი. მიმდინარე წელს იარაჩიჩაგის, კარაკლისის და გურიუთის დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი იქნება 900 კაცი. სანატორიუმებში გატარებული იქნება 450 კაცი. (ადს)

# პარტიული ცხოვრება

## ღარიბთა შორის მუშაობის მთავარი ნაკლი

პროლეტარიატის დასაყრდენ ძალას სოფლად ღარიბი გლეხკაცობა წარმოადგენს. ამიტომაა, რომ ჩვენი პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის ღატაკ მოსახლეობის შორის მუშაობას. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მუშაობას თავიდანვე დაჰყვა ზოგიერთი ნაკლულოვანებანი, რომელნიც ბევრგან დღემდისაც არ არიან აღმოფხვრილი.

ჩვენ ვლაპარაკობთ საშუალო გლეხკაცობასთან კავშირზე, იმ გლეხკაცობასთან, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის მთავარ მასას სოფლად. ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა არას შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული, როგორც კურსის აღება მხოლოდ ღატაკობისაკენ და სოფლის მოსახლეობის დანარჩენ ფენებისადმი უყურადღებოდ დატოვება. პირიქით, ღარიბ გლეხთა ჯგუფები უნდა წარმოადგენდენ იმ ხიდს, რომლის საშუალებითაც პროლეტარიატი უფრო მტკიცეთ და უფრო მოკლე გზით უკავშირდება სოფლის ყველაზე მრავალრიცხოვან მოსახლეობას — საშუალო გლეხკაცობას.

ნამდვილათ კი ეს ბევრგან ასე არ ხდება აქა-იქ ღარიბ გლეხთა ჯგუფები გადაიქცენ. რაღაც კარჩაკეტილ ორგანიზაციებათ, რომელსაც ზედმეტად მიაჩნიათ საშუალო გლეხკაცობასთან კავშირის დაჭერა. თუ ასეთ თავის მიდრეკილებას ღარიბ გლეხთა ჯგუფის ხელმძღვანელები აშკარათ და პირდაპირ არ აღიარებენ, ფაქტიურათ ჯგუფის მუშაობაში იმნაირი მდგომარეობა იქმნება, რომ საშუალო გლეხკაცობა გვერდს უვლის ღარიბთა ჯგუფებს და თანდათან მტრული თვალით ცქერას უწყებს მას. ამის მაგალითი გვაქვს ჩვენ გორის თემში, სადაც საშუალო გლეხობა არ ესწრებოდა საბჭოთა არჩევნების დროს ღარიბთა ჯგუფების კრებებს და არ ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ამ ჯგუფების მუშაობაში.

ღარიბ ჯგუფთა მუშაობის მთავარი საფრთხე აქ იმალება. თუ ამ ჯგუფების მუშაობით ჩვენ ვერ ვამტკიცებთ კავშირს საშუალო გლეხკაცობასთან, თუ ღარიბთა ჯგუფები თავისი გამოუცდელობით ან უცოდინარობით აფერხებენ საშუალო გლეხობასთან თანამშრომლობის საქმეს, გაცილებით უკეთესი იქნება, რომ ღარიბთა ასეთი ჯგუფები არც არსებობდენ.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა ადგილობრივმა პარტორგანოებმა. მათ უნდა მიიღონ ყოველივე ზომები ღარიბთა ჯგუფების სწორ ნიადაგზე დასაყენებლად.

დ. გ—ძე.

## მუშაობა ღარიბ გლეხკაცობის შორის

(გორის თემი)

ამას წინად შესდგა გორის თემკომის გაფართოებული პლენუმი კომუჯრედების ბიუროების წევრების თანდასწრებით. პლენუმის დღის წესრიგში იდგა სხვათა შორის საკითხი ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. **თედო კორსაველმა.** მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დროს გამოირკვა, რომ მაზრაში საბჭოთა არჩევნების წინ ჩატარებული იქნა ღარიბ გლეხთა, მოჯამაგირეთა და საშუალო აქტივის კრებები. ამ კრებებზე გაირჩა განაწესები და საბჭოში გასაყვანად დასახელებულ პირთა სია. წინასწარ კრებების ჩატარებამ სასურველი შედეგი გამოიღო საბჭოს წევრთა სოციალურ მდგომარეობის შერჩევის მხრივ.

თემკომის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა ღარიბთა ჯგუფის ჩამოყალიბების აუცილებლობა თემსაბჭოში, თემის სამომხმარებლო კოოპერაციაში და სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში. საჭიროდ იქნა ცნობილი სოფლად კამპანიების ჩატარების დროს ღარიბ და მოჯამაგირე გლეხების წინასწარი კრებების მოწვევა საშუალო გლეხთა აქტივის თანდასწრებით.

პლენუმზე გამოირკვა, რომ საშუალო გლეხობა ვერ არის დადებითად განწყობილი ღარიბთა ორგანიზაციის და ღარიბთა კრებების მიმართ. საშუალო გლეხთა ასეთი დამოკიდებულება იმის შედეგია, რომ მათ ვერ გაუგია ღარიბთა ჯგუფების და კრებების მნიშვნელობა. პლენუმმა დაადგინა მოწვეულ იქნას სოფლებში საზოგადო კრებები. რომლებზედაც უნდა დაისვას მოხსენებები ღარიბთა კრებების მნიშვნელობაზე. ასეთივე მოხსენებები უნდა გაკეთდეს აგრეთვე კომკავშირის და უჯრედის კრებებზე. უნდა განემარტოს საშუალო გლეხობას, რომ ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბება თემსაბჭოებში, თემის სამომხმარებლო კოოპერატივში, სათემო სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში და სოფლად ღარიბების მოჯამაგირეების კრებების მოწვევა, სრულებითაც არ ნიშნავს საშუალო გლეხობის ინტერესების ჩქმალვას, პირიქით ღარიბ და საშუალო გლეხებ შორის მჭიდრო კავშირი უნდა იქნეს დაცული. ორივე ძალა შეკავშირებული უნდა გამოდიოდეს კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ გლეხს ეძლევა სესხი ერთი წლის ვადით ათი ან თუთხმეტი თუმანი ბაღის ან ვენახის გასაშენებლად. მას ეძლევა აგრეთვე უმნიშვნელო თანხა ცოცხალი ინვენტარის (მაგ. ხარი, კამეჩი) შესაძენად, რადგანაც იგი ვერ ყიდულობს იმ მცირე თანხით ვერც ხარს, ვერც კამეჩს, მიღებულ თანხას სხვა დანიშნულებას აძლევს. პლენუმმა აღნიშნა, რომ კრედიტის დაქსაქსულ მეურნეობაზე გაცემა ვერ იძლევა ისეთ სამეურნეო შედეგს, როგორსაც კოლექტიური მეურნეობანი და სხვადასხვა გლეხური ამხანაგობანი იძლევიან. ამიტომ გლეხობის ამოცანას უნდა შეადგენდეს ჩამოყალიბონ ამხანაგობები სამეურნეო იარაღების შესაძენად და მიწად მოქმედების კოლექტიურ ფორმებზე გადასასვლელად. ღარიბ გლეხობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების მიერ მინიჭებულ შეღავათების სწორად გამოყენებას. ღარიბ გლეხების კრებებზე და ჯგუფის სხდომებზე უნდა იქნეს განხილული საკითხი, ვის მიეცეს საექიმო დახმარება უფასოდ, ვის მიეცეს ტყის მასალა შეღავათიან ფასებში, ვისზე გატარდეს ღარიბთა დაზღვევა სახელმწიფო ფონდიდან, ვინ იქნეს ჩაწერილი კოოპერატივის წევრად, კოოპერატივის გადადებულ მოგებულ თანხიდან და სხვ.

პლენუმი დიდ მნიშვნელობას აძლევს ღარიბთა კრებების ტეხნიკურ მოწვევის მხარეებს, რაც უნდა ხდებოდეს მტკიცე შედგენილ სიით ღარიბ და საშუალო გლეხის აქტივის თანდასწრებით. პლენუმს მიზანშეწონილად მიაჩნია კრებებზე მოწვეული საშუალო გლეხობის აქტივს მიეცეს გადამწყვეტი ხმა და ვინც საშუალო გლეხობიდან მოუწვევლად გამოცხადდება სათათბირო ხმა.

პლენუმმა აგრეთვე მოისმინა სკრის და ქარელის კომუჯრედების და კომკავშირის უჯრედების მდივნების მოხსენება და დამაკმაყოფილებლად სცნო მათი მუშაობა.

ა. დარახველიძე

## სადელეგატო კრებების ამოცანები ზაფხულში

საზაფხულო პერიოდის დაწყებისთანავე თავდება სადელეგატო კრების საპროგრამო მუშაობა და სადელეგატო კრების მუშაობამ რამდენადმე უნდა შეიცვალოს თავისი ხასიათი, — ივი უნდა შეუფარდდეს საზაფხულო პერიოდის პირობებს. პარტიის მიერ წამოყენებული მთავარი საკითხებთან დაკავშირებით სადელეგატო კრებებზე აუცილებლად უნდა დაისვას საკითხები წარმოების რაციონალიზაციისა და საქონელზე ფასების დაკლების შესახებ. ეს უმთავრესი საკითხები პრაქტიკული სახით უნდა დაისვას. საპროგრამო მუშაობის დამთავრების შემდეგ ჩატარებულ უნდა იქნას შემამოწმებელი საუბრები, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად აამაღლა დელეგატ - ქალების პოლიტიკური და კულტურული დონე სადელეგატო კრების მუშაობამ (საპროგრამო და პრაქტიკული), თუ როგორ გამოიყენეს დელეგატ - ქალებმა მიღებული ცოდნა პრაქტიკულ მუშაობაში. სადელეგატო კრებები არ უნდა დაიშალოს შემამოწმებელი საუბრების შემდეგ. ამ კრებებმა უნდა იარსებოს შემოდგომამდე, მათი მუშაობა უნდა დამთავრდეს საზეიმო კრებით სადელეგატო კრებების ახალი გადარჩევის გამო.

საზაფხულო სეზონის განმავლობაში სადელეგატო კრებები ამცირებენ თავის მუშაობას, იკრიბებიან მხოლოდ ერთხელ თვეში, მაგრამ დელეგატ - ქალების თავისუფალი დრო გამოყენებულ უნდა იქნას და ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ სადელეგატო კრება არ გაიფანტოს და რეგულიარულად მუშაობდეს. ეს უნდა იქნას მიღწეული იმ გზით, რომ დელეგატ-ქალებთან საუბრისათვის სისწორით უნდა იქნას შერჩეული მათთვის საინტერესო საკითხები, დელეგატ - ქალები ჩაბმულ უნდა იქნან ბავშვთა დაწესებულებების, ბაგების, მოედნების მოწყობის პრაქტიკულ მუშაობაში, უფრო უკეთესად უნდა იქნას დაყენებული საბჭოების სექციების მუშაობა, კოოპერატიულ აქტივთან მუშაობა და სხვ.

ზაფხულის პერიოდში სადელეგატო კრების მთელი მუშაობა დახურულ შენობიდან გადატანილ უნდა იქნას სუფთა ჰაერზე; სადელეგატო კრების ჩვეულებრივი მუშაობა უნდა შეიცვალოს ექსკურსიებით, საუბრებით სუფთა ჰაერზე; ექსკურსიების გარდა, აუცილებელია შენობის გარეთ ჩატარდეს საუბრები მუშათა საწარმოო ცხოვრების, კოოპერაციის საბჭოების მუშაობის შესახებ და სხვ. საზაფხულო სეზონის განმავლობაში დელეგატ - ქალების პრაქტიკული მუშაობა არ უნდა შესწყდეს.

სადელეგატო კრებებთან არსებული სექციების მუშაობის დამთავრების გამო ყველა სადელეგატო კრებები და ცალკე დელეგატი - ქალები უნდა დაუახლოვდენ ბავშვთა ბაგებს, კონსულტაციებს და სხვ.; დელეგატი - ქალები ჩაბმულ უნდა იქნან საქალაქო და სასოფლო საბჭოს იმ სექციების მუშაობაში, სადაც მუშაობა თითქმის არ სწყდება.

სადელეგატო კრებები ზაფხულის პერიოდშიაც უნდა იყონ მასების ორგანიზატორები. დელეგატ-ქალებმა კავშირი არ უნდა გასწყვიტონ ამომრჩეველ ქალთა ფართო მასებთან დელეგატ - ქალების მუშაობა ზაფხულის პერიოდში არ უნდა სწარმოებდეს შაბლონურად; მუშაობა უნდა [illegible] ადგილობრივი პირობების მიხედვით, ადგილობრივი მოთხოვნილებებისა და ხელმძღვანელთა კადრის არსებობის მიხედვით. ამ [illegible] უნდა გამოიჩინონ [illegible], კერძოდ სათემო უჯრედებმა, ქალთა ორგანიზატორებმა. მთელი მუშაობა უნდა ისახავდეს ერთ ძირითად მიზანს: უნდა იქნას მიღწეული ისეთი მდგომარეობა, რომ სადელეგატო კრება გახდეს ნამდვილი საზოგადოებრივი ერთეული, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ გავლენას უნდა ახდენდეს ქალაქისა და სოფლის საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

კ.კარტოზია.

# კომკავშირში

## მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის ა. ლ. კ. კ. 1-ლი კონფერენცია

### პირველი სხდომა

გუშინ, 7 ივნისს, საღამოს 6 საათზე წითელი არმიის და ფლოტის სახლის სათეატრო დარბაზში გაიხსნა ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის ა. ლ. კ. კ.-ის 1-ლი კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. **ვ. სიხარულიძემ,** რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა კომკავშირის მნიშვნელობა წითელი ჯარის რიგებში და მოუწოდა დამსწრეთ ყურადღებით მოეპყრან კონფერენციის მუშაობას.

შემდეგ არჩეულ იქნა საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია.

საპატიო პრეზიდიუმში კონფერენციამ ერთხმად აირჩია ამხ. **სტალინი, რიკოვი, კალინინი, ბუხარინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი ცხაკაია, მახარაძე, ელიავა, კახიანი, ლევანდოვსკი, რატნეკი, ჩაპლინი, გობეჩია და ბუდიონი.**

კონფერენციის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **ა. ორაგველიძის** მოხსენება საქ. ა. ლ. კ. კ-ის ც .კ-ის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო იმ მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა ც. კ. საქართველოს კომკავშირის რიგებში კომკავშირელთა აღსაზრდელათ და მათ მოსამზადებლათ შემდეგი სერიოზული მუშაობისათვის. მომხსენებელმა გაცნო კონფერენციას ის სისტემა, რომლითაც სწარმოებს კომკავშირელთა მომზადება. მან დაახასიათა ც. კ.-ის ხელმძღვანელობა, პოლიტგანათლების მდგომარეობა, კომკავშირის რიგების ზრდა. შეჩერდა აგრეთვე იმ ავადმყოფურ მოვლენებზე, რომელთაც აქვთ ადგილი კომკავშირში და სთქვა, რომ თანდათანობით ამ მოვლენათა რიცხვი კლებულობს და მალე საქართველოს კომკავშირი სრულიად გაჯანსაღდება.

დასასრულს ამხ. ორაგველიძე შეეხო სამხედრო მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა ც. კ.

ც. კ., ამბობს იგი, ამზადებდა პოლიტიკურად იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მიდიოდენ წითელი ჯარის რიგებში სამხედრო სამსახურის მოსახდელათ.

წვევამდე მზადებაში ც. კ. იღებდა მხურვალე მონაწილეობას. გამოყოფილ იქნენ პოლიტიკური ხელმძღვანელნი კომკავშირელებიდან; წერტების მოსაწყობად ადგილობრივი ორგანიზაციები უწევდნენ დახმარებას ჯარის ნაწილებს, გაცემულ იქნა ლიტერატურა და სხვა.

თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების რიგებში მრავლად არიან კომკავშირელები და ეწევიან აქტიურ მუშაობას.

ამჟამად ც. კ. აწარმოებს მუშაობას 1905 წელში დაბადებულთა გაწვევის ირგვლივ.

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სამხედრო მუშაობას თან სდევს მრავალი ნაკლი. არ არის მოგვარებული შვებულებაში მყოფ წითელ არმიელთა გამოყენების საკითხი, სუსტად მიმდინარეობს მუშაობა ცვალებად წითელ არმიელთა შორის.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, კამათში მონაწილე ამხანაგების მიერ აღნიშნული იქნა ის გარემოება, რომ კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები არ არიან სავსებით ჩაბმული სამხედრო საქმიანობაში, ბევრ ადგილას მოისუსტებს კავშირი წითელი ჯარის ნაწილებთან, კომკავშირის ორგანიზაციები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, რის გამო ყაზარმაში მიდის მრავალი უცოდინარი და სხვა.

კამათის შემდეგ შესწყდა კონფერენციის პირველი სხდომა. მეორე სხდომა შესდგება დღეს, დილის 10 საათზე.

# რა ხდება უცხოეთში

## ამერიკა-საბჭოთა კულტურული კავშირის საზოგადოება

შეერთებულ შტატებში დაარსდა საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება. საზოგადოების მიზანია—შეკავშირება ყველა იმ ამერიკელების, რომლებსაც აინტერესებს საბჭ. კავშირის თანამედროვე ცხოვრება და კულტურა, შეერთებულ შტატებში და საბჭ. კავშირში მეცნიერების ,განათლების, ხელოვნების, მუსიკისა და სხვ. განვითარების შესახებ ცნობების შეკრება და გავრცელება.

საზოგადოების მიერ გამართულ კრებაზე ფილადელფიის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორმა ლეოპოლდ სტოკოვსკიმ გააკეთა მოხსენება საბჭ. კავშირის თანამედროვე მუსიკის შესახებ; კინო-სურათების „ნანუკ“-ისა და „ნოანა“-ს რეჟისორმა გააკეთა მოხსენება საბჭ. კინოს შესახებ. ნიუ-იორკის დრამატიული ლიგის თეატრის—„გილდ-თეატრ“-ის — დირექტორმა წაიკითხა მოხსენება საბჭოთა კავშირის თეატრალური ხელოვნების მიღწევების შესახებ. ცნობილმა პედაგოგმა ელიზავეტა ფარრელმა გააცნო დამსწრეთ საბჭოთა კავშირის სკოლებში არსებული პედაგოგიური მეთოდები.

საზოგადოების გამგეობაში შედიან: პროფესორი ჯონ-დიუი, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფ. ერნესტ. პეტერსონ, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი მურ, ვ. ა. ეილსონ, პროფ. ჯერომდევისი, ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორი მურ, ვ. ა. ნეილლების საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი სტეფან პ. დუგგანი, მუსიკოსი სტოკოვსკი და სხვ. გამგეობის თავმჯდომარეა—გრეხემ ტაილორი.

საზოგადოება ზომებს იღებს, რომ საბჭოთა კავშირმა მიიღოს მონაწილეობა ხუროთმოძღვრების გამოფენაზე, რომელიც შეერთებულ შტატებში ეწყობა.

# აღმოსავლეთში

## ინგლისელების თარეში პალესტინაში

არაბთა აღმასრულებელმა კომიტეტმა პროტესტი გაუგზავნა ერთა ლიგას ინგლისის ხელშეკრულების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. პროტესტი, სხვათა შორის, შეიცავს იმ მეთოდების აღწერას, რომლებსაც (ინგლისის მთავრობის დახმარებით მიმართავენ სიონისტები, რომ ხელში ჩაიგდონ არაბეთის მიწები.

პირველ მაისს გაიმართა კომუნისტური დემონსტრაციები ხაიფაში, იაფფაში და იერუსალიმში. ამ დემონსტრაციებში არაბ და ებრაელ მუშების დიდმა რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა. პოლიციამ გაჰფანტა დემონსტრაციები; დემონსტრაციების მრავალ მონაწილეს სცემეს, ბევრი დასჭრეს. ამავე დროს ხდებოდა კომუნისტების მასიური დაპატიმრება. მუშათა წრეებში, პოლიციის მოქმედებამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. რეფორმისტულმა პროფორგანიზაციამ „ჰის ტადრუტმაც“ კი განაცხადა პროტესტი პოლიციის ტერორის წინააღმდეგ.

# ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაული

ს. საკავშირო საბჭოთა მე-4 ყრილობისა და საბჭოთა კავშირის ცაკის მე-4 მოწვევის პირველი სესიის დამთავრების შემდეგ მოსკოვში 25—26 აპრილს,— ჩვენ მიგვიწვიეს **„საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებულ ცენტრალურ,** სრ. საკავშირო კომისიის თათბირზე“ კრემლში 27 აპრილს. სხდომა გაიმართა მხოლოდ ერთხელ, მაგრამ იგი იყო საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი. კრება მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო თავისი შემადგენლობით. კრებაზე დაესწრენ ადგილების და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. მართალია, კრების უმრავლესობა იყო ცენტრიდან და საზოგადოთ მოსკოვიდან და რ.ს.ფ.ს. რ-იდან. მაგრამ ეს ბუნებრივია, რაკი იგი მოწვეული იყო რამოდენიმედ შემთხვევით, მხოლოდ საბჭოთა ყრილობის დროს. უეჭველია, რომ სრ. საკავშირო-რევოლიუციონური საზოგადოებრიობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენისათვის, როგორიცაა ოქტომბრის ათი წლის თავი, — მოწვეულ უნდა ყოფილიყო მთელი **კონფერენცია** ადგილობრივი (საკავშირო-რესპუბლიკანურ და ეროვნულ-რესპუბლიკანურ) კომისიების წარმომადგენელთაგან ცენტრალური საკავშირო კომისიის მეთაურობით. მე ეს აზრი გამოვსთქვი სხდომის დასაწყისში და შევიტანე წინადადებაც კი, რომ ეს კრება,—თუმცა იგი არ იყო მოწყობილი ადგილების წარმომადგენლობის პრინციპის სისწორით და მტკიცედ დაცვის საფუძველზე, მაგრამ მაინც საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო,—გამოცხადებულ იქნეს პირველ ასეთ კონფერენციად და შეიძლება, რამდენიმე თვის შემდეგ,—დაახლოებით ოქტომბრის წინ,—კიდევ მოგვეწვია მეორე კონფერენცია იმის შესამოწმებლად, თუ რა გაკეთდა და რას აკეთებენ ადგილები ოქტომბრის 10 წლის თავის დღესასწაულისათვის. **ეს აზრი კრებამ მოიწონა.**

თათბირზე ცენტრალური კომისიის სახელით გაკეთებულ იქნა ერთი ძირითადი მოხსენება ამხ. პოდვოისკის მიერ; მოხსენება იყო საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა ჩემი წინადადება, რომ მოხსენების გარშემო, აზრთა გაცვლა-გამოცვლასთან ერთად, ყოველ დამსწრეს ადგილიდან, ცენტრიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან--პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებიდან--გაეკეთებია პატარა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა დღემდე და რა კეთდება ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავის დღესასწაულისათვის. პირველი სიტყვა მომცეს მე. მე მათ მოკლედ ვაცნობე, რომ ამიერ-კავკასიის ცაკთან არსებობს „ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ცენტრალური კომისია“, რომელიც, რასაკვირველია, უფრო დამხმარე სადირექტივო ხასიათს ატარებს ჩვენ სამ ძირითად—საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებისა და ხუთ ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ავტონომიურ ოლქებისადმი, სადაც არის გადატანილი სიმძიმის ცენტრი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის მოწყობისა და ჩატარებისათვის. მე ვსთქვი, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ერთი თვის წინად მოვიწვიეთ ამ კომისიის პლენუმი ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად. ამ პლენუმზე განხილულ იქნა დღესასწაულის საერთო გეგმა და ხასიათი საბჭოთა კავშირის ცაკის სრ. საკავშირო ცენტრალურ კომისიასთან საერთო კონტაქტში; შემდეგ შედგენილ იქნა 4—5 ქვეკომისია, რომლებშიაც კრებაზე დამსწრეთა და კომისიის წევრთა გარდა, შევიდენ სხვა ამხანაგებიც თბილისიდან,—ქვეკომისიების ამოცანების ხასიათის მიხედვით. მე გამოვსთქვი სურვილი, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ამ საერთო მასიური საქმის ცენტრალიზაცია არ უნდა მოხდეს ადგილობრივ, მაგრამ მაინც დღესასწაულის მომზადებისა და მისი გატარების პროცესში, 1 მაისიდანვე, ყველა რესპუბლიკები და ადგილები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ ცენტრალური სრ. საკავშირო კომისიის საშუალებით“.

თათბირის სხვა მონაწილეთა მოხსენებებიც არსებითად დაახლოებით ასეთივე შინაარსის იყო—მათ თათბირს გააცნეს თავისი გეგმები და ადგილების და ორგანიზაციების ხასიათი. მხოლოდ ქალთა წარმომადგენელმა (მოსკოვიდან) ამხ. ნიურინმა გამოსთქვა მწუხარება, რომ ვითომც ჩვენ დავიგვიანეთ, რომ დღესასწაული ეხლავე უნდა დაგვეწყო, გაზაფხულის დადგომისთანავე და ამისათვის უფრო ადრე უნდა შევთანხმებულიყავით.

პასუხში მე გამოვსთქვი გაოცება, რომ ოქტომბრამდე ექვსი თვეა და ამ ხნის განმავლობაში ჯერ კიდევ გვაქვს იმდენი დრო, რამდენი დროის განმავლობაშიაც ჩვენ 1917 წელში მოვასწარით დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მომზადება და მოხდენა, და ნუ თუ ჩვენ დღეს 1927 წელში არ შეგვიძლია მისი ათი წლისთავის დღესასწაულის რეპეტიციის მოხდენა? კრებამ მოიწონა ასეთი განცხადება.

ამხ. პოდვოისკის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა, სხვათა შორის, შემდეგი:

1) ამ თათბირის სტენოგრამა და დაწერილებითი ოქმი დაუყოვნებლივ დაეგზავნოს რესპუბლიკებს და ადგილებს.

2) სასურველია, რომ ადგილებმა ცენტრალურ სრ. საკავშირო კომისიას მიაწოდონ ინფორმაცია თავისი მუშაობის შესახებ დღესასწაულის მომზადების დარგში.

3) წინადადება მიეცეს ცენტრალურ კომისიას, რომ ოქტომბრამდე კიდევ მოეწყოს ასეთი თათბირი, რომელშიაც რესპუბლიკების და ადგილების კიდევ უფრო მეტი წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობას; ამ თათბირმა უნდა შეამოწმოს მუშაობა დღესასწაულის მზადებისა და ჩატარებისათვის.

4) სრ. საკავშირო ცენტრალურ კომისიისაგან გამოყოფილ იქნას ერთი წევრი, თუნდაც თვით ამხ. პოდვოისკი, და გაიგზავნოს იგი საბჭოთა კავშირის ყველა უმთავრეს ადგილებში არა მარტო საინფორმაციო, არამედ აგრეთვე საინსტრუქტორო მიზნით.

5) ადგილებს და რესპუბლიკებს, განსაკუთრებით ეროვნულ-კულტურულად ჩამორჩენილ ადგილებს და რესპუბლიკებს აღმოეჩინოს, რამდენადაც შესაძლოა, ნივთიერი დახმარება იმისათვის, რომ ეროვნულ ენაზე გამოსცენ ერთი-ორი არა იმდენად ვრცელი, მაგრამ საკმაოდ საპროპაგანდო-სააგიტაციო ხასიათის ბროშურა, რომ გამოსცენ აგრეთვე პლაკატები ადგილობრივ ენებზე და სხვ.; ამასთანავე მტკიცედ უნდა იქნას დაცული **„მომჭირნეობის რეჟიმის“** პრინციპი.

ეხლა რამოდენიმე სიტყვა ამიერ-კავკასიის ა.-კ. ცაკთან არსებული კომისიის მუშაობის შესახებ. სამწუხაროდ, უკვე თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული „თათბირი“ მოხდა მოსკოვში და დღემდე ვერ მოხერხდა მისი მეორე პლენუმის მოწვევა, რომ შემოწმებულ იქნას, თუ რას აკეთებენ ქვეკომისიები, რომ ჯამი გაუკეთდეს მათ ნამუშევარს და მიღებულ იქნას დღესასწაულის საბოლოო გეგმა სრ. საკავშირო ცენტრალურ კომისიასთან საერთო კონტაქტში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს თათბირი ამ უახლოეს ხანში იქნება მოწვეული.

მანამ კი ერთგვარი ანგარიშის სახით ვადგენ იმას, რაც მე პირადათ გავაკეთე.

**ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია.**

# სასამართლოს რეფორმის შესახებ*)

ამ რამოდენიმე დღის წინად იუსტიციის სახალხო კომისარიატმა, სასამართლოს ორგანიზაციის არსებული სისტემის გარდაქმნისათვის წამოაყენა ახალი პროექტი, რომლითაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოები უნდა გაუქმდეს და მათ ნაცვლად დაარსდეს ყველა მაზრაში სამაზრო სასამართლოები, მხოლოდ სახალხო და უზენაეს სასამართლოები უნდა დარჩეს უცვლელად, უკანასკნელისათვის ერთი მთლიანი საკასაციო წესით საქმეების გადასინჯვის უფლების დატოვებით.

ჩვენ, სასამართლოს ასეთი აპარატის რეფორმის წინააღმდეგნი ვართ და იუსტსახკომის მიერ წარმოდგენილი პროექტი მიუღებლად მიგვაჩნია ქვემო მოყვანილ მოსაზრებათა გამო:

სასამართლოს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ ორგანოს, უნდა ახასიათებდეს სიმარტივე, მას და მშრომელი ხალხს შორის არ უნდა იყოს ძნელი „მიმოსვლის“ გზა. ამჟამად არსებულ სასამართლოს აპარატს და არც იმას, რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი პროექტით, ეს არ ახასიათებს. წარმოდგენილი პროექტით სამაზრო სასამართლოები იგივე ოლქის სასამართლოებია და ზოგიერთი საქმის გართულების გარდა არავითარი განსხვავება არ არის; მაშინ, როდესაც რევოლიუციონური კანონიერების გატარება, სასამართლოს ორგანოების მშრომელი მასებთან დაახლოება, ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“ განხორციელება, სასამართლოს ორგანოებში შეპარულ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, და საერთოდ საბჭოთა დაწესებულების გამარტივება, ეკონომრეჟიმის პრინციპები მოითხოვს სასამართლოს არსებულ სისტემის საფუძვლიანად შეცვლას და არა გართულებას და მარტოოდენ სახელწოდების შეცვლას.

ჩვენ ერთში ვეთანხმებით პროექტის ავტორებს, რომ საჭიროა სასამართლოს აპარატის გამარტივება, რომ ოლქის სასამართლოს არსებობა არ ეგუება სინამდვილეს, საბჭოთა სასამართლოს ძირითად საფუძვლებს, რომ საჭიროა ამ სისტემის შეცვლა, მაგრამ აქ უკვე მიუღებელია, ნაცვლად გაუქმებული ოლქის სასამართლოებისა, სამაზრო სასამართლოების დაარსება.

პროექტის მიხედვით ყველა მაზრაში უნდა იყოს სამაზრო სასამართლო, რომელიც იმუშავებს ადგილობრივი სახ. სასამართლოს შენობაში ერთი თავმჯდომარის, ერთი მდივანის და საქმის წარმოებლის შემადგენლობით და გაარჩევს როგორც სისხ. სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეებს. ჩვენ გვგონია, რომ სინამდვილეში სამაზრო სასამართლოები ბევრ დაბრკოლებას წააწყდება.

ჯერ **ერთი** თვით მაზრაში საჭირო იქნება სესიების მოწყობა და გამგზავრება მაზრაში მოსამართლესი მდივანთან ერთად. ამნაირად სამაზრო ცენტრში უნდა დარჩეს ერთი საქმის მწარმოებელი, რომელსაც შეუძლებელია დაეკისროს მოსამართლის მოვალეობის ასრულება.

**მეორე**—თუნდაც არ შეიქნეს საჭირო სესიები, თავმჯდომარე სახალხო მსაჯულებთან ერთად უნდა არჩევდეს საჯარო სხდომაზე საქმეებს, სხდომის ოქმს კი აწარმოებდეს მდივანი, ამ შემთხვევაში განა ერთი საქმის მწარმოებელს შეუძლია შეადგინოს საქმეები. აწარმოოს დავთრები, გამოწეროს უწყებები და საბრალმდებლო დასკვნის ასლები დაამზადოს? რა თქმა უნდა ეს შეუძლებელია და მოგვიხდება შტატის გადიდება.

**მესამე**—მოუხერხებელია აგრეთვე იმით, რომ შესაძლებელია სასამართლოში ერთი რომელიმე რთულ საქმის გარჩევამ გასტანოს 3—4 დღე. ამ შემთხვევაში ხომ მოუხდა სახალხო მოსამართლეს იჯდეს უმოქმედოთ და უცადოს საქმის დამთავრებას, პროექტით კი სამაზრო სასამართლომ უნდა ისარგებლოს სახალხო სასამართლოს შენობით და დარბაზით.

**მეოთხე**—ამ სისტემით არ იქნება გამარტივება ანგარიშიანობის მხრივ, ვინაიდან სახალხო სასამართლოს მოუხდება ანგარიში აძლიოს ადგილობრივ აღმასკომს, სამაზრო სასამართლოს, უზენაეს სასამართლოს, იუსტსახკომს, ფინსახკომს და სხვა და სხვა. ეს კი დიდ დროს მოითხოვს.

**მეხუთე.**—პროექტით, უკეთუ უზენაეს სასამართლომ დაარღვია სამაზრო სასამართლოს განაჩენი, საქმე უნდა გაარჩიოს მეზობელ სამაზრო მოსამართლემ, რომელსაც შეიძლება ექნეს მრავალი საქმე და ერთი საქმისათვის უნდა მოსცდეს რამდენიმე დღე წასვლა-წამოსვლის ჩათვლით; და თუ ხელმეორედ საქმის გარჩევა დაეკისრა სახ. მოსამართლეს, მაშინ პროექტში უნდა იყოს ერთგვარი ულოღიკობა, რადგანაც სახ. მოსამართლეს, რომელიც დაბლა სდგას, ვიდრე სამაზრო მოსამართლენი, მოუხდება სამაზრო მოსამართლის მიერ განხილული და დარღვეული საქმის ხელმეორედ გარჩევა და სამაზრო მოსამართლის მიერ დაშვებულ შეცდომების გასწორება.

ყველა ზემოაღნიშნულ და პრესაში პროექტის საწინააღმდეგო გამოთქმულ მოსაზრებათა გამო მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ოლქის სასამართლოს გაუქმება და მის ნაცვლად სამაზრო სასამართლოების დაარსება.

აგრეთვე მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ქუთაისში უზენაეს სასამართლოს ერთგვარ განყოფილების დაარსება, ვინაიდან სინამდვილეში ეს მთლიანი საკასაციო ინსტანციის დარღვევა იქნებოდა. მიუღებელია აგრეთვე ფინანსიური მხარის მიხედვითაც რადგანაც პროექტით გათვალისწინებულ სასამართლოს სისტემა გამოიწვევს არამც ეკონომიას, შემცირებას, არამედ უფრო ზედმეტ ხარჯებს.

ჩვენ არ ვეთანხმებით არც იმ ამხანაგებს, რომლებიც გამოდიან პროექტის საწინააღმდეგოთ და მოითხოვენ ოლქის სასამართლოს დატოვებას და თავიანთი მოსაზრებათა დასამტკიცებლად მოჰყავთ ის მოსაზრება, თითქოს ოლქის სასამართლოში უფრო გამოცდილები და მომზადებული ამხანაგები მუშაობდნენ, რომ თითქოს სახალხო ან სამაზრო მოსამართლენი ვერ შესძლებენ რთულ საქმეების განხილვას ან და ოლქის სასამართლოზე უფრო ნაკლები იხარჯება, ვინემ დაიხარჯოს პროექტის მიხედვით. ჩვენის აზრით ეს არის არგაგება საერთოდ დაწესებულებათა გამარტივების, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მეთოდების, თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ პირობების და ცხოვრების მოთხოვნილების.

ამრიგათ პროექტით გათვალისწინებული სასამართლოს აპარატის რეფორმა სავსებით მიუღებელია და მიუღებელია აგრეთვე თვით ოლქის სასამართლოებიც. ჩვენის აზრით იუსტსახკომი უნდა გაბედულათ გადავიდეს ბიუროკრატიზმთან ბრძოლაზე, და მოსპოს ზედმეტი ხარჯები და ყველა ის რაც ხელს უშლის საქმის მალე დამთავრებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიზანს მივაღწევთ იმ შემთხვევაში თუ ოლქის სასამართლოები, როგორც თანამედროვე პირობებში დრომოჭმული და ზედმეტი ბალასტი, დაუყოვნებლივ მოისპობა და მათი ფუნქციები განაწილებულ ქნება სახალხო სასამართლოთა შორის, მით უმეტეს, რომ 1) სამოქალაქო საქმეებზე უკვე რ.ს.ფ. რესპუბლიკაში სახალხო სასამართლოთა ქვემდებარეობა 2.000 მანეთამდე გაადიდეს, 2) ოლქის სასამართლოს წევრნი იგივე სახ. მოსამართლენი არიან და თუ ზედმეტად არ არიან დახელოვნებულნი მუშაობაში. ოლქის სასამარ. წევრებს არ ჩამორჩებიან თავიანთი ცოდნის, პრაქტიკის და სტაჟის მიხედვით, რომ ოლქის სასამართლოს დიდი ხანია ჩამოერთვა საადმინისტრაციო და საინსტრუქციო ფუნქციები და გადავიდა იუსტსახკომზე, 3) ამნაირად ოლქის სასამართლოს მოვალეობა და ფუნქციები დღითი დღე მცირდება და დღეს კი დროული უნდა იყოს მისი სავსებით გაუქმება, 4) შედარებით რ. ს. ფ. რესპუბლიკასთან, საქართველოს ტერიტორია პატარაა და თუ იქ ამართლებს საგუბერნიო და საოლქო სასამართლოები თავის დანიშნულებას აქ ეს ზედმეტია, რადგან თვით ადმინისტრატიულ ცენტრს თვითონ შეუძლია მიაწოდოს ინსტრუქციები და გაუწიოს უშუალო ხელმძღვანელობა, რაც არამც თუ სასურველია, არამედ აუცილებელიც.

ზემოაღნიშნულ ოლქის სასამართლოების გაუქმებით და მათი საადმინისტრაციო - საინსტრუქციო ფუნქციების იუსტსახკომზე გადაცემით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ფრიად მნიშვნელოვანი საქმეთა ქვემდებარეობით უზენაეს სასამართლოზე გადაცემით, მხოლოდ დანარჩენ საქმეთა ქვემდებარეობით სახ. სასამართლოებზე გადაცემით, ჩვენ მივაღწევთ რამდენიმე მიზანს:

**პირველი**—სასამართლოს აპარატში მოისპობა ერთი ზედმეტი ინსტანცია სახალხო და უზენაეს სასამართლოების შორის, რითაც საგრძნობლად გამარტივდება იგი;

**მეორე.**—სახალხო სასამართლოებს მიეცემათ უფრო მეტი წონა, მეტი ღირსება და პრესტიჟი სახ. სასამართლოების ფუნქციების გაფართოების გამო;

**მესამე**—განმარტივება განხილულ საქმეთა საკასაციო და ზედამხედველობითი წესით გადასინჯვა და ამ მიზნით საქმის დაუსრულებელი გაგზავნა-გამოგზავნა და მიმოწერა;

**მეოთხე**—ჩვენ დავზოგავთ ან უფრო სწორეთ საქმეს მოვახმართ იმ თანხებს, რაც დღეს უნდება ოლქის სასამართლოს შენახვას;

**მეხუთე:**—თბილისში და ქუთაისში ის, შენობა, რომელიც უკავია ოლქის სასამართლოებს, დაეთმობათ ქალაქის ყველა უბნის სახ. სასამართლოებს და ამით კი გაუმჯობესდება სახალხო სასამართლოების მუშაობის პირობები, დაგვრჩება სახალხო სასამართლოსთვის დაქირავებული შენობების ქირა, მაგალითად თბილისში მარტო მესამე უბნის სახალხო სასამართლოს მიერ დაკავებულ შენობაში თბილისის აღმასკომი იხდის თვიურად 160 მანეთზე მეტს;

**მეექვსე:**—თუ რამოდენიმედ (მართალია, მცირედ) ხელს შეუწყობს საბინაო კრიზისის ლიკვიდაციას სახალხო სასამართლოების გაუქმებულ ოლქ. სასამართლოს შენობაში გადასვლა და მათ მიერ დაკავებულ (თბილისში) 40—80 ოთახის რაოდენობით განთავისუფლება;

**მეშვიდე**—ოლქის სასამართლოს გაუქმების შემდეგ დაზოგვილი თანხით შესაძლებელი იქნება რესპუბლიკის მასშტაბით მაზრაში დამატებით სახალხო სასამართლოს მომატება და არსებული სახალხო სასამართლოს შენობის პირობების გაუმჯობესება;

**მერვე**—ოლქის სასამართლოს წევრები დახელოვნებულნი სასამართლოს მუშაობაში, როგორც პროექტით არის გათვალისწინებული, ზოგი გადავა უზენაეს სასამართლოში და ზოგი კი სახალხო სასამართლოში. ჩვენ კი ვიცით, რომ სახალხო სასამართლო, რომელთანაც მეტ წილად და უშუალოდ აქვთ დამოკიდებულება მშრომელ მასებს, უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე და იქ მუშაობდეს გამოცდილი მოსამართლენი, მით უმეტეს მაზრებში. ეს კი გააუმჯობესებს სახალხო სასამართლოს მუშაობის პირობებს;

**მეცხრე**—გამარტივდება მიწერ-მოწერა და სახალხო სასამართლოს ანგარიშის მიცემა, დღეს კი იგი თვიურ სამთვიურ, ნახევარ წლიურ და წლიურ სხვადასხვა ანგარიშებს უდგენს იუსტსახკომის პირველ და მეოთხე განყოფილებებს, ოლქის სასამართლოს, ფინსახკომს და სხვა;

**მეათე**—შეიქმნება ერთი მთლიანი საკასაციო ინსტანცია, ერთი გაგება კანონის და ერთი ხელმძღვანელობა;

**მეთერთმეტე**—ოლქის სასამართლოების გაუქმებით და მისი ფუნქციების სახ. სასამართლოებისათვის გადაცემით შეცვლილი იქნება საპროცესო კოდექსები და უკანასკნელ რეფორმის გატარების შემდეგ გაცილებით შემოკლდება და გამარტივდება;

**მეთორმეტე:**—თუ სამაზრო სასამართლოების არსებობის დროს მაინც საჭირო შეიქნება სესიები მაზრაში და ამ მიზნით საქმეების დაგროვება სხვა ოლქის სასამართლოს ფუნქციების სახ. სასამართლოებზე გადაცემით ეს არ იქნება საჭირო და მაშასადამე საგრძნობლად შემცირდება საქმის განხილვის გაჭიანურება;

**მეცამეტე:**—განხორციელებულ იქნება ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“.

რაც შეეხება სახალხო სასამართლოზე მაზრის ხელისუფლების გავლენას, ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით, რადგან ეს უსაფუძვლოა, ვინაიდან, თუ ის სახალხო სასამართლოები, რომლებსაც დაეკისრება ოლქის სასამართლოს ფუნქციები, მოყვებიან მაზრის ხელისუფლების „გავლენის“ ქვეშ, ასევე შეიძლება ითქვას თბილისის სახალხო საოლქო და უზენაეს სასამართლოზედაც. მაგრამ რა კი ამას თბილისში არ აქვს ადგილი მით უმეტეს მაზრაში არ ექნება, ვინაიდან სახ. მოსამართლე და ადგილობრივი მაზრის ხელისუფლების თვითეული წარმომადგენელი უფლებებით ერთნაირი არიან.

ვათავებთ რა იუსტსახკომის მიერ წამოყენებულ პროექტის ძირითად პრინციპების გარჩევას დავასკვნით: სრულიად მიუღებელია--ნაცვლად ოლქის სასამართლოსი სამაზრო სასამართლოს დაარსება. არამედ საჭიროა ოლქის სასამართლოს სრული გაუქმება და მისი ფუნქციების სახალხო სასამართლოზე გადაცემა. მიუღებლად მიგვაჩნია აგრეთვე ქუთაისში უზენაეს სასამართლოს მუდმივი სესიის დაარსება; ვფიქრობთ, რომ გაცილებით უკეთესი იქნება მთლიანი ერთ ინსტანციანი საკასაციო სისტემის განმტკიცება.

დასასრულს ვაცხადებთ, რომ თუ ჩვენი მოსაზრება ცნობილი იქნება პარტიისადებათ, საჭიროებისამებრ წარვადგენთ ამ მოსაზრებების მიხედვით სასამართლოს აპარატის რეფორმის დაწვრილებითი გეგმას.

ტ. მგალობლიშვილი
ი. მოსესოვი.
გ. არჩუაშვილი.

---

*) დისკუსიის წესით.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### გლეხთა ურთიერთ დახმარება

**თელავი**, 6 ივნისი. 5 ივნისს თელავში ამხ. **ხომერიკის** და **ჩოდრიშვილის** თანდასწრებით გაიმართა გლეხთა საურთიერთო დახმარების სამაზრო კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრენ სასოფლო კომიტეტების თავმჯდომარეები და სარევიზიო კომისიების წევრები.

მოსმენილი იქნა სამაზრო კომიტეტის მოხსენება და მოხსენებები ადგილებიდან. (ადს).

### დასასვენებელი სახლი

**თელავი**, 6 ივნისი. შუა-მთის ყოფილ მონასტრის შენობაში, რომელიც მოთავსებულია ცივი გომბორის ქედზე, თელავიდან 8 ვერსის მანძილზე, სამაზრო პროფკავშირთა ბიურომ მოაწყო დასასვენებელი სახლი. სეზონის განმავლობაში იქ გაიგზავნება 60 კაცი. (ადს).

### აჭარისტანი

### ცოფიანი ძაღლები

**ბათომი**, 6 ივნისი. უკანასკნელ ხანებში გახშირდა ცოფიანი ძაღლების მიერ ადამიანების და ცხოველების დაკბენა. მაისის განმავლობაში იყო 40 ასეთი შემთხვევა. ყველა დაკბენილები გაიგზავნენ ბათომის პასტერის სახელობის ქვესადგურში. (ადს).

### ვენეროლოგიური დისპანსერი

**ბათომი**, 6 ივნისი. დამთავრებულია ჯანსახკომის ვენეროლოგიურ დისპანსერის მოწყობა, რომელსაც დაეთმო ცალკე შენობა ქალაქის ცენტრში. დისპანსერი ამ დღეებში გაიხსნება. (ადს).

## წერილები

### დაიწყეთ კამპანია რიონზე ხიდის აგებისთვის

(ვანი, ქუთაისის მაზ.)

ვანი წარმოადგენს პატარა, მაგრამ ლამაზად შემკულ დაბას. პატარა ბაზარს ამკობს ლამაზი და სუფთა ქუჩები. დაბაში არის ფოსტა და რკინის გზის ქალაქის სადგურის განყოფილება. რამოდენიმე წლების წინეთ დაიწყეს სახალხო სახლი, მაგრამ აშენდა რა ერთი არშინის სიმაღლემდე გაჩერდა და დღესაც ისე საწყლად გამოიყურება. არ ვიცით რას ფიქრობს საალმშენებლო კომისია. ქალაქისთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ მის დამთავრებას ვინმე მოსწრებოდა.

ყველაზე მეტ ზიანს აყენებს ადგილობრივ გლეხობას, უგზოობა, რომლებიც მიუხედავათ იმისა, რომ მდიდარი არიან ადგილობრივი სოფლის ნაწარმოებით, არ ეძლევათ საშუალება, რომ გაიტანონ ქალაქის ბაზარზე. ამიტომ ჩალის ფასათ აძლევს ადგილობრივ ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც აქ ძალიან არიან გამრავლებული. ადგილობრივი გლეხობის ჩივილს წარმოადგენს უგზოობა, რომელიც გამოწვეულია რიონზე ხიდის უქონლობის გამო. გლეხები ამბობენ,— ოღონდ ხიდი გაკეთდეს და ჩვენ არ დავიშურავთ მისთვის არც ფულს და არც შრომასო. და მართლაც ისე გაჭირვებული არიან რიონის ახლო-მახლო მდებარე სოფლები, რომ მე მგონი დიდი თანხა და ცოცხალი ძალაც იქნება შეკრებილი ამისათვის, რომ ამას ვინმე ითავებდეს და დასაწყისს მისცემდეს. ეს ვალი არის ადგილობრივ ვანის თემის საბჭოსი. მან უნდა აღძრას ამაზე შუამდგომლობა და მისცეს საქმეს დასაწყისი. ეს იქნება ახალი საბჭოს დიდი მიღწევა.

ელია ხუდნარელი.

### ჩვენც წინ მივიწევთ

(ლანირ-ჭაგანი, ქუთ. მაზრა)

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როგორც სხვა, ისე ჩვენი თემიც მრავალ მხრივ დაწინაურდა. მთელ რიგ მიღწევებთა შორის აღსანიშნავია, ამხ. შ. ელიავას სახელობის სახალხო სახლი, რომლის აშენებისათვის მუშაობა დაიწყო 1924 წ. და დამთავრდა 1925 წლის დამლევს. შენობის აგება დაჯდა სულ 14.630 მან. და იტევს 700 კაცს. მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ თემის მცხოვრებლებმა. ამხ. გ. ღლონიძემ, ს. გვალიამ, ი. გოგმეჩაძე, ა. ფრანგიშვილმა და გ. ოდილავაძემ; სახალხო სახლი თავის დანიშნულების და მიხედვით აკმაყოფილებს არა მარტო ჩვენს თემს, არამედ მოსაზღვრე თემებსაც. საბჭოს და მასიურ კრების დადგენილებით ივნისში უნდათ მოაწყონ სახ. სახლის საზეიმო გახსნა, სადაც მოპატიჟებულია მთელი რიგი უფროს ამხანაგების როგორც ცენტრიდან, ისე მაზრიდან და რაიონიდანაც, გლეხობა: კაცი ქალი; მოხუცი და ახალგაზრდა ყველანი გულისძგერით ელოდებიან ამ დღეს. იციან, რომ მათთან საუბარი ექნებათ ხელისუფლების ხელმძღვანელ ამხ-ბს. და ეს დღეც ახლოვდება, იმედი გვაქვს ყველა მოპატიჟებული ამხ-ბი მოვლენ და დაესწრებიან ამხ. შ. ელიავას სახელობის სახ. სახლის საზეიმო გახსნას.

ვლასი გალდავა.

### დავაარსოთ ბანკი

(თავასის თემი, შორ. მაზ.)

მევახშეებმა საშუალო და ღარიბ გლეხობას გააძვრეს ტყავი. 10 მანეთზე თვეში სარგებელს იღებენ 1 მანეთს, და ეხლა ხშირია შემთხვევა 1 50 კაპ.—2 მანეთამდეც ღებულობენ. ჩხარის რაიონში გვაქვს სამეურნეო ბანკი, მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებს გლეხობის მოთხოვნილებას. ხშირია შემთხვევა, 10-18 ვერსიდან 10-ჯერ უხდება გლეხს მისვლა და ისევ ცარიელი მიდის უკან.

საჭიროა მუხურის თემის და თავასის თემის მოწინავე გლეხობამ გამოილოს ხმა. მათ დაეხმარონ სათემო აღმასკომები და ამ ორ თემში დავაარსოთ სამეურნეო ბანკი და ამით 2000 მეკომური გლეხი გავანთავისუფლოთ მევახშეებისაგან. მე სრული იმედი მაქვს, ჩვენ ამას შევსძლებთ და კიდევაც დაგვეხმარება მთავრობა, თუ არ დავიზარებთ და ამით ამოვდებთ ლაგამს მევახშეებს.

იქაური.

### დაწყებულ საქმეს დამთავრება უნდა

(ხიდისთავი გურია)

ხიდისთავი კარგი მოზრდილი რაიონია ოზურგეთის მაზრაში. ამ ბოლო ხანებში აღმშენებლობის საქმეც კარგათ მიმდინარეობს. მაგალითად; აქ ამ დროებით სწარმოებს მუშაობა არხის გასაყვანად, რომელმაც უნდა მორწყოს რამდენიმე ასეული დესეტინა მიწა, რის შემდეგ შეიძლება ყოველგვარი კულტურული მცენარის მოშენება. აგრეთვე ამ არხზედ შეიძლება ელექტრო სადგურის აშენება. ყველა ამ აღმშენებლობის საკითხს ადგილობრივი გლეხობა აღფრთოვანებით და იმედის თვალით შესცქერის. მაგრამ გლეხობას ერთი რამ აშინებს, სახელდობრ ის, რომ ამ წამოწყებას არ ეწვიოს ისეთი ბედი, როგორიც ეწვია აქაურ გზებს. გლეხობამ დიდი შრომა გასწია გზების გასაკეთებლად მაგრამ ეს შრომა ჯერ-ჯერობით უნაყოფო არის, მით, რომ ამ გზებზე არ არის კენჭი და არც ბოგირები. თუმცა ადგილობრივი აღმასკომი დიდ შრომას ეწევა, მაგრამ ეკონომიური მდგომარეობა ცუდი აქვს და არ აქვს საშუალება, რომ ეს მნიშვნელოვანი წამოწყებები დაამთავროს.

სამაზრო აღმასკომმა მეტი დახმარება უნდა გაუწიოს ხიდისთავის რაიონს.

ამ. მეგრელიძე.

### წერილებიდან

**„არ - აშენდა“ კლუბი** (ქვემო-ავჭალა). 1923 წელში ქვემო - ავჭალაში დაიწყეს კლუბის შენება. რაღაც მიზეზების გამო ააშენეს კედლები და მერე შენება შეაჩერეს. 3 წელიწადზე მეტი გადის, კედლები ფუჭდება, შენობის დამთავრებას კი არავინ ყურადღებას არ აქცევს—ტყვილად დაეხარჯა მთავრობას რამდენიმე ათასი მანეთი. საჭიროა გამორკვევა, თუ რატომ შეჩერდა კლუბის შენება, ან გადადებული თანხა სად წავიდა; ეს „არ-აშენდა“ კლუბი უნდა დავამთავროთ.

მაგნიტი.

**კოშკიან სკოლას** (თერჯოლა, შორ. მ.). თერჯოლის 7-წლედის შეკეთებაზე ჯერ კიდევ გასულ წელში დაიწყო ლაპარაკი; ფულის ნაწილი უკვე შარშან აკრიფეს, კომისიაც აირჩიეს, მაგრამ საქმეს რაღაცა აფერხებს. კომისიის წევრს, რომ კითხოთ — რას უყურებთ,—გიპასუხებთ — ტეხნიკოსი უნდა ჩამოვიდესო. საჭიროა ახლა მაინც გამოფხიზლდეს კომისია და დაიწყოს საქმე. სწორედ ახლაა სკოლის შეკეთების დრო.

აქაური.

**საჭიროა ხიდის აგება** (სოფ. ამაღლება, გურია). დიდი ხანია ამბობდენ მდ. სუფსაზე ხიდის აგების შესახებ ჩოხატაურსა და ნაგომარს შორის სოფ. ამაღლებას პირდაპირ. მაგრამ ამ საქმეს არ მიეცა დასაწყისი არც ახლა. საჭიროა გზათა სამმართველომ ითავოს ეს საქმე, აიღოს თავის ხელში ხიდის აგება სუფსაზე, გლეხობა კი ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს.

ა. შაფათავა.

**აუცილებელი საჭიროება** (სოფ. მამათი, ოზურგეთის მ.). ამ თემში არ არის არც ექიმი და არც ფერშალი. ავათმყოფის პატრონს ექიმისთვის უნდება ოზურგეთში ან ლანჩხუთში წასვლა. ეს ქალაქები კი ძალზე მოშორებული არიან ჩვენს თემს. ექიმბაშები სარგებლობენ იმით, რომ თემში ექიმი არ არის, ტყავს აძრობენ გლეხებს და ხშირად წუთი სოფელსაც ასალმებენ. ადგილობრივმა თემსაბჭომ ყოველივე ზომები უნდა მიიღოს ჩვენს თემში საექიმო პუნქტის დასაარსებლად.

გ. შიმთითებელი.

**ჩვენი სოფლის ავკარგი** (სოფ. ქვემო მაჩხაანი, სიღნ. მ.). ქვემო მაჩხაანი კახეთში მდებარეობს, სიღნაღიდან 8 ვერსით დაშორებული. აქ მოთავსებულია თემაღმასკომი, პარტკომი, კოოპერატივი, შვიდწლედი სკოლა, საავათმყოფო, აფთიაქი და სხვ. კოოპერატივი მოიკოჭლებს. არ აქვს საჭირო საქონელი. ზაფხულში კახელებისთვის აუცილებელია გოგირდი და შაბიამანი, რაც კოოპერატივს არ მოეპოვება, ამიტომ გლეხები ხელში უვარდებიან ჩარჩებს. ასეთივე მდგომარეობაა ჩითის, ნარმის და სხვ. თეთრეულების შესახებაც. კოოპერატივმა ზომები უნდა მიიღოს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

გლეხი.

### სოფლის ქრონიკა

— **ქუთაისის ბამბის ქარხანა.** შეუდგა ბამბის მეურნეებზე ავანსების გაცემას 30 მ. რაოდენობით თითო დესეტინაზე.

— **სიმინდი.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა მაზრის საჭიროებისათვის ქუთაისის მაზრაში შეიძინა 40 ვაგონი სიმინდი.

— **ლოკომობილი.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს 100 ძალიანი ლოკომობილი.

— **ჭაობების ამოშრობა.** ჩაქვის სახალხო მამულის სამმართველო შეუდგა ჭაობიან ადგილების ამოშრობას.

— **სამაგალითო საქმე.** სოფ. ალქოლეშში (აჭარა) კომკავშირელების თაოსნობით გლეხებმა ყანა დაუთესეს კილაძის ქვრივს.

— **გზები.** მანგლისის აღმასკომი შეუდგა ყველა გზების შეკეთებას.

— **წყალსადენი.** სოფ. ვაკეში თემაღმასკომი შეუდგა წყალსადენის გამოყვანას.

— **სახერხი ქარხანა.** თიანეთის სახერხი ქარხანა შეუდგა საალმშენებლო მასალის დამზადებას.

— **მერძეობის ფერმა.** სიღნაღის აღმასკომმა სოფ. წითელ წყაროში მოაწყო ახალი მერძეობის ფერმა.

— **ნათესების დაზარალება.** მანავის რაიონში (გარე-კახეთი) ამას წინედ მოსულმა დიდმა წვიმებმა ნათესები ძლიერ დააზარალა.

— **გორის მეაბრეშუმეობის** კურსები დაასრულა 10 გლეხმა. მათ დაურიგდათ სათანადო მოწმობები.

# მუშათა ცხოვრება

**დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება მუშკორთა ჩვეულებრივი კრება. ხუთის ნახევარზე შესდგება მუშკორთა ბიუროს სხდომა. მუშკორებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.**

### ზოგიერთ განაპირა უბნების შესახებ

ვინ არ იცის, რომ განაპირა უბნებს უწინ— საბჭოთა ხელისუფლებამდი — არავინ ყურადღებას არ აქცევდა. მთელი აღმშენებლობა სწარმოებდა ქალაქის ცენტრში. ქუჩების გაკეთება, შენობები, მოძრაობის გაფართოვება, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება — ყველაფერი ცენტრალური უბნებისათვის იყო. განაპირა უბნებს, სადაც მუშა - მოსამსახურენი და სხვა ქალაქის ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობდა—ყურადღება არ ექცეოდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან თვითმპყრობელობა მხოლოდ მემამულეებისა და მდიდრების კეთილმოწყობაზე ფიქრობდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დაიწყო ფართო აღმშენებლობა მუშათა უბნებში. ნაძალადევში და სხვა მუშათა უბნებში დღეს დიდი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს. გაყავთ ახალი გზები, ძველ გზებს აფართოვებენ და ალამაზებენ, შენდება დიდრონი შენობები მუშებისათვის, ყოველ უბანში აწყობენ ბაღებს, აგებენ სახალხო სახლებს, თეატრებს, კინოებს. გაყავთ ტრამვაი და სხვ. ამ 5—6 წელიწადში იმდენი გაკეთდა განაპირა უბნებისთვის, რამდენიც სხვა დროს ათეულ წლობით არ გაკეთებულა.

მაგრამ არის ისეთი უბნებიც, რომლებიც ჯერ ჯერობით მოკლებული არიან მზრუნველობას. თუ სხვაგან ბევრი კეთდება ამ უბნებში მოთხოვნილებასთან შედარებით ცოტა მაინც უნდა სწარმოებდეს აღმშენებლობა. ავიღოთ საბურთალო. ეს უბანი უმთავრესად დასახლებულია მუშა-მოსამსახურეებით. ბინის კრიზისის გამო მუშა-მოსამსახურეები, უმთავრესად რკინისგზის, იძულებული იყვნენ წასულიყვნენ საბურთალოზე და იქ ექირავებიათ ბინები. მართალია საბურთალო შორს არის, მაგრამ სრულიად უბინაოდ ყოფნას, აქ სჯობდა, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეს მუშა - მოსამსახურენი უგზობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან. თუ შემოუარეს სამხედრო გზით—5—6 ვერსი უნდა გაიარონ ფეხით სამსახურში მისვლამდე, თუ არა და მტკვარზე ხან ბორანია გაფუჭებული, ხან წყალდიდობაა და ასე. იყო ლაპარაკი ხიდის აგების შესახებ საბურთალოზე, რომელიც ამ უკანასკნელს შეაერთებდა რკინისგზის რაიონთან, მაგრამ ამაზე დღეს ლაპარაკიც აღარ არის. ამას ვინ სჩივა, ბორანით სარგებლობის საშუალებაც არ არის. სხვა მხრივაც ძლიერ მოუწყობელია ეს უბანი.

წყალსადენის მხრითაც მოუწესრიგებელია. ადგილობრივი მომუშავეები ყოველ ღონეს ხმარობენ უბნის მოსაწყობად, მაგრამ ამ ამხანაგებს დახმარება უნდა.

საჭიროა, რომ ისეთ ჩამორჩენილ უბნებს როგორიც საბურთალოა მეტი ყურადღება მიექცეს. სხვა უბნებს თუ ბევრი ხვდება, ასეთ ჩამორჩენილ უბნებს ცოტა მაინც უნდა ერგოს.

მ.

### ჯილდოს ღირსია

მემანქანე მიშა ტიტვინიძემ კიდევ გადაარჩინა ჩქარი სახალხო მატარებელი დამსხვრევას. 29 მაისს ტიტვინიძეს მიჰყავდა თბილისიდან ჩქარი მატარებელი ბაქოსაკენ. სადგ. ნავთლუღში შესავალი დაღმართია. აქ მატარებელი ძირს თავის თავად, მაგრამ მემანქანეს ხელი დროზე უჭერს მუხრუჭს, დროზე უკლებს სიჩქარეს.

— რა ვიცი, ფიქრობს მიშა: — ნავთლუღი საშიში სადგურია. ისრებიც ვერ არის ავტომატიურად მოწყობილი. არავინ ვადამიბრუნოს ისარი ან შემადგენლობა არ შემახვედრონ გზაში

მიუახლოვდა მატარებელი ნიშან-სვეტს. ის გაღებულია. სადგურში შესავალი თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ მემანქანე მაინც იჭვობს. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ბევრის მნახველი მიშა კიდევ უჭერს მუხრუჭს, კიდევ უკლებს სიჩქარეს და ამ დროს გამოჩნდა სადგური, გამოჩნდა ისარი და რას ხედავს მემანქანე? ისარზე გამოუთრევიათ შემადგენლობა... გზა შეკრულია..: დაჯახება უნდა მოხდეს, მაგრამ რაკი მემანქანემ ადრევე ფრთხილად დაიჭირა საქმე, ახლა მას აღარაფერი უჭირს, ჩქარ მატარებელს ადვილად გააჩერებს.

გააჩერა კიდეც. ამ მატარებლით მიემგზავრებოდა რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ივანოვი, რომელმაც ყველაფერი ეს ნახა.

ამხ. ტიტვინიძე ჯილდოს ღირსია.

მუშკორი დუდაბი.

### ჩვენი სტამბის მუშათა ექსკურსია

(შთაბეჭდილება)

31 მაისს, მუშაობის გათავების შემდეგ მოეწყო „ზარია ვასტოკა“-ს სტამბის მუშათა ექსკურსია პროფსაბჭოს მცირე დარბაზში, სადაც ამჟამად გამოფენილია მხატვარ ბროდსკის სურათი „26 კომუნარის დახვრეტა“.

სურათმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე.

აგერ სისხლში ამოსვრილი იარაღით დაჩეხილი გვამები ერთმანეთზე ჰყრიან. მათ ჯალათები პირზე ღიმილით ჯიბეებს უჩხრეკენ, სძარცვავენ. ცოტა მოშორებით ბუჩქებთან დგანან ფიოლეტოვი, შაუმიანი, ჯაფარიძე, ამირხანოვი, ბასინი; შაუმიანს ხელები გულზე უწყვია; ჯაფარიძეს დასისხლიანებული ხელი მაღლა აუწევია; ახალგაზრდა ბასინს ნაბიჯი წინა გადმოუდგამს, უნდა ეკვეთოს თავის ჯალათებს, ამირხანოვს ხელი უტაცნია მისთვის, აკავებს. ყველა კომუნარები შეუდრეკლად მოელიან სიკვდილს. მარცხნივ, მათგან მოშორებით, ესამე ჯგუფია. გარშემორტყმიან ჯალათები, თოფებს უმიზნებენ. ცოტა კიდევ მოშორებით დგანან ინგლისელები და არხეინად, თითქო აქ არაფერიაო, შესცქერიან საშინელ სურათს. აქ ავეა ფუნტიკოვი, რომელიც პაპიროსის წევით და თითქოს პირზე ღიმილით შესცქერის სასკვდილოთ განწირულთ, ჟრუანტელის მომგვრელ სურათს.

ეს ამბავი მოხდა 1918 წელს აღჩაკიუმანში, იმიერ-კასპიის მხარეს. აქ დახოცეს ისინი „განათლებულმა“ ინგლისელებმა. სურათის შინაარსს ხსნიდა ლექტორი.

— ეს ადგილი ნატურიდან არის მხატვრის მიერ გადმოღებულიო, — სთქვა მან, ბროდსკი სამი წლის განმავლობაში აგროვებდა მასალას ამ სურათისათვის, ხოლო ერთი წლის განმავლობაში ხატავდა მას.

მუშები ფრიად კმაყოფილი დაიშალენ.

ნიკო ახ—ლი.

### გამოხმაურება

„კომუნისტი“-ს 29 მაისის № 112-ში მოთავსებული შენიშვნის, „განა მიზანშეწონილია?“ საპასუხოთ ამიერ - კავკასიის რკ. გზ. მცველთა რაზმების სამმართველომ შემდეგი გვაცნობა: „ვინაიდან მცველთა რაზმების თანამშრომლებზე გაცემული საზამთრო და საზაფხულო ტანთსაცმელები შეადგენს გზათა მიმოსვლის კომისარიატის საკუთრებას, სანამ ასეთებს არ ვასვლიათ ტარების ვადა, ე. ი. საზამთრო ტანთსაცმელებს დღიდან გაცემისა ორი წელიწადი, ხოლო საზაფხულოს ერთი წელიწადი, ამისათვის თანახმად გზ. მიმოსვლის კომისარიატის № 1199 ბრძანებისა და ს. ს. რ. კ რკ: გზების სამხედრო შეიარაღებულ რაზმების უფროსის ბრძანებისა №-კ-4—24, ზაფხულის განმავლობაში საზაფხულო ტანთსაცმელების დარიგების შემდეგ, თანამშრომლებს ერთმევათ საზამთრო ტანთსაცმელები და ასეთები ინახება რაზმების საკუჭნაოებში, ასევე ხდება საზაფხულო ტანთსაცმელებზედაც ზამთრის განმავლობაში, ხოლო როცა ტანთსაცმელებს გაუდის ტარების ვადა, მის შემდეგ ასეთები გადადის თანამშრომელთა საკუთრებათ.

ბორჯომის პროფბიურომ და შრომის ინსპექტორმა გვცნობა, რომ „კომუნისტში“ მოთავსებული ცნობა დამზღვევ კასის მდივნის ციმაკურიძის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. ციმაკურიძე სამსახურში იმყოფება ყოველთვის თავის დროზე და მთვრალი მოვალეობის ასრულების დროს არასოდეს ყოფილა.

### ბაყურადღებო წვრილმანი

— **რატომ არის განსხვავება?** სადგ. ხაშურის წყალსადენის მუშა - მოსამსახურენი შედარებით ამავე სადგურის ნავთსაქაჩის თანამშრომლებთან ნაკლებ ჯამაგირს იღებენ, მუშაობა კი მეტი აქვს.

რატომ არის ჯამაგირში ვანსხვავება?

გაჯავრებული.

— **წყლის ბაკები გაწმინდეთ.** საყუდში არის წყლის ასადუღებელი ბაკები. ამ ბაკებიდან წყალს საყუდის მუშა - მოსამსახურენი ხმარობენ დასალევად და ჩაისათვის. ხსენებული ბაკები არ იწმინდება. შიგ გროვდება ჭუჭყი, ტალახი და სიბინძურე.

მუშკორი ძია-ლევან.

— **კოოპერატივი ვაჭრებისათვის ხომ არ არის?** პლეხანოვის პროსპექტზე არის საალმშენებლო კოოპერატივის „ცილსოიუზის“ სავაჭრო. ამ სავაჭროში ასეთი წესია გამეფებული: თუ კოოპერატივის წევრ მუშას დასჭირდა ერთი რამე მასალა, მას ამ მასალასთან ერთად აიძულებენ სხვაც წაიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო მასალას ვერ მიიღებს. იყო ასეთი მაგალითი: ერთ-ერთ მუშას დასჭირდა სახლის დასახურავი თუნუქი 5 ფუთი. სავაჭროში თუნუქი ღირს 4 მან. 40 კაპ. მას უთხრეს:—თუნუქს მხოლოდ მაშინ მოგცემთ, თუ ერთი იმდენი საღირალის სხვა საქონელსაც წაიღებო. რა თქმა უნდა, მუშამ თუნუქი ვერ შეიძინა, ზედმეტი ფული არ ქონდა და სხვა მასალა არც სჭიროდა. ამ გარემოებით მოხერხებულად სარგებლობენ კერძო ვაჭრები. ისინი თუნუქთან ერთად სხვა მასალასაც ყიდულობენ და შემდეგ ყიდიან გადიდებულ ფასებში. კოოპერატივში ნასყიდი თუნუქი, მაგალითად კერძო ვაჭართან ღირს 5 ნამ .40 კაპ.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება.

ვ. ნ. ბ.

### მუშათა ქრონიკა

— **დახმარება უმუშევრებს.** 1926—27 საანგარიშო წლის განმავლობაში თბილისის უბნის კავშირს უმუშევარ რკინის გზელებისათვის გაუცია დახმარების სახით 27.487 მან. 82 კაპ.

— **ზედმეტი საათები.** თბილისის საუბნო კომიტეტმა დაადგინა აწარმოოს სასტიკი ბრძოლა ზედმეტ საათებში მუშაობასთან.

— **სალი სასმელი წყალი.** თბილისის უბნის კომიტეტმა მიმართა ადმინისტრაციას ყოველ მიზეზს გარეშე მიაწოდოს ხაზის მუშა - მოსამსახურეებს სალი სასმელი წყალი.

— **ბინების დათვალიერება.** თბილისის უბნის შრომის ინსპექტორი ახლო ხანში ჩაატარებს ხაზის მუშების საცხოვრებელ ბინების გამოკვლევას.

— **წევრთა რაოდენობა.** თბილისის საუბნო პროფკავშირის ცნობით უბანში არსებულ რკ. გზის კლუბებში გაერთიანებულია 4210 წევრი.

— **სასპორტო მოედანი.** თბილისის საუბნო პროფკავშირი შეუდგა წინასწარ მუშაობას გურჯაანში, გორში და ნავთლუღში სპორტ-მოედნების მოსაწყობად.

### ამხ. ზ. ჭიჭოძის სახ. საფეიქრო სკოლაში

— **უფასო ბინა.** საფეიქრო სახელოსნოს მოწაფე 106 ქალს, რომლებიც ჩამოსულნი არიან სოფლებიდან აქვთ მოწყობილი უფასო ბინა.

— **სოფლებში დაგზავნა.** ამ მოკლე ხანში რამოდენიმე კურსდამთავრებული მოწაფე გაიგზავნება სოფლებში საქსოვ ქარხნების და სკოლების ხელმძღვანელებათ.

### კამოს სახ. საფაბ. სკოლაში

— **სამჭროს გაფართოვება.** ვინაიდან სივიწროვის გამო ფერხდებოდა მუშაობა, გაფართოვებული იქნა სადურგლო - სამჭრო.

— **ღუმელის მოწყობა.** მუშაობის გაადვილების მიზნით ჩამოსასხმელ სახელოსნოში მოეწყო თუჯის სალბობი ღუმელი.

— **გამოფენა.** პირველი ივლისიდან დაიწყება სახელოსნოს მოწაფეების ნამუშევარის გამოფენა.

—:—

### ჩვენი მიწერ-მოწერა

— **მუშკორ გულწრფელს.** „არამკითხე პირისულფები“ მოათავსეთ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

— **„ვამეხს“.** არ დაიბეჭდება. მოათავსეთ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

— **გოგებაშვილს.** „ღირსეული მუშა უნდა დაფასდეს“. არ დაიბეჭდება. მოათავსეთ კედლის გაზეთში ადგილობრივ.

— **რ. არუელს.** არ დაიბეჭდება. წვრილმანია.

— **ბათომი.** „შერჩენებულს“. „დამცველებიც ასეთი უნდა“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ წერილი მიაწოდეთ „ფუხარა“-ს რედაქციას.

## მდგომარეობა კურორტებზე

რესპუბლიკანური მნიშვნელობის კურორტების მდგომარეობის შესახებ საკურორტო ბიუროს გამგემ ამხ. ვ. ხელაშვილმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— საკურორტო სეზონის გახსნისათვის ყველა მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია მთავარ კურორტებზე მოწყობილია ახალი აბაზანები და ბევრ ადგილას შეკეთებულია შენობები. საერთოდ, წელს ჩვენი კურორტები გაცილებით უფრო კეთილმოწყობილია, ვიდრე გასული სეზონების განმავლობაში. ჯერ-ჯერობით ამინდი ყველა კურორტებზე კარგია. უკანასკნელათ მოვიდა ცოტა წვიმა წყალტუბოში.

საგარაკო ადგილების მხრივ მდგომარეობა ასეთია: ზემო აბასთუმანში ბინები სრულებით აღარ იშოვება; ოთახები გაქირავებულია აგვისტომდე. ქვემო აბასთუმანში კი დარჩა მხოლოდ რამოდენიმე ოთახი, მაგრამ მათზე ბევრი მსურველია რიგში ჩაწერილი. ასეთივე მდგომარეობაა ბორჯომშიც.

ცემში დარჩა მხოლოდ ათი გასაქირავებელი ოთახი, წყალტუბოს გარდა ყველა კურორტებზე სეზონი გაიხსნება 15 ივნისიდან.

## მუშები აგარაკებზე

აჭარისტანის მუშა-მოსამსახურეებს სანატორიუმებსა და აგარაკებზე წელს დათმობილი აქვთ 45 ადგილი, აქედან 23 ადგილი „არაზინდოში“, 5—აბასთუმანში, 6—ბორჯომში, 6—წაღვერში, 3—კისლოვოდსკში;—1—ესენტუკში და ერთიც—ჟელეზნოვოდსკში. 1 ივნისიდან უკვე გაიგზავნა სამკურნალოდ არაზინდოში—6, კისლოვოდსკში—1, ბორჯომში—1, და წაღვერში—1; კურორტებზე გაგზავნილთა შორის 80 პროც. ფიზიკური შრომის პირებია; პირველ ივნისიდან ბორჯომის, წაღვერის და სურამის დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი არიან 40 მუშა და მოსამსახურე; წყალტუბოში—8 კაცი. პირველ პარტიას ვადა უთავდება შუა ივნისში, შემდეგ ისევ ორი კვირის ვადით გაგზავნილი იქნება შემდეგი პარტია. მიმდინარე სეზონში დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი იქნებიან სულ 350, წყალტუბოში—60. ადგილები აგარაკებზე განაწილებულია ყველა პროფესიის მუშებს შორის.

## აგარაკი ქობულეთი

საკურორტო სეზონი ქობულეთში უკვე დაიწყო. ყოველდღე ჩამოდიან ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებიდან ავადმყოფების ახალ-ახალი პარტიები. აჭარისტანის საკურორტო მთავარმა სამმართველომ დაამთავრა 10 აგარაკის და ქობულეთის სანატორიუმის შეკეთება.

ყველა აგარაკები უკვე დაკავებულია, ოთახები კერძო აგარაკებზე ფასობს 25—50 მანეთამდე თვეში.

## სამკურნალო საქმე მაზრებში

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მოსთხოვა ყველა სამაზრო აღმასკომებთან არსებულ ჯანმრთელობის განყოფილებებს სისტემატიური ცნობების მოწოდება მაზრებში სამკურნალო საქმის მდგომარეობის შესახებ.

ჯერ - ჯერობით ანგარიშები მიღებულია შემდეგი მაზრებიდან: **ახალქალაქის მაზრაში**—1 სამაზრო აღმასკომი ყოველთვიურად აძლევს თემაღმასკომებს განსაზღვრულ თანხებს საექიმო და საფერშლო პუნქტებისათვის წამლების მოსამარაგებლათ. საექიმო პუნქტებიდან თვიურად გადიოდა გლეხებზე უფასოდ 360 მან. წამლები, ხოლო საფერშლო პუნქტებიდან — 180 მანეთი.

**თბილისის მაზრაში** აღნიშნული სასწრაფო დახმარება აღმოუჩენიათ 763 ავადმყოფისათვის. ღარიბებს გლეხობას ყოველ ცალკე შემთხვევის დროს ეძლეოდა უფასო სამკურნალო დახმარება.

**სიღნაღის მაზრაში** ყველა აღმასკომებს გადაცემული აქვთ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები წამლეულობის შესაძენათ. დღემდე მოსახლეობაზე გაცემულია 1.600 მანეთის წამლები უფასოთ.

**გორის მაზრაში** — სამაზრო აღმასკომის ინიციატივით შეძენილია საექიმო პუნქტებისათვის საჭირო ყველა ნივთები. გახსნილია ერთი საფერშლო პუნქტი.

**ოზურგეთის მაზრაში** — ძიმით - მამათის თემის შუა ადგილას გაიხსნა საფერშლო პუნქტი. ოზურგეთის საავათმყოფოში გამოყოფილია 5 საწოლი ღარიბესი გლეხების საჭიროებისათვის. სუფსის საექიმო პუნქტი მოამარაგეს ყველა საჭირო საექიმო იარაღებით.

**შორაპნის მაზრაში** გლეხობას დაურიგდა 1.000 მანეთის წამლეულობა. თემში გახსნილ იქნა ახალი საექიმო პუნქტი.

## ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლოატაციისათვის

### გამოკვლევები გზების გასაყვანათ

საგზაო კომისარიატის ა.-კ. რწმუნებულის სამმართველომ ნება დართო შავი ზღვის რკინის გზის სამმართველოს მიანდოს ტყვარჩელის ქვანახშირის მადნებს დამუშავების შემსწავლელ კომისიას ტყვარჩელის რაიონის გამოკვლევა ახალი გზების გასაყვანათ.

ახალი გზები გაყვანილი იქნება ტყვარჩელ-ოჩემჩირეს მაღაროებისაკენ.

### შავი ზღვის რკ. გზა

ტყვარჩელის მადნების შემსწავლელმა კომისიამ შუამდგომლობა აღძრა სახკომსაბჭოს წინაშე, რომ შავი ზღვის რკ. გზა მიყვანილ იქნეს ქ. ოჩემჩირემდე 1930-31 საანგარიშო წლამდე.

### საექსპორტო ნავთსადგურები

ახლო ხანში დაიწყება ფოთის, სოხუმის და ოჩემჩირის რაიონებში სანავთსადგურო ადგილების გამოკვლევა. გამოკვლევის მიზანია ტყვარჩელის ქვა-ნახშირის დატვირთვისათვის ხელსაყრელი სანავთსადგურო ადგილის არჩევა, აწ არსებული ნავთსადგურების გადაკეთება ისე, რომ გაადვილდეს ქვა-ნახშირის დატვირთვა გემებზე.

### საექსპლოატაციო გეგმა

ტყვარჩელის რაიონის საექსპლოატაციო ადგილებზე მუშაობის დასაწყებათ, საჭირო გეგმის დასამუშავებლათ ტყვარჩელის კომისიამ მოიწვია სამთო-საქმის ცნობილი მცოდნე პროფ. შევალიე.

კომისიას გარდა ამისა განზრახვა აქვს შეისწავლოს ტყვარჩელის ქვანახშირიდან კოკსის დამზადების საქმე. ამ მიზნით მოწვეულია პროფ. რუბინი და პროფ. ჩიჟევსკი.

## ნავთის ამოღება

### აპშერონის ნახევარკუნძულზე

1913 წელში ნავთის კუსტარული წესით ამოღება აპშერონის ნახევარკუნძულზე უდრიდა 14 მილიონ ფუთს და ამ საქმეში ჩაბმული იყო 13.600 კაცი, რომელთაგან 10.200 დაქირავებული მუშა იყო; უკანასკნელ წლებში ნავთის ამოღება შემცირდა 3.800.000 ფუთამდე, შინა-მრეწველობისა და მუშების რიცხვი კი 770 კაცამდე.

ვინაიდან ამ სარეწავის მდგომარეობა ამჟამად არა დამაკმაყოფილებელია და საბჭოთა კავშირის, სახკომსაბჭოს 1926 წლის 2 მარტის დადგენილებით მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომები ამ სარეწავის განვითარებისათვის ხელის შემშლელ ყველა დაბრკოლებების გადასალახავად, ამიერ - კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს „აზნეფტეკომისიოუზს“ 172.000 მანეთის ქონება იმ პირობით, რომ იგი გასტუმრებული იქნეს ორი წლის განმავლობაში.

ვინაიდან კუსტარულ სარეწავების უმეტესობის აღსადგენად საჭიროა საბრუნავი თანხები, ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აუცილებლად სცნო ამ მიზნისთვის გრძელვადიანი სესხის გაცემა საერთო საკავშირო ბიუჯეტიდან 150.000 მანეთის რაოდენობით; ამიერ - კავკასიის წარმომადგენლობას დაევალა აღძრას ეს საკითხი სათანადო საკავშირო ორგანოების წინაშე.

საჭიროთ იქნა ცნობილი აგრეთვე შინა - მრეწველებს ეხლავე მიეცეთ ავანსი არა უმეტეს 20—25 ათასი მანეთისა.

## თხილის ბაზარი

თბილისის ხილის ბაზარზე დღემდე გაბატონებულია კერძო ვაჭარი. მიუხედავათ იმისა, რომ წელს ხილის მოსავალი კარგი იყო, ფასებმა მასზე მაინც არ დაიკლო. განსაკუთრებით ძვირს ფასობს მარწყვი და ზაფხულის ხილეულობა.

შარშან ხილეულობით ვაჭრობა სცადა მუშკოოპმა, მაგრამ ცდამ ვერ მოიტანა სასურველი ნაყოფი, ვინაიდან ზაფხულის ხილს განსაკუთრებული ფაქიზი მოვლა უნდა, ხოლო ამისათვის მუშკოოპს არ ჰყავდა მომზადებული ხალხი. წელს მუშკოოპი მაინც აწარმოებს აღნიშნული ხილების ოპერაციებს, თუმცა იგი გასასაღებელ ხილს იძენს კერძო დამამზადებლებიდან. მარტო სამტრედიიდან მუშკოოპს გამოაქვს ყოველდღიურათ 200-300 მანეთის ხილი. თბილისში ეს ხილი იყიდება ხშირათ თვითღირებულების ფასად, იმ მოსაზრებით, რომ ამით ხელი შეუშალოს კერძო ვაჭრების მიერ წარმოებულ აჟიოტაჟს.

მომავალი წლიდან თბილისის ხილის ბაზარზე გამოვა აგრეთვე „სოფლის კავშირი“, რომელიც ამჟამად აწარმოებს ცდებს ხილეულის სარეალიზაციო საქმის შესასწავლად. შემოდგომიდან „სოფლის კავშირს“ გადაწყვეტილი აქვს დაიწყოს ხილის გაზიდვა საქართველოდან რუსეთის ბაზარზე. მარტო გორის მაზრიდან გატანილი იქნება რუსეთის ქალაქებში 50.000 ფუთი ვაშლი.

## ჩაის ქარხანა

ზვანის (ოზურგეთი) ჩაის ქარხნის კაპიტალურ მოწყობასთან ერთად სწარმოებს სოფ. საბჭოეთის ჩაის ქარხნის გაფართოვება. ამ ახლო ხანში ჩაის მწვანე ფოთლის ფერმენტაცია გადიდებული იქნება 150.000 გირვანქამდე.

სოფ. საბჭოეთის ჩაის ქარხანაში იდგმება 30 ცხენის ძალიანი მოტორი და სხვა.

მიმდინარე წლის საპერსპექტივო გეგმით, გურიაში ჩაის პლანტაციით გაშენებული იქნება დამატებით 200 დესეტინა მიწა.

ჩაის კულტურის განსავითარებლად გლეხებისათვის გახსნილია ფართე კრედიტი (400 მან. დესეტინაზე).

საერთოდ, გურიის გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს ჩაის პლანტაციების გაშენებისადმი.

საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს საპერსპექტივო გეგმით, 1928 წ. გურიაში გაშენებული უნდა იქნას 800 დესეტინა ჩაის კულტურა.

ჩაის თესლის ნაკლოვანება შევსებული იქნება ჩინეთიდან შემოტანილ თესლით.

## სასოფ.-სამეურნ. კურსები

ივნისის შუა რიცხვებში გორში მეცადინეობას დაამთავრებს მეაბრეშუმეობის ორკვირიანი კურსები, რომელიც ამ ორი კვირის წინათ მოაწყო გორის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საადგილმამულო განყოფილებამ, 15 ივნისს იხსნება მესაქონლეობის ორკვირიანი კურსები სოფელ ციხის ჯვარში (გორის მაზრა, ბაკურიანის თემი), კურსებზე სამეცადინოდ მოწვეულნი არიან ახალგაზრდები ყველა რაიონებიდან. ლექტორებად კურსებზე მოწვეულნი არიან ცნობილი სპეციალისტები.

## ფასების დაკლება

ამიერ - კავკასიის ვაჭრობის კომისარიატში მიღებულია ცნობა, რომ 1-ლი ივნისიდან საფეიქრო სინდიკატის პროდუქციაზე გატარებულია ფასების შემდეგი დაკლება.

აღნიშნული ცნობის მიღების გამო, ვაჭრობის კომისარიატმა დაუგზავნა განკარგულებანი ყველა რესპუბლიკანურ ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებს, რომ გასცენ შესაფერი განკარგულებანი ყველა სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ სავაჭროების მიმართ, რომ გაატარონ საფეიქრო ტრესტის ყველა პროდუქტებზე ახალი ფასდაკლება.

# პროფკავშირებში

### ახალგაზრდათა წარმომადგენლების მუშაობა პროფკავშირებში

პროფკავშირებში ფართე შინა-დემოკრატიის სისტემის გატარებასთან დაკავშირებით კავშირები მოითხოვდენ ახალგაზრდობის წარმომადგენლობის სისტემის შეცვლას, რაც ეჭვს გარეშე საგრძნობლად შეასუსტებდა ახალგაზრდათა შორის გაძლიერებულ აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებას. ამიტომ ეს მოსაზრება ს. ა. ლ. კომკავშირის მე-7-ე ყრილობამ მიზანშეუწონლად სცნო, იმ მოსაზრებით რომ ახალგაზრდათა შორის მუშაობას ახალგაზრდათა წარმომადგენლები უფრო სერიოზულ ყურადღებას მიაქცევენ.

თუ გადავხედავთ განვლილ პერიოდს დავინახავთ, რომ ახალგაზრდათა შორის მუშაობას აქვს მთელი რიგი მიღწევები. ამას წინათ კომკავშირმა პროფკავშირთან ერთად ჩაატარა წარმოებაში ჩაბმულ მუშა ახალგაზრდობის მდგომარეობის გამოკვლევა. მიღებულმა შედეგებმა ცხადჰყვეს ის გარემოება, რომ ახალგაზრდათა შორის მუშაობა ქვედა პროფორგანოებში წარმატებით მიმდინარეობს. კულტურული მუშაობა გაღრმავდა, გაიზარდა საზოგადოებრივი — პოლიტიკური მოთხოვნილებანი. ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს წარმოების რაციონალიზაციის საკითხებში და მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში.

მუშა - ახალგაზრდობა მრავლათაა ჩაბმული სხვადასხვა კომისიების მუშაობაში და საერთოდ პროფმშენებლობაში.

თუ გადავხედავთ პროფაქტივის შემადგენლობას დავინახავთ, რომ ახალგაზრდობის რაოდენობა საგრძნობლად გაზრდილია. მაგ. 1926 წ. — 1 იანვრ. ქვედა პროფორგან. ჩაბმული იყო 1428 ახალგაზრდა, 1927 წ .კი 1867 კაცია.

მთელ რიგ მიღწევებთან ერთად, რომელიც ჩვენ გვაქვს ამ მუშაობაში საჭიროა აღნიშნულ იქნას ის ნაკლიც, რომელიც თან სდევს ჩვენს მუშაობას. მთავარია შემდეგი: ქვედა ორგანოები ახალგაზრდათა წარმომადგენლებს სხდომებზე იწვევენ როგორც სტუმრებს. თვით წარმომადგენლებსაც ჰგონიათ რომ მათი მუშაობა უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ახალგაზრდათა შორის მუშაობით. ეს შეხედულება რასაკვირველია მიუღებელია. საჭიროა ახალგაზრდათა წარმომადგენლები გაეცნონ იმას, რომ ახალგაზრდათა შორის მუშაობა არ არის გამოყოფილი პროფმუშაობიდან. ახალგაზრდათა წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფმუშაობის ყველა დარგებში.

ვა—და.

### საექსკურსიო ბილეთები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ მიიღო შეღავათიანი სამგზავრო ბილეთები შორეული ექსკურსიების მოსაწყობად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამრეწველო რაიონებში.

კავშირებმა და სამაზრო პროფბიუროებმა, რომელთაც განზრახული აქვთ მოაწყონ შორეული ექსკურსიები, უნდა შეადგინონ სათანადო გეგმა და წარადგინონ კულტგანყოფილებაში, სადაც მიეცემათ სათანადო რაოდენობა სამგზავრო ბილეთებისა.

### განათლების კავშირის ც. გ. გაფართოებული პლენუმი

განათლების მუშაკთა სახლში 30 მაისს გაიხსნა განათლების კავშირის ც. გამგეობის გაფართოებული პლენუმი. პლენუმი გახსნა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. **არ. მიქაძემ**. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ძირითად უჯრედების (ადგილკომების) გარდაქმნა ადმინისტრატიულ დაყოფის საფუძველზე; მაზრებისა და ც. გამგეობის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; კავშირის საბიუჯეტო მუშაობა, ეკონომიური მუშაობა, საზაფხულო კულტმუშაობა და სხვა. ზემოაღნიშნულ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდენ ამხ. ამხ. **გეგენავა, ქეიშვილი** და **პოდოლსკი**. როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა ადგილკომების ძველმა სტრუქტურამ ვერ შესძლო მასიური მუშაობის წარმოება. პლენუმმა საჭიროდ სცნო ადგილკომები მოეწყოს ადმინისტრატიულ დაყოფის საფუძველზე. პლენუმი აღნიშნა აგრეთვე საბიუჯეტო მუშაობის სისუსტე იმ მხრივ, რომ კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები აღნიშნულ მუშაობას მოწყვეტილი იყვნენ სხვადასხვა მიზეზების გამო, ამისათვის პლენუმმა დაადგინა საბიუჯეტო მუშაობაში ჩაბმულ იქნას განათლების კავშირის ადგილობრივი განყოფილებები. რაც შეეხება ეკონომიურ მუშაობას, პლენუმმა აღნიშნა, რომ ეს მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არ იდგა. დაადგინა მიღებულ იქნას ზომები ამ მუშაობის სათანადო კალაპოტში ჩასაყენებლად. პლენუმმა მოისმინა აგრეთვე მოხსენება საზაფხულო პერიოდში კულტმუშაობის შესახებ და გამოიმუშავა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

— **გამოკვლევა.** კავშირის ც. გამგეობამ ჩაატარა სიღნაღის სამაზრო განყოფილების გამოკვლევა და გამოიმუშავა ნაკლის გამოსწორების მიზნით სათანადო ღონისძიებანი.

— **პირველ ივნისს** დასრულდა ბეჭდვითი სიტყვის სექციის გადასვლა პოლიგრაფიულ წარმოების მუშაკთა კავშირში.

## ბუნების დაცვის გამოფენა

ბუნების დაცვის სრულიად საკავშირო საზოგადოებამ მიმართა საქართველოს მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატს თხოვნით ვასსელში (გერმანია) ბუნების დაცვის გამოფენაზე გაგზავნოს საჭირო მასალები. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა მუშაობას გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ.

## ა.-კ. ვაჭრ. კომისარიატში

### საექსპორტო და საიმპორტო თათბირები

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, კომისარიატთან არსდება სათათბირო ორგანოების სახით საექსპორტო და საიმპორტო თათბირები.

ამ თათბირების დადგენილებები ძალაში შედის ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის მიერ დამტკიცების შემდეგ.

### ფასები ჯაგარზე

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა სხვა და სხვა ხარისხის საზაფხულო ნედლ ჯაგარზე პირველი ივნისიდან დააწესა შემდეგი ფასები. 3 მან. 66 კაპ., 4 მან. 88 კაპ., 8 მან. 50 კაპ. და 11 მან. 70 კაპ. კილოზე.

ეს ფასები სავალდებულოა ამიერ-კავკასიის ყველა დამამზადებელ ორგანიზაციებისათვის.

### „რადიო-პერედაჩა“-ს მაღაზიები

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ნება დართო საზ-ბა „რადიო-პერედაჩა“-ს გახსნას თბილისში და ბაქოში თავისი მაღაზიები, რომელთა შტატი შეთანხმებული უნდა იქნეს ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან საქართველოში და აზერბეიჯანში.

### ფქვილით ვაჭრობის შესახებ

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაადასტურა კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) დადგენილება, რომლითაც „ვსეგრუზკომპომს“ აკრძალული აქვს ფქვილით ვაჭრობა ფარდულებში.

## ბრძოლა უმუშევრობასთან

ამიერ - კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა უმუშევრობასთან საბრძოლველად გადადებული თანხა 622.000 მანეთი (472.000 მან. სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 150.000 მანეთი სოციალური დაზღვევის ორგანოებიდან) რესპუბლიკებს შორის განაწილებული იქნეს შემდეგნაირად:

აზერბეიჯანს 47 პროც. 292.460 მანეთი, საქართველოს 40,4 პროც. 251 240 მანეთი და სომხეთს 12,6 პროც. 78.300 მანეთი.

ა.-კ. შრომის კომისარიატს დაევალა მომავალში წარადგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში სამუშაოების წინასწარი ხარჯთაღრიცხვები და გამოითხოვოს შემდგომ საბიუჯეტო წელში საჭირო თანხები იმ ანგარიშით, რომ აღნიშნული ხარჯთაღრიცხვები განხილული იქნეს ბიუჯეტთან ერთად.

## თამბაქოს პლანტაციები

მაისის შუა რიცხვებში ცივმა ამინდებმა და ხშირმა წვიმებმა შეაჩერეს თამბაქოს პლანტაციების ნორმალური ზრდა აფხაზეთში. ალაგ-ალაგ თამბაქოს მცენარეულობა დაავადმყოფდა. ამიტომ თამბაქოს ნერგების რიცხვმა პლანტაციებში იკლო. თამბაქოს გადანერგვა ნაცვლად შუა მაისისა დაიწყო მაისის დამლევს და ივნისის პირველ რიცხვებში. წელს თამბაქოს დათესილი მოედანი უფრო ნაკლებია, ვიდრე განზრახული იყო. ყველგან პლანტაციების თესვა დამთავრდა მაისის შუა რიცხვებში. ამავე დროს პლანტატორებმა დაიწყეს მეორე რიგის თესვა.

## მიწათმოწყობა

ამჟამად ახალქალაქის მაზრაში (ჯავახეთი) მიწების მოსაწყობად მუშაობს 12 მიწის მზომელი და მიწისმომწყობი. აქედან 9 მიწის მზომელი გაგზავნილია მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ, ხოლო 3 მიწის-მზომელი მუშაობს ადგილობრივი აღმასკომის ხარჯზე. მიმდინარე წლის მიწათმოწყობის გეგმით გათვალისწინებულია მიწის მოწყობის გატარება (საკომლოთა შორისო) 3 ახალ სოფელში.

## ჭაობების ამოშრობა

ბათომის ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მიმდინარე გაზაფხულზე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მონაწილეობით შეუდგეს მუშაობას ჭაობების ამოსაშრობად არდაგანის ყაზარმების და ქალაქის საავადმყოფოს რაიონებში, რომელიც დღემდე მალარიის ბუდეებს წარმოადგენენ. ამ დაჭაობიანებულ რაიონების სივრცე 150 დესეტინას უდრის. ჭაობების ამოსაშრობი ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც 100 ათას მანეთს შეიცავს, უკვე დამტკიცებულია. ამ მოკლე ხანში დაიწყება მუშაობა 4 ვერსიანი წყლის დასაშრობი არხის გასაყვანად ხოლერის ბარაკებიდან სტეპანოვკამდე.

## შემნახველი სალაროები

### ქუთაისში

უკანასკნელ წლამდე ქუთაისის მაზრაში შემნახველი სალაროების მუშაობა მოისუსტებდა. ცოტაოდენი გამოცოცხლება დაეტყო უკანასკნელი საოპერაციო წლის განმავლობაში. 1926 წლის პირველი ოქტომბრისათვის ქუთაისის მაზრაში აღრიცხული იყო სულ 19 შემნახველი სალარო. მას შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში მოწყობილ იქნა კიდევ ექვსი სალარო. მთელ მაზრაში ამჟამად მუშაობს 25 შემნახველი სალარო. ამ პირთა რიცხვი, რომელთაც სალაროში ჰქონდათ შენახული ფული, 1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის უდრიდა 127 კაცს, ხოლო 1927 წლის მაისისათვის სალაროში ფულის შემნახველთა რიცხვმა 400 გადაამეტა. მაზრის ყველა შემნახველ სალაროებში დაგროვილი თანხა 1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის შეადგენდა 3.680 მანეთს, ხოლო მიმდინარე მაისისათვის 9.600 მანეთამდე მიაღწია.

## სასწავ. წლის დასრულება

### აჭარისტანში

პირველ ივნისს აჭარისტანის ყველა სამაზრო და სასოფლო სკოლებში დამთავრდა მეცადინეობა. ბათომის ყველა ტიპის სკოლებში სამოსწავლო წელი დამთავრდება მიმდინარე თვის შუარიცხვებში. ამჟამად ბათომის სკოლებში მიმდინარეობს მუშაობა მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენების მოსაწყობად. წელს აჭარისტანის ყველა სკოლებში მოწაფეთა რიცხვი 6000 აღწევდა.

## პრაქტიკანტი სტუდენტები

შრომის სახ. კომისარიატის ცნობით, პრაქტიკანტ-სტუდენტებზე, რომლებიც წარმოება-დაწესებულებებში მუშაობენ პრაქტიკის მისაღებათ, ვრცელდება ნაწილობრივი სოციალური დაზღვევა შემდეგი წესით: პრაქტიკანტს მიეცემა შეღავათი შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს, მას მიეცემა დახმარება-სამარხი ფული სიკვდილიანობის შემთხვევაში; პროფესიონალურ სნეულებით დაავადების, ან დასახიჩრების დროს პრაქტიკანტს დაენიშნება შესაფერი პენსია; პრაქტიკანტის სიკვდილის შემთხვევაში მათ ოჯახს გაეწევა მუდმივი დახმარება, საექიმო დახმარებით უზრუნველყოფილია მხოლოდ თვით პრაქტიკანტი სტუდენტი.

პრაქტიკანტები დაზღვეულ უნდა იქნან ნაწილობრივ დაზღვევის პირველ ჯგუფის მხედვით. დაზღვევა გავრცელდება იმ პრაქტიკანტებზე, რომლებიც სწავლობდენ, (ან სწავლობენ) უნივერსიტეტში, ინსტიტუტში და ტეხნიკუმში და წარმოება-დაწესებულებებში არიან გაგზავნილი სამუშაოდ საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებაში გათვალისწინებულ წესების თანახმად.

## კვერცხის დამზადება

„სოფლის კავშირი“-ს ინიციატივით, ქალაქ სამტრედიაში შესდგა სასოფლო - სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობათა თათბირი კვერცხის დამზადების საკითხების შესახებ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს სამტრედიის, ხონის, ვანის, დიდიჯიხაიშის, ტობანიერის, აბაშის, ბანძის და სენაკის სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენლებმა. თათბირმა დაადგინა „სოფლის კავშირი“-ს ხელმძღვანელობით დაწყებულ იქმნეს კვერცხის დამზადება და თვითეულმა ამხანაგობამ ამ საქმისთვის გაიღოს ათასი მანეთი. არჩეულ იქნა ამ საქმის ხელმძღვანელი პირიც, რომელმაც ტეხნიკურათ უნდა მოაწყოს ეს საქმე და კავშირი დაიჭიროს აგრეთვე ბორჯომის რაიონის სასოფლო - საკრედიტო ამხანაგობებთან. სულ მთელ საქართველოში განზრახულია 50 ვაგონი კვერცხის დამზადება როგორც ადგილობრივი აგრეთვე შორეული ბაზრებისთვის.

# ქუთაისი

## სოფელი იზრდება

დღევანდელი სოფელი გამოცოცხლებულ საქმიანობაშია. ხნავს და თესავს, სამკალისათვის ემზადება, მაგრამ გგონიათ მას მოსამკელი ჭადისა და ქერის მეტი არაფერი აქვს?

არა, დღევანდელ სოფელს განსაკუთრებული სილამაზის იერს აძლევს—სკოლა, ქოხ-სამკითხველო, საექიმო პუნქტი, აგრო-პუნქტი და სხვ., რომლითაც გადაჭრელებულია ჩვენი სოფელი, როდესაც, ამ ერთი თვის წინათ ექიმთა სამაზრო ყრილობა მოხდა ქუთაისში, იქ წამოიჭრა საკითხი:

— მაზრას რამდენიმე ექიმი აკლია!

განა დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც ხონელი ვაჭრები კუდიან ვარსკვლავივით ელოდენ საექიმო ფაკულტეტ დამთავრებულს, რომ ტარანში მოგებული ფული მზითვად გაეტანებია მისთვის?

იშვიათი იყო მაშინ ექიმი, მაგრამ მაზრას ექიმი თითქმის არ აკლებია, დღეს კი, როდესაც გადაყვლებული კენჭი შეიძლება გზათ მიმავალ ექიმს მოხვდეს, რატომ უნდა აკლდეს მაზრას ექიმი?

იმიტომ, რომ ექიმთა რიცხვზე კიდევ უფრო მეტის ინტენსივობით დღევანდელი სოფლის კულტურული მოთხოვნილება იზრდება და თუ რამდენიმე წლის წინათ მაზრას ყოფნიდა რამოდენიმე ექიმი, დღეს ყოველი თემი, და რატომ თემი,—მოზრდილი სოფელი, მოითხოვს თავის საკუთარ ექიმს.

ამიტომაა, რომ თუმცა მაზრა საექიმო პუნქტებით დაიქსელა, თითქმის ყოველ თემს აქვს თავის საექიმო პუნქტი, მაგრამ,—მაზრას მაინც ექიმი აკლია!

⁂

აიღეთ მიწათმოწყობის საქმე, ეს უდიდესი საქმე უდიდეს ყურადღებასაც მოითხოვს.

— თანდათან მეტის გულმხურვალეებით ხვდება ამ საკითხს გლეხობა, თანდათან მეტია ინტერესი და ამის შედეგი გახლავთ ის, რომ თუმცა მიწის რეფორმის უმთავრესი მომენტი განვლილი და განხორციელებულია, მაგრამ თვით ჩვენი გლეხი „ჯოჯოხეთის კარებამდე“ მისდევს აქა-იქ დამალულ მამულის, კუდს და ქურდი [illegible] გამოჰყავს.

ასე მოხდა ეხლაც.

— მიუხედავათ მრავალგვარ ზომებისა ჩვენს მაზრაში (ტყიბულის რაიონში) კიდევ დარჩენილან ისეთი დახელოვნებული სპეკები, როგორც მღვდელი მიქაუტაძე და ვაჭარი ბოჭორიშვილი, რომელთაგან პირველს, მიქაუტაძეს 300 ქცევამდე, ხოლო მეორეს—ბოჭორიშვილს—260 ქცევა მიწა შემოუნარჩუნებიათ. და არა მარტო ეს ორი პირი, ასეთები ცხრამეტიოდეა ხსენებულ რაიონში, რომელთა მიწამფლობელობა 35-დან იწყება და 300 ქცევამდეა, როგორ მოხდა ეს? ამას ახლო მომავალი გამოარკვევს, ხოლო ამჟამად აღვნიშნავთ რომ უკვე არსებული შეცდომა გამოსწორებულ იქნას.

⁂

სწორედ ზემოხსენებული გარემოებაც გახდა მიზეზი, რომ პირადათ მენახა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე ამხ. **სერაფიონ ნამჩევაძე**.

საინტერესო იყო რას მეტყოდა იგი. სერაფიონი გახლავსთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებული ღარიბი გლეხი, რომელსაც ჩვენი მაზრის სოფლები მრავალჯერ აქვს საკუთარი ფეხებით გადასერილი, მან იცის დღევანდელი სოფლის ავ-კარგი.

მისი თეორეტიული სტაჟი, არც ერთი თუნდ „გოროდის კლასის“ ადმინისტრაციისაგან ხელ[illegible] დასმული არაა, მაგრამ:

— მთელი მაზრის გლეხობა იცნობს სერაფიონს და სერაფიონი—გლეხობას! თუ ამ გარემოებას იმასაც დაუმატებთ, რომ იგი კომუნისტია 1913 წლიდან და იმ დღიდან დღემდე პატრიკეთის თემში არც ერთი კონტრ-რევოლიუციონურ ვირთხას არ გაუვლია, რომ სერაფიონის კლანჭები არ ეგემოს—თქვენთვის გასაგები და ნაცნობი იქნება თუ რატომაა დღეს ეს დაწინაურებული გლეხი სამაზრო აღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე, აღმასკომისა და სამაზრო პარტკომის პრეზიდიუმის წევრი და სხვა.

სწორეთ მასთან მქონდა მცირე ინტერვიუ.

— როგორ ეგუებით ეხლანდელ თქვენს მოვალეობას?

— საქმე ბევრია, მაგრამ ენერგიაც არ შემცირებულა ჩემში. იურისტი არა ვარ, მაგრამ სამიწათმოქმედო კოდექსი ზეპირათ ვიცი—ოთხი წელია ამ დარგში ვმუშაობ, კოდექსზე არა ნაკლებ მეხმარება გამოცდილება და გლეხის ცხოვრების ახლო ცოდნა.



ამხ. სერაფიონ ნამჩევაძე

— თუ რა გაბეზრებთ განსაკუთრებით თავს?

— ყველაზე თავმომაბეზრებელია „კულაკების“ და ყოფილ მემამულეების საჩივრები, მათ საჩივრებს ვერ აუვა ადამიანი, და ერთი მაინც ღირდეს ყურადღებათ? ხომ ხედავთ რამდენი ქაღალდია (და მიმითითა საწერ მაგიდაზე დაწყობილ ქაღალდებზე)—ეს ყველა თითქმის საჩივრებია და თხოვნები—ცოტა რამ მაინც დაგვიბრუნეთ ზედმეტი ჩამორთმეული მამულიდანო, ვინ დაუბრუნებს მემამულეს ზედმეტ მიწას, როდესაც გლეხებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ საკმაო მიწა.

— ტყიბულის რაიონი გამონაკლისს ხომ არ შეადგენს, თუ სხვაგანაცაა მოსალოდნელი ასეთი რამ?

— მე სულ რამდენიმე თვეა, რაც ამ ადგილზე დავინიშნე, მაზრის ერთი ნაწილი შემოვლილი მაქვს, მაგრამ კიდევაა შემოსავლელი, არ ვიცი, სხვაგან როგორაა საქმე, ხოლო ისე კი მაქვს კანტი-კუნტი ცნობები, რომ ზოგიერთ სხვა რაიონშიაც უნდა ჰქონდეს ადგილი მიწების მიმალვას. ყოველ შემთხვევაში, თუ ასეთი რამ იქნა, ეს ჩვენ არ გამოგვეპარება.

ოღონდაც არ გამოეპარება სერაფიონს,—და არა ერთ სერაფიონს—ათასს სერაფიონს, მთელს გლეხურ ღარიბ მასას.

ზ. რიონიძე.

# ქუთაისის ქრონიკა

### პურის ფასი

ამ ერთი თვის წინად ქუთაისში საგრძნობი შეიქნა ფქვილის სიმცირე, რამაც გამოიწვია, ერთის მხრით, პურის ფასის აწევა და მეორეს მხრით—მისი ხარისხის გაუარესება. ასე, მაგალითად, თუ წინად პირველი ხარისხის პური გირვანქა 8—9 კაპეიკად იყიდებოდა, ახლა მეორე ხარისხის პურის ფასმა 9—10 კაპეიკამდი აიწია (ფურნეში). მაგრამ ადგილობრივ მუშკოოპის „კოოპერაცია“-ს მიერ მიღებულმა ზომებმა სასურველი ნაყოფი გამოიღო და საქმე გამოაკეთა. მუშკოოპმა თითქმის სავსებით ჩაიგდო ხელში ფქვილის ვაჭრობის საქმე. ის კერძო მეპურეებს ნისიად აძლევს ფქვილს თითო კვირის ვადით შემდეგი პირობით: პური უნდა იყიდებოდეს ქუთაისის ერთიანი მუშკოოპის „კოოპერაცია“-ს სახელით იმ ხარისხისა და იმ ფასად, როგორც თვით „კოოპერაცია“-ს სავაჭროებში გაიყიდება. ამგვარად უკვე 87 მეპურე შეეკრა პირობით მუშკოოპს „კოოპერაცია“-ს, რომლის სახელობის ახალი აბრები ამშვენებს მათ სავაჭროებს და, თქმა არ უნდა, მუშტარსაც იზიდავს.

პირველი ხარისხის პური იყიდება ამჟამად ფურნეში 9 კაპ. და თორნეში 10 კაპ. (კერძო მეპურეებთან, რომელთაც მუშკოოპს ფქვილი არ ეძლევათ გირვანქა 10—11 კაპ.).

### ამინდი

წვიმიანი და გრილი ამინდების შემდეგ ერთბაშად დაცხა და მიწაც გამოიგვალა, რაც ისედაც დაგვიანებულ ხვნა-თესვას ხელს უშლის.

### ფილაქნების შეკეთება

— კომუნალური მეურნეობის განყოფილება ამჟამად გაცხარებულ მუშაობას აწარმოებს ფილაქნების შესაკეთებლად. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ეს ფილაქნები (ცემენტით ნაგები) ზოგან ჩინებულათაა გაკეთებული, ზოგან კი სრულიად უვარგისი, ასე რომ წვიმიან დღეებში ზედ დიდი ტალახი დგება.

### კრედიტი დაწესებულებებს

თბილისის ქალაქის ბანკის ქუთაისის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა თავის ცენტრის წინაშე იმის შესახებ, რომ ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს გაუდიდდეთ სათამასუქო კრედიტი.

### პროცენტული ნორმების შეცვლა

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობის დადგენილების თანახმად, ამ ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ივნისის პირველი რიცხვიდან აქტიურ ოპერაციებზე შეამცირა დღემდე არსებული პროცენტული ნორმა, საშუალოდ 2 ნახევ. პროც-ით; პასიურ ოპერაციებზე კი, წინააღმდეგ, წარსულ მაისის პირველიდან გაადიდა ეს ნორმა საშუალოდ 1 პროცენტით. ეს დადგენილება ეხება მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

### ჭლექის სამდღიური

ჭლექის (ტუბერკულიოზის) სამდღიურის მომწყობი კომისია 3 ივნისიდან უკვე შეუდგა სათანადო სამზადისს. სამდღიური მოეწყობა 11, 12 და 13 ივნისს.

### სანიტარული ზომები

ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებით, სავაჭროების პატრონები ვალდებული არიან იქონიონ სუფთა ბლონდი (მარლი) ისეთი სურსათ-სანოვაგის დასაცავად, როგორიცაა: ხორცი, თევზი, კური, ყველი, ხილეულობა და სხვ.

სასურველია, ხსენებულმა განყოფილებამ სავალდებულო გახადოს ისიც, რომ სასაკლაოდან ხორცის მოსატან ტაჩკებს და აგრეთვე ქალაქიდან ნაგვის გასატან ურმებს გადაფარებული ჰქონდეთ ბრეზენტი.

ძველი ამხანაგი.

# წითელ ჯარში

## საზაფხულო სწავლება და მშრომელთა გასამხედროება

წითელ ჯარში საბანაკო პერიოდი წითელ არმიის ნაწილების მიერ სავსებით გამოყენებულ იყო ხოლმე კულტურული მუშაობისათვის გლეხობას შორის.

ნაწილები მართავდენ სოფლებში საღამო-წარმოდგენებს, ეწყობოდა ლექციები. ნაწილები უწევდენ დახმარებას სალიკვიდაციო სკოლებს, ქოხ-სამკითხველოებს და სხვა.

გლეხობის გასამხედროების საქმეს და სამხედრო ცოდნის გავრცელებას კი ჰქონდა მიქცეული ნაკლები ყურადღება.

წრეულს კი მთავარი ყურადღება საბანაკო პერიოდში მიქცეული ექნება გლეხობის გასამხედროებას, ამასთანავე უეჭველია, არ იქნება დავიწყებული კულტურული მუშაობის წარმოება სოფლად.

ბანაკად გასვლამდის ნაწილები ემზადებოდნენ ამ მუშაობისათვის. სწარმოებდა საუბრები, თუ როგორ უნდა იქნეს წარმოებული მუშაობა გასამხედროების დარგში, რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება და რა ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნეს გლეხობის დიდი რიცხვი.

წითელ არმიელთა მიერ დამუშავებულ იქნა სამხედრო კუთხეების მოწყობის გეგმა და შედგენილ იყო კუთხის მუშაობის კალენდარული ცხრილი. აგრეთვე წითელ არმიელებმა დააგროვეს მრავალი მასალა ახალი სამხედრო კუთხეების გასახსნელად.

როგორც სჩანს ბანაკად გასულ ნაწილებიდან მიღებულ ცნობებისაგან; გლეხობის გასამხედროების საქმე წარმატებით მიმდინარეობს. ნაწილები იტყობინებიან, რომ გლეხები დიდი ხალისით იძენენ სამხედრო ცოდნას, ეცნობიან წითელ არმიას, სწავლობენ სროლას. მეტად აინტერესებთ მათ ქიმიური ომის წარმოება.

სამხედრო კუთხეები მუშაობენ დამაკმაყოფილებლად და გლეხებიც დაუზარებლივ ესწრებიან მეცადინეობას.

„მანევრების და საველე მეცადინეობის დროს ხშირად გვიხდება დასვენება სოფლებში. გლეხობაში ჩვენი მისვლა ყოველთვის იწვევს სიხარულს. გვთავაზობენ საჭმელს, სასმელს. ამასთანავე გვეკითხებიან ჩვენ ცხოვრებაზე. უფრო კი აინტერესებს გლეხობას ომის საკითხი, გვთხოვენ დაწვრილებით გავაცნოთ მათ, თუ რა სურს ჩვენ მტრებს და რატომ არ გვაძლევენ მოსვენებას. გლეხებს აქვთ დიდი სურვილი შეისწავლონ სამხედრო საქმე. ჩვენც შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. ვუტოვებთ სამხედრო წიგნებს და გაზეთებს“— იწერება № ლეგიონის წითელ არმიელი.

ასეთივე შინაარსის წერილები მოდის სხვა ლეგიონებიდანაც.

საზაფხულო პერიოდი გამოყენებულ იქნება სამხედრო ცოდნის გასავრცელებლად და იმედია, რომ ის მიზანი, რომელიც აქვთ დასახული წითელ ჯარის ნაწილებს ამ დარგში; გლეხობის დახმარებით მიღწეულ იქნება.

ნ. ზ.

### საბანაკო სწავლება

(№ ქართ. მსრ. ლეგიონი)

მეორე კვირაა, რაც ჩვენი ლეგიონი გავიდა ბანაკად და შეუდგა საზაფხულო სწავლებას.

ბანაკად მისვლისას წითელ არმიელნი შეუდგნენ უპირველეს ყოვლის ბინების მოწყობას და კარვების დასუფთავებას.

წითელ არმიელნი დიდ ყურადღებას აქცევდნენ „ლენინის კარვების“ მოწყობას, ვინაიდან აქ უნდა გაატარონ მათ დასასვენებელი საათები. ასეულში ერთმანეთს ეკითხებოდნენ მუშაობაში. ეხლა გვაქვს უკვე ლამაზათ მორთული ლენინის კარვები და წითელ არმიელნი სიამოვნებით მიდიან იქ, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, მართავენ საუბრებს.

ლენინის კარვების შემდეგ, არმიელნი შეუდგნენ ბინების მოწყობას. აქაც დიდი მუყაითობა გამოიჩინეს მათ. შედეგათ მივიღეთ კარგათ მოწყობილი, სუფთა ბანაკი.

საზაფხულო მეცადინეობა ლეგიონში მიმდინარეობს ნორმალურად უკვე გვაბით კავშირი ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან და სოფლებთან. სწავლებაში დიდ ხალისს იჩენენ შემოდგომაზე გამოწვეულნი წითელ არმიელნი.

—ძმ.

### სტუმრად გლეხებთან

ახალწვეული წითელ არმიელნი მოუთმენლად ელოდნენ ბანაკად გასვლას, მათ პირველად უხდებოდათ ბანაკად გასვლა და ეკითხებოდნენ ძველ ნამსახურთ, თუ რა პირობებში მოუხდებოდათ ცხოვრება და რა სახის მუშაობა იქნებოდა შესასრულებელი ველად.

საინტერესო იყო მოგზაურობა გაწვევამდის წითელ არმიელნი მხიარულად გამოიყურებოდნენ. სიმღერით და ყიჟინით შეხვდნენ საზაფხულო ბინების დანახვას.

შესრულებულ იქნა თუ არა მუშაობა კარვების მოსაწყობად და დასასუფთავებლად, დაიწყო მეცადინეობა მინდვრად.

ჩატარებულ იქნა სამოსწავლო მანევრები, რომლის დროს წითელ არმიელებს უნდა გამოეყენებინათ ზამთარში შეთვისებული ცოდნა. მანევრებმა ნათელჰყო ის გარემოება, რომ საზამთრო სწავლებას არ ჩაუვლია მუქთად. ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული. მანევრების დამთავრების შემდეგ არმიელნი შეიკრიბნენ სოფელ №-ში, გლეხობამ მოიყარა თავი სასოფლო მოედანზე. გაიმართა საუბარი, გლეხებს აინტერესებდათ წითელ არმიელის ცხოვრება, თუ როგორ მეცადინეობენ ისინი, რას ასწავლიან, როგორია დამოკიდებულება მეთაურთა და წითელ არმიელთა შორის და მრავალი სხვა. ყველა საკითხზე უპასუხებდნენ თვით წითელ არმიელნი.

გლეხები შეეხნენ აგრეთვე ომის საკითხს. მეთაურებმა აუხსნეს მათ დღევანდელი მდგომარეობა, ესაუბრნენ აგრეთვე გასამხედროებაზე.

სტუმრობამ გლეხობასთან წითელ არმიელებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ლი.

# კატასტროფა ვერის გზატკეცილზე

## კატასტროფის ადგილზე

გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის მე-2 შესახვევში (ვერის ახალი გზატკეცილი), ბორანის ახლოს ჩამოინგრა უზარმაზარი კლდე, რომელმაც დაანგრია სახლი № 27; ზვავმა დაანგრია აგრეთვე გვერდით მდებარე აგურის სახლი, რომელიც ეხლა შენდებოდა.

სახლი № 27 ეკუთვნოდა ხარაზ **ბესარიონ ვაჩიბერიძეს** რომელიც კატასტროფის დროს სახლში არ ყოფილა. ნანგრევების ქვეშ მოყვენ ვაჩიბერიძის მეუღლე **ეფემია** 50 წლის და ახლად დაქორწინებული ქალიშვილი **მარიამ დავითაშვილისა** 22 წლის.

სახლი შესდგებოდა ორი ოთახისა და აივნისაგან. კატასტროფის დროს ეფემია აივანზე იყო, მისი ქალიშვილი მარიამი ოთახში იჯდა. კატასტროფის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდენ თბილისის ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ლადო სუხიშვილი**, კომუნალური განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. **ასრიევი**, ადმინისტრატიული განყოფილების გამგე და თბილისის მილიციის უფროსი ამხ. **ხმალაძე**, ცეცხლის მქრობელი რაზმის ბრანდმეისტერი ამხ. **ბერიძე**, ქალაქის ალმასკომის ინჟენერი **მუხარინსკი**, **ქურდიანი** და **ანდრონიკაშვილი**, გამომძიებელი ამხ. **იმედაშვილი**, პირველი რაიონის მილიციის უფროსი ამხ. **ვ. ჯაფარიძე** და სხვები.

სასწრაფოდ გამოძახებულმა ცეცხლის მქრობელმა რაზმმა და წითელარმიელთა ნაწილებმა დაიწყეს ნანგრევების გათხრა და ორნახევარი საათის მუშაობის შემდეგ სახლის სარდაფიდან ამოიყვანეს ცოცხალი ეფემია, რომელსაც მარცხენა ფეხი აქვს გადატეხილი წვივში.

ნანგრევების ქვეშ მოყოლილი მარიამ დავითაშვილისა დაიღუპა.

კატასტროფის ამბავი სწრაფად მოედო მთელ ქალაქს და უბედურების ადგილზე თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა, რომლითაც გაიჭედა ყველა ახლომახლო ქუჩები და გორაკები.

## საუბარი ამხ. ასრიევთან

გუშინვე ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა კომუნალური განყოფილების გამგის მოადგილეს ამხ. **ასრიევს** იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც მიღებული იქნება იმ რაიონების მცხოვრებთა დასაცავად, სადაც მოსალოდნელია ასეთი კატასტროფა.

— თბილისში არის რაიონები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არის ასეთი კატასტროფისაგან; ასეთია, მაგალითად, მთაწმინდა, ფეთხაინის რაიონი, მაიდანის ზემოთ მდებარე რაიონი და სხვა. მიღებულია ზომები იმ მცხოვრებთა გამოსასახლებლად, რომლებიც მეტად დაძველებულ სახლებში სცხოვრობენ.

რაც შეეხება დღევანდელ კატასტროფას, ალმასკომის მიერ სასწრაფოდ გამოყოფილი იქნება სპეციალური კომისია კატასტროფის მიზეზის გამოსარკვევად. ამას გარდა, გამოკვლეული იქნება ყველა რაიონები, სადაც მოსალოდნელია კლდეების ჩამონგრევა.

დღევანდელ კატასტროფას შეიძლება კიდევ მოჰყვეს უბედური შემთხვევა. ჩამოწოლილი კლდე შეიძლება კიდევ დაეშვას და წალეკოს გზატკეცილი და ახლომახლო სახლები. ამიტომ მიღებული იქნება ზომები ზვავის გასაწმენდათ.

## კატასტროფის შემდეგ

გუშინ ამხ. **ხმალაძის** განკარგულებით შეაჩერეს ყოველგვარი მოძრაობა ვერის ახალი გზატკეცილზე. ამას გარდა დაცლილი იქნა დანგრეული სახლის ახლო მდებარე შენობები.

დღეს სპეციალისტთა კომისია დაათვალიერებს ჩამოწოლილ კლდეს, გადაიღებს მის სურათს, რის შემდეგაც აფეთქებული იქნება კლდის მთელი ის ნაწილი, რომელიც ჩამონგრევით იმუქრება.



კატასტროფის ადგილზე

## როგორ მოხდა კატასტროფა

ბეს. ვაჩიბერიძის სახლი გაშენებული იყო გზის პირას მთის ძირში. კლდე ამ ადგილას მეტად დაქანებულია. ქალაქის ალმასკომის ინჟენრებს მიუქცევიათ ამ ადგილისათვის ყურადღება, და მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილების მიზნით გაუფრთხილებიათ ვაჩიბერიძის ოჯახი, რომ სხვა ადგილას გადასახლებულიყვნენ, მაგრამ მათ ეს არ შეუსრულებიათ.

კლდის ჩამოწოლა დაიწყო ჯერ კიდევ წინ დღით. ეს შეუნიშნავთ მეზობლებს და ურჩევიათ ვაჩიბერიძისათვის სხვაგან გადასახლებულიყო თავისი ოჯახით, მაგრამ მას ამისათვის არ მიუქცევია ყურადღება.

გუშინ დილით კლდის ნაწილი ისევ დაძრულა. ვაჩიბერიძის ცოლს ეფემიას უკვე მიუქცევია ამისათვის ყურადღება და ქმრის მოსვლას ელოდებოდა, რომ სახლის უკან ხის ლობე გაეკეთებია მოწვავებული ქვების შესაჩერებლად. მაგრამ ეს ვერ მოესწრო, რომ მოესწროთ კიდეც, ეს ვერაფერს უშველიდა, რადგან 700 კუბის მოცულობის კლდეს, რომელიც სამ საჟენზე მეტით ჩამოწვა, ვერაფერი ვერ შეაჩერებდა.

რამოდენიმე საათით ადრე კატასტროფამდე ვაჩიბერიძის ოჯახში სტუმრები ყოფილან. შემდეგ ნაწილი წასულა, სახლის აივანზე დარჩენილა ეფემია, მარიამი, ერთი ბავშვი და მეზობელი კაცი. ამ უკანასკნელს პირველად შეუნიშნავს კლდის მოწვავება, დაუვლია ბავშვისთვის ხელი და ქუჩაში გამოუყვანია. შემდეგ ისევ სახლში შესვლას აპირებდა მოხუცებული ქალის გამოსაყვანად, მაგრამ ველარ მოუსწრია. კლდე საშინელი სიძლიერით დაეჯახა სახლს და წალეკა იგი. დაჯახებისაგან ეფემია აივნიდან სარდაფში ჩავარდნილა; ამ გარემოებამ იხსნა იგი სიკვდილისაგან. მარიამს კი, რომელიც ამ დროს ოთახში იჯდა საკერავ მანქანასთან, ველარ გამოუსწრია გარეთ და მას სახლი თავზე დაენგრა.

პირველად კლდის ჩამონგრევა დაუნახავს მეორე ქართულ დივიზიის № საარტილერიო ლეგიონს, რომელიც სასწრაფოდ გაჩნდა კატასტროფის ადგილზე. ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსვლამდე გათხრა დაიწყეს წითელარმიელებმა. შემდეგ გამოძახებული იქნა ცეცხლის მქრობელი რაზმი და სასწრაფო დახმარების ავტომობილი.

## კატასტროფის მიზეზები

ნიკოლოზის სასაფლაოს ქვემოთ ვერის გზატკეცილთან კლდის ჩამონგრევის მიზეზების შესახებ პროფ. **ქურდიანმა** ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თბილისის მთელი რიგი ძველი უბნები კატასტროფისათვის ხელისშემწყობ პირობებს ქმნიან. დღევანდელ კატასტროფის მიზეზებად უეჭველად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩამონგრეულ კლდის თავზე სასაფლაოს მხრიდან ჟონავდა წვიმისა და სხვა წყალი. წვიმის გაჟონვას ხელს უწყობდა აგრეთვე თვითონ კლდის ფენების შემადგენლობა და სასაფლაოს ქვემოთ მდებარე მოედანი. ეს მოედანი წარმოადგენს საკმაო სივრცის ჩაღრმავებულ ადგილს და აქ თავს იყრიდა წვიმის წყალი, რომელიც თანდათანობით გადიოდა ნიადაგში.

კატასტროფის კონკრეტიული მიზეზი კი შემდეგია: წვიმის წყალი, რომელიც გაუჯდა კლდის მასას, ზამთარში გაყინული იქნებოდა. გაყინვით კი წყლის სიდიდე მატულობდა და ეს გამოიწვევდა კლდის დახეთქვას. ამგვარად კლდეში თავს იჩენდა ერთი, ან რამოდენიმე ნაპრალი, რომელიც კიდევ უფრო მოიმატებდა უკანასკნელი მიწისძვრების დროს.

მომავალში კატასტროფის მოსალოდნელობა დიდია აგრეთვე ციციშვილის დაღმართზე (მუხრანის ხიდის მახლობლათ). ამ დღეებში მუშაობას დაიწყებს ქალაქის ალმასკომის მიერ სპეციალურათ გამოყოფილი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს დაათვალიეროს ყველა საფრთხილო უბნები, როგორიც, მაგალ., დავითის მთის კალთები, ბოტანიკური ბაღის მიდამოები, ციციშვილის დაღმართი და სხ.

სხვათა შორის, დღის ჩვენს კომისიას, რომელშიაც შედიოდა ამხ. ასრიევი, ინჟ. ანდრონიკაშვილი, ინჟ. მუხარინსკი და მე გადასცეს, რომ ამ დღეებში კატასტროფის ახლოს ვილაცეებს უწარმოებიათ ლაღუმებით ქვების მომტვრევა; შესაძლებელია, რომ ამ გარემოებამ რამოდენიმეთ დააჩქარა კატასტროფის მოხდენა.

გარდა ამისა, დღის დილასვე დანგრეული სახლის მცხოვრებლები გაუფრთხილებიათ, რომ დაეცალათ ბინა. ვინაიდან კლდიდან შემჩნეული ყოფილა რამოდენიმე ქვის დაგროება.

## რკინისგზებზე

### ნიაღვარი

6 ივნისს სომხეთის რკინის გზაზე ადგილი ჰქონდა დიდ ნიაღვარს, რომელმაც ჩარეცხა ლიანდაგი ბამბაკ-კარაკლისის გადასარბენზე. მიღებული ზომებით გუშინ მოძრაობა აღადგინეს.

### ახალი კრედიტები

გზათა სახალხო კომისარიატმა ივნისის თვისათვის გაუხსნა ა.-კ. რკ. გზას კრედიტი 5.531.000 მანეთის რაოდენობით. აღნიშნული თანხიდან ხელფასზე დაიხარჯება 2.614.000 მანეთი.

### მოძრაობის მოსაწესრიგებლად

ა.-კ. რკ. გზის გამგეობამ გამოიმუშავა ახალი წესები რკ. გზაზე მგზავრთა მიმოსვლის მოსაწესრიგებლად, რომლის ძალით მოძრაობის დარგის რევიზორებს და განყოფილებათა უფროსებს ევალებათ ორგანიზაციული ხელმძღვანელობა გაუწიონ მგზავრების წესიერ მოთავსებას ვაგონებში.

### მუშების დაჯილდოვება

მ. წ. აპრილის ბოლო რიცხვებში მარტოთუბან-ბოსლევის გადასარბენზე ჩამოეშვა კლდის ზვავი, რომელმაც გააფუჭა რკ. გზის ლიანდაგი. ზვავს დაეჯახა ამ დროს მომავალი საქონლის მატარებელი, რასაც შედეგათ მოჰყვა ორთქლმავალისა და 2 ვაგონის გადავარდნა ლიანდაგიდან მდინარე ყვირილაში.

ამ დღეებში აღნიშნული საქმე გაარჩია მარცხებთან მებრძოლმა კომისიამ, რომელმაც ერთხმად აღნიშნა მემანქანე ამხ. **არაბიძის** და მის თანაშემწე—**ხარატიშვილის** თავგანწირული მოქმედება. უკანასკნელები შემთხვევის დროს არ დაიბნენ და იხმარეს ყოველგვარი ზომა მატარებლის შესაჩერებლად. ამას გარდა მატარებლის გადავარდნით მოსალოდნელი იყო ხანძრის გაჩენა, მაგრამ ზემოხსენებულმა მემანქანემ და მისმა თანაშემწემ გააქრეს ორთქლმავალზე ცეცხლი.

ასეთი თავგანწირულ მოქმედებისათვის ამხ. არაბიძეს და ხარატიშვილს გამოეცხადა მადლობა და მიეცათ ფულადი ჯილდო თვიური ჯამაგირების რაოდენობით.

ზვავმა მიაყენა გზას 8.371 მანეთის ზარალი.

## ბრძოლა ხულიგნობასთან

გუშინ ალმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში ხულიგნობასთან ბრძოლის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

ამ უკანასკნელ ხანებში მატულობს ხულიგნობის შემთხვევები. შემჩნეულია, რომ ხულიგნებმა სამოქმედო ასპარეზად გაიხადეს მუშათა კლუბები, კინო-თეატრები და სასწავლებლები.

ამის გამო ალმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ ცირკულიარი დაუგზავნა ყველა სამილიციო რაიონებს. ცირკულიარში აღნიშნულია ყველა ის ღონისძიებანი, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ხულიგნობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მუშათა კლუბებთან დაარსებულია განსაკუთრებული წრეები, რომლებიც დახმარებას გაუწევს ადმინისტრაციას ხულიგნობასთან ბრძოლაში.

ამჟამად თვითეული სამილიციო კომისარიატი ღებულობს სათანადო ზომებს ხულიგნობის ალმოსაფხვრელად. ამ მიზნით თვითეულ კომისარიატს მჭიდრო კავშირი აქვს კინო-თეატრებს და კლუბების ადმინისტრაციასთან. მილიციის უფუშემადგენლობათა მიერ ღამით სწარმოებს ყველა გასართობების დათვალიერება.

მუშათა კლუბებში დებოშის ჩამდენ პირთა გასამართლება ჩქარი ტემპით სწარმოებს.

ამჟამად ხულიგნები იგზავნება სისხლის სამართლის მილიციაში სარეგისტრაციოდ და შემდეგ კი—სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში.

## სანიტგამოფენა

ჯანმრთელობის კომისარიატმა დაავალა სოციალური ჰიგიენის მუზეუმს მოაწყოს სანიტარული განათლების ხასიათის გამოფენები თბილისის მთავარ ქუჩებზე.

გამოფენებზე ნაჩვენები იქნება დიაპოზიტივებით ყველა ის ავათმყოფობანი, რომელთაც ადგილი აქვს ამჟამად ქალაქში.

# ქრონიკა

### ამხ. კარინიანის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ამიერ - კავკასიის ცაკის სესიაზე დასასწრებლად სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. **კარინიანი.**

### საექიმო რაზმების გაგზავნა

ჯანსახკომის სანიტარულ - ეპიდემიურ განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს გაგზავნოს ვენერიულ სნეულებათა საექიმო რაზმები ბორჩალოსა და რაჭის მაზრებში. საექიმო რაზმებს დაევალებათ შეამოწმონ და შეისწავლონ ვენერიულ სნეულებათა გავრცელების პირობები და მიზეზები ორივე მაზრის მოსახლეობაში.

ბორჩალოს მაზრაში საექიმო რაზმი ჩამოივლის აგრეთვე მომთაბარეობის რაიონებსაც.

### თბილისის ალმასკომში

◆ **ზაჭესი** გადაყვანილი იქნა სამეურნეო ანგარიშზე.

— **საჩვენებელი გასამართლება.** თბ. ალმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა იუსტიციის კომისარიატის წინაშე, რათა მცხეთაში საქონლის აცრით დახოცვის საქმეში დამნაშავენი გასამართლებულნი იქნენ ადგილობრივ.

◆ **პოლიტკატორღელთა საზ-ბას** თბ. ალმასკომმა გადასცა პლეხანოვის პრ., № 181, მდებარე სახლი.

◆ **სახლების ჩამორთმევა.** ალმასკომის დადგენილებით, იმ სახლის პატრონებს, რომლებიც სახლებს არ შეაკეთებენ საჭიროებისამებრ, ჩამოერთმევათ სახლები უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით. სახლებს შეაკეთებს თვითონ ალმასკომი.

◆ **წითელარმიელებს და უმცროს მეთაურებს** ტრამვაით მგზავრობის ბილეთის საფასურათ გადახდებათ მხოლოდ 5 კაპ. მიუხედავათ მანძილისა.

◆ **ღამის თავშესაფარის ასაგებათ** ალმასკომმა გადასდო 120.000 მანეთი.

◆ **სახლის შეკეთება.** სადგურის ქუჩაზე მდებარე სამხედრო კომისარიატის სახლის შესაკეთებლად გადაიდო 4.488 მანეთი.

### მიწათმოქმედების კომისარიატში

◆ **ღვინის გატანა.** სახ. მამულების ტრესტმა ვლადივოსტოკში გაგზავნა 100 ათასი ბოთლი ღვინო.

◆ **აბრეშუმის ჭიის სეზონური გამოზრდა,** რომელიც ამჟამად სწარმოებს მაზრებში, წარმატებით მიმდინარეობს.

◆ **ექსკურსია.** თბ. მეაბრეშუმეობის ცენტრ. სადგურთან არსებულ მეაბრეშუმეობის კურსების მსმენელთა ექსკურსია ამ დღეებში გაემგზავრება მეაბრეშუმეობის რაიონებში.

### შრ. სახ. კომისარიატში

◆ **სასეზონო მუშაობა.** ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა სასოფლო-სამეურნეო დარგში სეზონური სამუშაოების სია.

◆ **დაზღვევა.** შრ. კომ. შეუდგა პრაქტიკანტ სტუდენტების დაზღვევის გატარებას ცხოვრებაში.

◆ **უმუშევრობასთან ბრძოლა.** მთელ საქართველოში უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად წელს საკავშირო თანხებიდან გადადებულია 215.000 მანეთი.

◆ **საზოგადო სამუშაოები.** თბ. შრომის ბირჟა თბ. ალმასკომთან ერთად ადგენს საზოგადო სამუშაოების მოწყობის გეგმას ქ. თბილისში და თბ. მაზრაში.

◆ **შრომის დაცვა.** შრ. კომისარიატმა დაამთავრა ყველა წარმოება-დაწესებულებებთან ახალი კოლხელშეკრულების დადება.

### სას.-სამ. ბანკში

◆ **ღარიბ გლეხებს** შორის სესხის სახით გასანაწილებლად სას.-სამ. ბანკმა გადასდო 275.000 მანეთი.

◆ **ლიკვიდაციის შეჩერება.** ა.-კ. სას.-სამ. ბანკის დადგენილებით შეჩერებული იქნა საქ. სას.-სამ. ბანკის სიღნაღის განყოფილების ლიკვიდაცია.

### სხვადასხვა

◆ **მასწავლებელთა საყურადღებოთ.** იმ პირთათვის, რომელთაც სურს მიიღოს მასწავლებლის ადგილი სკოლებში, ალმასკომის განათლების განყოფილების მიერ დამზადებულია განცხადების ფურცელი, რომლის მიღება შეუძლიათ ყოველ მსურველს პირადი მაგიდის გამგესთან.

◆ **ეკონომიური თათბირის სხდომა.** ოთხშაბათს, 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში შესდგება ეკონომიურ თათბირის სხდომა.

სასურველია ყველა თანამშრომელთა დასწრება.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო გამომცემლობა „შრომა"-ს მიერ ახლად გამოცემული შემდეგი წიგნები: **კარლო კალაძე**—„ძახილი აღმოსავლეთის", **ქ. ლომთათიძე**—„1 მაისი", **პ. მ. საყვარელიძე**—„ჩინეთის რევოლიუცია და გომინდანი", **ნიკო ლორთქიფანიძე**—„მრისხანე ბატონი", **კარლო კალაძე**—„ქურდი", **კონსტ. ლორთქიფანიძე**—„ფოტოგრაფი".

◆ **იბეჭდება** და ამ დღეებში გამოვა: ს. ბ. ჩომახიძის „აბრეშუმის პარკის ამოხვევის ტეხნიკა". გამოცემა ს. მ. ჟ. ს. „საქართველოს აბრეშუმი"—ტრესტისა.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ფოთიდან—ბაღდასაროვს, ერევანიდან—კულულაშვილს, განჯიდან — ტუშიშვილს.

## შემთხვევები

### მკვლელობა ტყეში

27 მაისს სოფ. მამკოდიდან (ავჭალის სამილიციო რაიონი) ტყეში ფიჩხის ჩამოსატანად ურმებით წასულან იმავე სოფლის მცხოვრებნი გიორგი აფციაური და სანდრო ქონიაშვილი, რომლებიც არ დაბრუნებულან სახლში. 1 ივნისს საძებრათ გაემგზავრენ ნათესავები. აფციაური და ქონიაშვილი უნახავთ ტყეში მოკლულნი. კვლევა-ძიება სწარმოებს.

◆ **თავის მოწამვლა.** 6 ივნისს ლენინის ქ., № 10, გიორგი ზაქარიასძე გამზრდელიშვილმა რომანიულ ნიადაგზე მოიწამლა თავი.

◆ **ქურდი ქალი.** 6 ივნისს დააპატიმრეს სოფიო მარტიროსის ასული მაგუზოვა, რომელსაც ბრალდება გაიანე მირზოევის ბინიდან 200 მ. ნივთების მოპარვა.

◆ **ბავშვის დაკარგვა.** 6 ივნისს ალექსანდრე ზვიადაძემ განუცხადა მილიციას, რომ 2 ივნისს სახლიდან გავიდა მისი 15 წლის შვილი ვალერიანი და დღემდე არ დაბრუნებულა.

◆ **მცირეწლოვანი დამნაშავე.** 6 ივნისს ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს მცირეწლოვანი ოგანეზ ვართანიანცი.

◆ **სხვადასხვა ქურდობისათვის** ამავე დღეს შეიპყრეს ანდრია ვასილისძე ივანოვი.

◆ **კამეჩების ქურდი.** მოქ. გუსეინ ალი-ოღლის სამი სული კამეჩის მოპარვისათვის დააპატიმრეს მამედ-ასან-ოღლი.

◆ **ცხენის მოპარვა.** 6 ივნისს საბურთალოზე ნიკოლოზ სისაურს ეზოიდან მოპარეს ცხენი.

◆ ამავე დღეს რიყის ქ. 91 გაქურდეს პავლენა კენიკის ბინა.

◆ რკ. გზის გადაღმა გაქურდეს ვალოდია ზატიაშვილის ბინა.

◆ შტაბის ქ. 2 გაქურდეს დორა დახელიას ბინა.

◆ **დამხრჩვალ ქალის გვამის პოვნა.** ქუთაისში, ნარსიას წისქვილთან იპოვნეს დამხრჩვალი ქალის გვამი, რომელიც აღმოჩნდა ნინა ზაქარაიას ქალი. ირკვევა, რომ ქალი გაუპატიურებიათ, რისთვისაც მას თავი დაუხრჩვია. საქმე გადაეცა გამომძიებელს, ეჭვით დააპატიმრეს აკაკი რუხაძე და ივანე ვაჭარაძე.

## სასამართლო

### ოჯახური დრამა

„მომწონს ია, მომწონს ვარდი, მე ლამაზში გადავარდი", ასე შემოიმღერებდა მოსე **ციციაშვილის** ცოლი ეთერ მ—ლი ღამ-ღამობით თავის სახლში და მედიდურად გადახედავდა თავის ქმარს.

— შენ მართლა გადავარდნილი ხარ, ისე უხშირე ღამ-ღამობით ხეტიალს, ისე გავიწყდება შენი ქმარ-შვილი,—ბრაზმორეული შესჩივლებდა ცოლს ციციშვილი.

ეთერ ჩაუდგებოდა ქმარს „ოპოზიციაში" და თავგამოდებით იცავდა თავის „აზრებს". იყო გამართული მთელი „დისკუსია", რომელიც ზოგჯერ გათენებამდე გრძელდებოდა. გარდა ამისა, ცოლი ხშირად ეუბნებოდა ქმარს:

— „მე ნასწავლი ქალი ვარ და ასე გაჭირვებულად ცხოვრება არ შემიძლია".

თურმე ეთერს სხვანაირი ციებ-ცხელება ჰქონდა. მას ალაპარაკებდა **ილია ნამთალაშვილის** ეშხი. უკვე საქმე მოჭახრაკებული ჰქონდა და ის იყო უნდა შეუღლებულიყვნენ, მაგრამ ეთერის ქმარმა ისეთი ამბები ასტეხა, რომ ეთერმა ხმა ჩაიკმინდა.

გავიდა დრო. ეთერმა დასტოვა ქმარი და გათხოვდა ნამთალაშვილზე.

ციციაშვილს ეთერი კიდევ უყვარდა. გაიგო მისი მეტოქის ვინაობა. შეხვდა და ერთი უბედურობა დაიწია:

— შენ, როგორ გაბედე, ხომ იცოდი, რომ ეთერ ჩემი ცოლი იყო.

— თქვენი იყო და ჩემი არის—უპასუხა ნამთალაშვილმა.

— თქვენ იცით ვისთან გაქვთ საქმე—მიუგო ციციშვილმა.

— შენ რას ბედავ, თუ იცი—ციციშვილმა ამოიღო რევოლვერი და მოკვლის განზრახვით დასტრა მოქ. ნამთალაშვილი.

მიღებული ჭრილობისაგან **ნამთალაშვილი** განიკურნა.

ციციშვილი პასუხისგებაში მისცეს. საქმე მალე გაირჩევა სასამართლოში.

### ბ. კემხიევის თავგადასავალი

ბადალ კემხიევი სცხოვრობდა კალინინის ქუჩა, № 3-ში. მის მეზობლათ სცხოვრობდა მოქ. არტაშ **მელქუმოვი** თავისი ცოლით.

კემხიევი დაუახლოვდა მელქუმოვის ცოლს **ჟენიას,** „აუხსნა სიყვარული" და აღუთქვა მას ცოლად შერთვა.

ეს ამბავი გაიგო მელქუმოვმა და აუკრძალა მას კემხიევთან სიარული. ამით შეურაცყოფილი დარჩა კემხიევი და ერთ დღეს მიუხვდა სახლში მელქუმოვს და რევოლვერით თავი გაუტეხა. საგამომძიებლო ორგანოს წარმომადგენლის მოსვლის დროს, მან დამალა რევოლვერი და განუცხადა მათ, რომ მელქუმოვმა მას სილა გააწნა. კემხიევი სიკვდილით დაემუქრა მელქუმოვს იმ შემთხვევაში, თუ ის იტყოდა, რომ ჭრილობა მიყენებულია მის მიერ. ამის გამო მელქუმოვი შეშინდა და შეურიგდა კემხიევს.

ბოლოს კემხიევმა განაახლა მელქუმოვის ოჯახში სიარული და დაიმსახურა ახალგაზრდა ქალის ეჟენიას თანაგრძნობა. ეს უკანასკნელი გაეყარა ქმარს და ცოლად გაჰყვა კემხიევს; მაგრამ ისინი ერთმანეთის ხასიათს ვერ შეეწყვენ და მალე გაეყარენ. ქალი საცხოვრებლად წავიდა დედასთან.

კემხიევი ვერ ისვენებდა. იგი რამოდენიმეჯერ თავს დაესხა ბინაზე ქალის დედას და ეუბნებოდა მას:

— „უმჯობესია შენი ქალიშვილი შემირიგდეს, თორემ ორთავეს მოგკლავთ".

ცოვიანოვას ქალი გადასახლდა თბილისიდან. ამ ამბით გაბრაზებულმა კემხიევმა დანით დასჭრა ცოვიანოვას და **ბარბარე** და ბიძა **ივანე პოპოვი.**

ცოვიანოვას ქალი და პოპოვი მიღებული ჭრილობისაგან მალე განიკურნენ.

შემდეგ კემხიევი მიუხვდა ყოფილ ცოლის სიძის ძმას **ერმილე გაბაჩიევს.** ეს უკანასკნელი სახლში არ დახვდა. მან შემდეგი შინაარსის ბარათი დაუტოვა ერმილეს:

— „ამ საღამოს მოვალ და თუ სახლში დამხვდები, ხანჯალს ჩაგცემ გვერდში". მაგრამ ეს განზრახვა კემხიევმა სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგან დაპატიმრებული იქნა, საქმე ამ დღეებში გაირჩევა ოლქის სასამართლოში.

## რადიო-გადაცემა

### ოთხშაბათი, 8 ივნისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავი, მისალმებანი. (7—7—20).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სამხრეთ-ოსეთში, ლექცია ოსურ ენაზე (7—20—7—40).

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე (7—40—8).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია, რუსულ და ქართულ ენებზე (8—8—20).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8—20—8—40).

### ხუთშაბათი, 9 ივნისი

დასვენების დღეა, რადიო-გადაცემა არ იქნება.

## ხელოვნება

### რიადნოვას საღამო

ვოკალური წრის საჩვენებელ კონცერტს ნინა რიადნოვას ხელმძღვანელობით მიზნად ჰქონდა ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო ვოკალური ლიტერატურის ნაკლებად ცნობილი ნიმუშები, მათ ისტორიულ წარმოშობასა და განვითარებაში. მაგრამ ამ კონცერტზე შესრულებულ იქნა მე-16, მე-17, მე-18 და 19 საუკუნოების კომპოზიტორების ნაწარმოები. ზოგმა ამ ნაწარმოებმა დაჰკარგა თავისი საკონცერტო საესტრადო ინტერესი და წარმოადგენს ღირებულებას, როგორც კლასიკური მუსიკის ნიმუში; დანარჩენმა (ასეთია უმრავლესობა) დღემდე შეინარჩუნეს საკონცერტო ნაწარმოების ინტერესი.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ყველა ნომრები კარგად იქნა შესრულებული. ნინა რიადნოვამ თავისი მუსიკალური განათლებისა და არტისტული ნიჭის მეოხებით, სავსებით შეითვისა სიმღერის გამოჩენილი პროფესორის რიადნოვის სწავლების ვოკალური მეთოდები. შედეგებიც ნათლად სჩანს. რიადნოვას სტუდიის საღამო საუცხოვო იყო, როგორც პროგრამით, ისე შესრულებით. სჩანს დიდი სერიოზული მუშაობა. საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა მომღერალი ქალის **ჩერნიავსკაიას** (კამერული ვოკალური რეპერტუარის სამაგალითო შემსრულებელი) შესრულებამ, მუსიკალობამ, ფრაზიროვკამ და ხმის მშვენიერმა ტემბრმა. კარგი ხმა აქვს **კორსუნსკაიას, სოგომონოვას, გრიგორიევას** და აგრეთვე **ვლახოვიჩს** (მეცცო-სოპრანო). დიდ იმედებს იძლევა **ცქიტიშვილის** ხმის მუსიკალობა, იგი გრძნობს მუსიკას. მძლავრი ხმა აქვს **კოკაიას** (ბასი). მაგრამ მომღერალმა უნდა შეიმუშაოს ხმის ტეხნიკა და უნდა განავითაროს მუსიკალობა. განსაკუთრებით ლამაზი ხმა და დიდი მუსიკალობა აქვს **გეგიძეს** (სოპრანო). ლამაზი ხმა აქვს **მხიტარიანს. აღლაძეს** თანდათან ეტყობა წინსვლა, გაუმჯობესება, მისი ბარიტონი სულ უფრო და უფრო ლამაზი ტემბრის ხდება. დიდ იმედებს იძლევა ახალგაზრდა ტენორი **გავაშელი** (ლამაზი ლირიული ხმა). კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მომღერალი ქალის **დანელიასის** გამოსვლამ კონცერტზე. **ბარათაშვილი** კარგად ასრულებდა აკომპანიმენტებს.

პ. ბ.

### კინო - სეანსები ორშაბათობით აღარ გაიმართება

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრ. კომიტეტის დირექტივის თანახმად და კინო-მუშაკებისათვის დასვენების დღის დაწესების მიზნით, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობამ დაადგინა აკრძალოს კინო-სეანსები ორშაბათობით ყველა თეატრებში.

უკანასკნელი კინო - სეანსები გაიმართება ორშაბათს, 13 ივნისს.

### ხელოვნების ქრონიკა

◆ **ახალგაზრდა მუსიკოსთა საზ-ბა** მთელი ზაფხულის განმავლობაში კონცერტებს გამართავს ბორჯომში.

◆ **ახალი კომედია.** ს. ერთაწმინდელმა დასწერა ახალი კომედია „შენც ეს".

— **ლეო ფალიაშვილის კონცერტი.** 8 ივნისს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება კომპოზიტორ ლეო ფალიაშვილის კონცერტი.

◆ **სახალხო მუსიკალურ სასწავლებლებში** გამოცდები დამთავრდება 15 ივნისს.

◆ **სათეატრო ხელოვნების გასაცნობათ** მოსკოვში გაემგზავრა ხელოვნების განყოფილების გამგე ამხ. შ. დუდუჩავა.

◆ **მუშათა ახალი კლუბის საზეიმო გახსნა** მოხდება 11 ივნისს.

◆ **გამოფენა „26 ბაქოელი კომუნარის დახვრეტა"** ერთი კვირის განმავლობაში ინახულა 2500 მოქალაქემ.

◆ **მხატვარ ელენე ახვლედიანის** სურათების გამოფენა გაიხსნა სასტუმრო „ორიანტი"-ს დარბაზში.

◆ **ს. ჩავლეიშვილის იუბილე ბათომში.** 5 ივნისს ბათომში გაიმართა სახალხო მომღერალის ს. ჩავლეიშვილის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე.

◆ **ახალგაზრდა პიანისტი ან. სვანიძე** ამჟამად ბათომში მართავს კონცერტს.

◆ **თეატრ „გაიკის" ჩამოსვლა.** უახლოეს მომავალში თბილისში ჩამოვა ბაქოს სატირის თეატრი „გაიკა".

◆ **თეატრი—ნილაბი.** ივლისის პირველ რიცხვებში თბილისს ესტუმრება რეჟ. ვახ. მჭედლიშვილის სახელობის თეატრი—ნილაბი, რომელიც წარმოდგენებს გამართავს მუშათა კლუბებში.

◆ **სიმფონიური კონცერტი—ნაძალადევში.** ივნისის ნახევრიდან ნაძალადევის მუშათა კლუბში გაიმართება რამოდენიმე სიმფონიური კონცერტი.

◆ **მ. თარხნიშვილის კონცერტი.** დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება მ. თარხნიშვილის სახ. სიმღერების კონცერტი.

◆ **საოპერო წარმოდგენები.** 11 და 12 ივნისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება სახელმწიფო კონსერვატორიის მოწაფეთა გამოსაცდელი საოპერო წარმოდგენები.

◆ **ჟ. სიგეტის კონცერტი.** ხვალ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ცნობილ ვიოლინოზე დამკვრელ ჟოზეფ სიგეტის პირველი კონცერტი.

# ბიბლიოგრაფია

**„სოფლის კომუნისტი" №№ 4, 5. აპრილი—მაისი. ს. კ. პ. (ბ) ც. კ. ორგანო. თბილისი 1927 წელი. ფასი 20 კაპ.**

მიმდინარე წელში ჟურნალი „სოფლის კომუნისტი"-ს გამოცემის საქმეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყო. ჟურნალი სისტემატიურად გამოდის ყოველთვიურად. ჟურნალში უმთავრესად იბეჭდება მხოლოდ ორიგინალური წერილები. ამ წელში გამოსულ ხუთ ნომრებს შორის აღვნიშნავთ უკანასკნელად 4 და 5 ნომრებს. ჩვეულებრივად ჟურნალი შეიცავს მიმდინარე წელსაც შემდეგ განყოფილებებს: საერთო სახელმძღვანელო წერილები, სოფლის მეურნეობის და პარტიის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის საკითხები. საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა, ადგილობრივი მუშაობის პრაქტიკა და ბიბლიოგრაფია.

ჟურნალის უკანასკნელ ნომრებში მოთავსებულ წერილებს შორის ალსანიშნავია: ა. დოლიძის, დ. გვაზავას, ალ. პაპავას, გ. კვარაცხელიას, აგრ. ი. ქურდიანის და დ. ორაგველიძის წერილები.

ამხ. **ა. დოლიძე** ეხება ფასების დაკლების საკითხს და აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ყოველგვარი ცდებისა, ფასების დაკლება მაინც ძნელი გასატარებელი დარჩა, რადგანაც არის მთელი რიგი დაწესებულებები, რომლებიც გამდიდრების სურვილით არიან შეპყრობილნი, ისინი ფასების მომატებაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე დაკლებაზე, ამისათვის ავტორს, ფასების ნამდვილი დაკლების განსახორციელებლად, საჭიროდ მიაჩნია, გარდა ინსპექციის ზომებისა, თვით ფართო მასების ჩაბმა ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში.

ამხ. **დ. გვაზავა** ჟურნალის ორივე ნომრებში მოთავსებულ წერილებში იძლევა საქართველოს და საკავშირო ყრილობების ღონისძიებათა განმარტებას სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის პერსპექტივების შესახებ.

პირველ წერილში ამხ. გვაზავა, გადმოგვცემს რა ყრილობის დადგენილებებს, ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, შესაფერ დასკვნას იძლევა: ჩვენში „სრულიად არ არის ხელსაყრელი სიმინდის კულტურა, იქ, სადაც შეიძლება გავაშენოთ უფრო კულტურული მცენარეები"... აქედან: „ჩვენი მეურნეობის განვითარების გზა არის ინტენსიური კულტურისაკენ, ეს არის—უმაღლეს ტეხნიკურ მცენარეების მოშენების გზა".

ამ ნომრებშივე არის მოთავსებული **ალ. პაპავას** ორი წერილი საქართველოს და ამიერკავკასიის ყრილობათა შედეგების შესახებ და საერთაშორისო მდგომარეობაზე. წერილებში ვრცლად არის მოცემული აღნიშნული საკითხების გაშუქება.

უკანასკნელ ნომერში განსაკუთრებით ალსანიშნავია აგრ. **ი. ქურდიანის** წერილი საქართველოს ტეხნიკურ მცენარეების კულტურის შესახებ. ავტორი ეხება ჩვენში ტეხნიკურ მცენარეების გავრცელების საკითხს. ის ახასიათებს სამს ასეთ მცენარეს: ბამბას, თამბაქოს და კანაფს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ჩვენს ბიუჯეტში, მართალია, ამ მცენარეებს არ უჭირავს დიდი ადგილი, მაგრამ სათანადო ხელისშეწყობით მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ საქართველოს ეკონომიკაში, რადგანაც საბჭოთა კავშირში მორიგ ამოცანად არის დასმული „დააღწიოს თავი უცხოეთის ნედლეულ მასალას".

ჟურნალში ვრცლად არის მოცემული სოფლისათვის საჭირო წიგნების ბიბლიოგრაფიული დახასიათება და რამოდენიმე კორესპონდენციები ადგილობრივი ცხოვრების საკითხებზე. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალის ეს განყოფილება სუსტია. ასეთი ხასიათის ჟურნალი დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს ადგილობრივ პრაქტიკას და სოფლის მტკივნეულ საკითხების გაშუქებას, სოფლად მუშაობის თავისებურების მიხედვით. ჟურნალში ეს განყოფილება უფრო ვრცლად უნდა იყოს წარმოდგენილი. როგორც სჩანს, რედაქციასთან არა აქვს მტკიცე კავშირი ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკებს. აუცილებელია ამ ნაკლის გამოსწორება. მაზრის მუშაკები აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდენ ასეთი ხასიათის ჟურნალში.

გარეგნულად ჟურნალი კარგად არის გამოცემული, მხოლოდ ალსანიშნავია, კორექტურული შეცდომები, რაიც საკმაო უკანასკნელ ნომრებში.

ო. ჯ—ლი.

—:—

**აგრ. ნ. იაშვილი „ჩამორჩენილი მეურნის აგრონომიული გასამართლება"** პოლიტგანის მთავარ სამმართველოს გამოცემა. **თბილისი 1927. ფასი—60 კაპ.**

სოფლად აგრონომიულ ცოდნის გასავრცელებლად ახალი ხერხის გამოყენება—აგრონომიული გასამართლების სახით ახალი ცდაა. იგი ეწყობა ლიტერატურულ გასამართლების მზგავსად, სადაც ბრალდებულად გამოყვანილია ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა და აგრონომიული ძალების მონაწილეობით ხდება ამ ჩამორჩენილ მეურნეობის გასამართლება, მისი უფრო კულტურული, გაუმჯობესებულ მეურნეობასთან შედარებით. ასეთი საშუალებით ჩამორჩენილ მეურნეობის უარყოფითი მხარეებზე მითითება, აგრონომიულ ცოდნის მასსიურ მსჯელობის საგნად გადაქცევა და სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში მეცნიერების მდიდარ მიღწევებზე საუბარი, ჩვენს ჩამორჩენილ სოფლის მეურნეობის პირობებში, უსათუოდ ნაყოფიერი იქნება, ამას სარეცენზიო წიგნის ავტორიც აღნიშნავს, იმ ცდის შემდეგ, რომელიც მოხდენილ იქნა დუშეთის მაზრაში, სოფ. მუხრანში.

ავტორი ასეთი გასამართლების მოწყობის გასაადვილებლად იძლევა დაწვრილებით აღწერას აღნიშნულ გასამართლებისას. სოფ. მუხრანში გასამართლებულ იქნა გლეხი გ. მერაბიშვილი, მიწის ცუდად დამუშავების გამო, რომელით უმოსავლოთ დარჩა მთელი ოჯახი. სახალხო სასამართლომ მერაბიშვილს მიუსაჯა აგრონომიული ცოდნის შესაძენად კურსებზე გაგზავნა და საჭიროდ სცნო სოფლისათვის მანქანების მიწოდება, სამანქანო ამხანაგობის დაარსება და სხვა სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებელი საშუალებების გამონახვა. მსჯელობაში სოფლის მთელი გლეხობა იღებდა მონაწილეობას და მან ავტორის სიტყვით, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ასეთივე გასამართლება იქნა მოწყობილი საქართველოს სხვა ადგილებშიაც.

ავტორს ამ ფორმით აგრონომიულ ცოდნის გავრცელების მნიშვნელობის შესახებ მოყავს აგრონომ თ. კუპერმანის აზრი, რომ—აგრონომიული გასამართლება აერთიანებს კონტრასტების მეთოდს, რომელშიაც დაპირდაპირებულია კარგი და ჩამორჩენილი მეურნეობა, პრიმიტიულ წარმოდგენათა მეთოდს—გლეხობის მეურნეული ტრადიციის გამოაშკარავების საშუალება და განმეორების და თვალსაჩინოების მეთოდებს, რომელიც „უკეთეს შეერთებას წარმოადგენს აგრონომიული გასამართლება".

წიგნი უფრო შეასრულებდა თავის დანიშნულებას, რომ მეტად დატვირთული არ იყოს ვრცელი „შესავალით", „ბოლოსიტყვაობით", „წინასიტყვაობით", სუსტია ავტორის ენაც და ცუდი კორექტურის გამო, ზოგიერთი ადგილები სრულიად დამახინჯებულია.

ბ. პ—ძე.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 47

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

### საქართველოს ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსისათვის $169^1$ მუხ. დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს $169^1$ მუხ. შემდეგი შინარსისა:

$169^1$ ბოროტი განზრახვით თავის არიდება სასამართლოს მიერ შვილების შესანახავად გადაწყვეტილი თანხის გადახდისაგან, იმის დამიუხედავად, რომ გადამხდელს ამის შესაძლებლობა აქვს, **გამოიწვევს** —თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

მშობლების მიერ თავისი მცირეწლოვანი შვილების სრულიად უმწეოდ დატოვება, აგრეთვე შვილების აყოლება მათხოვრობისათვის გამოიწვევს—სოციალური დაცვის იმავე ღონისძიებას.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.**

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. მაისის 20
თბილისი—სასახლე

## დადგენილება № 48

### სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 27, 72, 90, 103, 105, მუხ., 130 მუხ. 1 შენიშვნისა, 138, 153; $182^1$; 185, 265 მუხ. 1 შენიშვნისა, 266, 297, 421, 424 და 425 მუხ. შეცვლის შესახებ**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 27, 72, 90, 103, 105, მუხ. 130 მუხ. 1 შენიშვნისა. 138, 153, $182^1$, 185, 265 მუხ. 265 მუხ. 1 შენიშვნისა. 266, 297, 421, 424 და 425 მუხ. რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 27 გარიგების დადება შეიძლება სიტყვიერად და წერილობით.

წერილობითი გარიგება შეიძლება იყოს: 1) მარტივი და 2) სანოტარო წესით დამოწმებული.

მუხ. 72. აღნაგობის უფლების ხელშეკრულება, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული.

მუხ. 90 გირავნობის ხელშეკრულება წერილობითი უნდა იყოს. შენობის და აღნაგობის უფლების დაგირავება, ბათილობის რიდით, დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით, შემდგომი რეგისტრაციით ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებაში. გირავნობის აქტის შინაარსს სანოტარო განყოფილება აცნობებს სათანადო კომუნალურ განყოფილებას. მოგირავნეს მიეცემა გირავნობის სიგელი.

**შენიშვნა 1.** სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოსთან, აგრეთვე შრომის არტელსა და კოოპერატივთან დადებული ყოველგვარი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად დამგირავებელს შეუძლიან ამ დაწესებულებასა და საწარმოს, გირავნობის აქტის მაგიერ, წარუდგინოს გირავნობის მოწმობა.

**შენიშვნა 2.** საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ბაირაღით მცურავი ზღვის სავაჭრო ნავჭურჭლის დაგირავების წესი ცალკეა განსაზღვრული (სრკ. კან. კრ. 1924 წ. მე-4 №-რი მუხ. 54).

მუხ. 103 გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემასთან ერთად ახალ კრედიტორზე გადადის გირავნობის უფლებაც. აღნაგობის უფლების ან შენობის დაგირავებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემა მოხდება გირავნობის აქტის გადაცემით, რასაც უნდა ჰქონდეს სანოტარო წესით დამოწმებული გადაცემის წარწერა და რაც უნდა ჩაიწეროს კომუნალური განყოფილების რეესტრში. ყველა სხვა შემთხვევაში მოთხოვნა გადაიცემა გირავნობის ხელშეკრულებაზე წარწერით და აგრეთვე დაგირავებული ქონების გადაცემით, როდესაც ასეთი გადაცემა საჭიროა გირავნობის უფლების წარმოშობისათვის. (მუხ. 92, 93).

გირავნობის უფლების გადაცემა უნდა ეცნობოს მოვალეს, ხოლო უკეთუ მოვალე და დამგირავებელი ერთი და იგივე პირი არ არის —დამგირავებელსაც.

მუხ. 105. შენობისა და აღნაგობის უფლების გირავნობის მოსპობა, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, აღინიშნება სანოტარო კონტორაში დასატოვებელ გარიგების ძირითად ცალზე და კომუნალური განყოფილების რეესტრში.

უკეთუ გირავნობა მოისპობა გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოსპობის გამო, მოგირავნემ მისთვის გადაცემული დაგირავებული ქონება უნდა დაუბრუნოს დამგირავებელს ან და გადასცეს შემდგომ მოგირავნეს პირველობის მიხედვით. (მუხ. 94).

**130 მუხლის 1 შენიშვნა.** როდესაც კანონით სავალდებულოა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება, ხელშეკრულება, უკვე თუ კანონით სხვა რამ არ არის დაწესებული, დადებულად ჩაითვლება მისი სანოტარო წესით დამოწმების დროიდან.

მუხ. 138. ათას მანეთზე მეტი თანხის ქონების უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულება (გაჩუქება), ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული.

მუხ. 153. სახელმწიფო ან კომუნალური საწარმოს დაქირავების ხელშეკრულება, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული. *

ყოველგვარი ქონების ერთ წელზე მეტი ვადით დაქირავების ხელშეკრულება წერილობითი უნდა იყოს იმ შედეგის რიდით, რაც აღნიშნულია 136 მუხლის შენიშვნაში.

სახელმწიფო და კომუნალური საწარმოს დაქირავების ხელშეკრულებას, ბათილობის რიდით, უნდა დაერთოს დაქირავებული ქონების დაწვრილებითი აღწერილობა.

მუხ. $182^1$ წინასწარი სანასყიდო სიგელის ე. ი. წინასწარი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მომავალში შენობის ნასყიდობის გარიგება უნდა დაიდოს ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული. არა უგვიანეს 6 თვისა წინასწარი სანასყიდო სიგელის დაწერიდან უნდა დაიდოს შენობის ნასყიდობის ხელშეკრულება ან ერთმა მხარემ უნდა აღძრას მეორე მხარის მიმართ სარჩელი ნასყიდობის გარიგების დადების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში წინასწარი სანასყიდო სიგელის მოქმედება მოისპობა.

მუხ. 185 შენობისა და აღნაგობის უფლების ნასყიდობა, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული და შემდეგ მას აუცილებლად რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებაში. ამ აქტების შინაარსს ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილება აცნობებს სათანადო კომუნალურ განყოფილებას.

მუხ. 265. უკეთუ მოქმედება შესრულებულ უნდა იქნეს მთავრობის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიმართ, რწმუნებულება, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც, განსაკუთრებული წესების თანახმად, რწმუნებულება შეიძლება სხვა ფორმისა იყოს.

**შენიშვნა 1.** რწმუნებულება ფულისა, ამანათისა და საერთოდ, ყოველგვარი საფოსტო კორესპონდენციის მიღებისათვის შეიძლება დაამოწმოს, სანოტარო ორგანოს გარდა, სახალხო მოსამართლემ, მილიციამ, თემის აღმასრულებელმა კომიტეტმა და სასოფლო საბჭომ, აგრეთვე იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა დაწესებულებამ თუ საწარმომ და სამხედრო ერთეულმა, სადაც საფოსტო კორესპონდენციის მიმღები მსახურობს.

მუხ. 266. რწმუნებულება ქონების გამგებლობისათვის, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული.

მუხ. 297. სრული ამხანაგობის ხელშეკრულება, ბათილობის რიდით, წერილობით უნდა დაიდოს და სანოტარო წესით იქნეს დამოწმებული.

მუხ. 421 ანდერძად ჩაითვლება სიკვდილის საშემთხვევოდ გაცემული წერილობითი განკარგულება, რომ ქონება მიეცეს 418 მუხლში აღნიშნულთა შორის ერთს ან რამდენსამე განსაზღვრულ პირს, ან განაწილებულ იქნეს იგი რამდენსამე ან ყველა ამ პირს შორის სხვა რამ წესით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია 420 მუხლში.

**შენიშვნა 1.** მოანდერძეს შეუძლიან თავისი ქონების კანონით დამკვიდრების უფლება მოუსპოს 418 მუხლში აღნიშნულ პირთა შორის ერთს, რამდენსამეს ან ყველას. პირველ ორ შემთხვევაში იმათი წილი, ვისაც დამკვიდრების უფლება მოესპო, განაწილდება დანარჩენ პირთა შორის, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში სამკვიდრო ქონება სახელმწიფოს ხელში გადავა.

**შენიშვნა 2.** მოანდერძეს უფლება აქვს დაუტოვოს ქონება ან ქონების ნაწილი კულტურულ, განმანათლებელ ან სხვა რამ, კანონის არასაწინააღმდეგო, საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო დაწესებულებას.

მუხ. 424. ანდერძი ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ, და, ბათილობის რიდით, წარდგენილ სახალხო ნოტარიუსს სანოტარო წესით დასამოწმებლად, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, სახალხო მოსამართლეს, იქ კი, სადაც მოსამართლეც არ იქნება, ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს.

უკეთუ მოანდერძემ წერა არ იცის ან მას არ შეუძლია ხელის მოწერა (ხელის ტკივილისა ან სხვა რამ მიზეზის გამო), მის მაგიერ, მისივე თხოვნით და იმ ორგანოს თანადასწრებით, რომელმაც ანდერძი უნდა დაამოწმოს, ანდერძს ხელს მოაწერს სხვა პირი.

ანდერძის ერთი ცალი ინახება იმ ორგანოსთან, რომელიც მას დაამოწმებს.

მუხ. 425. შემდეგში შედგენილი ანდერძით გაუქმდება წინად შედგენილი ანდერძი იმდენად, რამდენადაც წინანდელი ანდერძი არ შეიცავს ისეთ რამ განკარგულებას, რაც გათვალისწინებული არ არის მერმინდელ ანდერძში.

მოანდერძეს შეუძლიან წინანდელი ანდერძი გააუქმოს ახალი ანდერძის შეუდგენლადაც, ხოლო საამისოდ მან განსაკუთრებული განცხადება უნდა შეიტანოს ერთ-ერთ იმ ორგანოში, რომელიც აღნიშნულია 424 მუხლში.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.**

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. მაისის 20
თბილისი—სასახლე

# ნარევი

### კურორტი ცეცხლისმფრქვეველი მთის ნაპრალში

იტალიაში, [illegible] ([illegible]) არის დიდი ხნის წინათ ჩამქრალი ცეცხლისმფრქვეველი მთა. ამ ცეცხლისმფრქვეველი მთის ნაპრალში [illegible] წინათ მოაწყვეს [illegible]-კურორტი. ადგილი, სადაც კურორტია გაშენებული, ჯერ კიდევ უძველეს დროში იყო ცნობილი თავისი მინერალური წყაროების სამკურნალო თვისებებით. რომაელების დროს კურორტი განთქმული იყო, შემდეგ ის მივიწყებული იქნა. სხვა და სხვა წყაროების წყალის ტემპერატურა აქ მერყეობს 18-დან 105 გრადუსამდი. სამკურნალო ტალახიც ბლომათ მოიპოვება რაიონში. უძველესი დროიდან იქ არის დარჩენილი სამი შენობა, მოთავსებული ნაპრალის ფსკერზე.

### ქაღალდის ბოთლები რძისათვის

ლონდონის ერთ-ერთმა დიდმა სარძეო ფერმამ ხმარებაში შემოიღო ნახევრად გამჭვირვალე სქელი (პერგამენტის) ქაღალდიდან დამზადებული ბოთლები. რძით გავსებულ ქაღალდის ბოთლს კონუსის ფორმა აქვს. ეს ბოთლები დიდ მეტოქეობას უწევენ შუშის ბოთლებს, რადგან არ ტყდებიან და გარდა ამისა მათი დამზადება მეტად იაფი ჯდება.

### გოდდარდის მაშხალის დაკარგვა

გოდდარდის მაშხალა, რომელიც უნდა გაესროლათ მთვარეზე, დაიღუპა. მიმდინარე წლის დასაწყისისათვის მაშხალა სავსებით დამთავრებული იყო. ყველა ცნობები, რომ მაშხალასთან ერთად მთვარეზე უნდა „გაესროლენ" ადამიანები, ზღაპარი აღმოჩნდა. გაფრენა დანიშნული იყო მაისის დასაწყისისათვის, მაგრამ 16 მარტს, ფარდული, სადაც მაშხალა იყო მოთავსებული, აფეთქდა და მაშხალაც დაიღუპა. აფეთქებამ იმსხვერპლა რამდენიმე კაცი. ფიქრობენ, რომ მაშხალა განზრახ ააფეთქეს, რადგან მან ოდნავადაც ვერ გაამართლა მასზე დახარჯული დიდძალი თანხები. ასე დასამარდა მთვარეზე გაფრენის კიდევ ერთი პროექტი.

### ახალი სახის სპორტი

ინგლისში და ამერიკაში გავრცელდა ახალი სახის სპორტი, რომელიც მართალია, არც თუ ისე უხიფათოა, მაგრამ მაინც დიდ ინტერესს იწვევს.

ადამიანი მიბმულია პატარა საჰაერო ბურთზე და ამ რიგად მისი (ადამიანის) წონა შემცირებულია 5-7 გირვანქამდი. ასე გამსუბუქებული ადამიანი ახერხებს 100 მეტრი ნახტომის გაკეთებას 12 მეტრის სიმაღლეზე. თუ ქარი ხელს უწყობს, შეიძლება ერთი ვერსი ნახტომის გაკეთება.

# პარტიული კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მე-3-ე რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 8 ივნისს, საღამოს 5 საათზე, **შესდგება მე-3-ე რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე **რაიკომის** საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიკომის შენობაში **შესდგება მე-3 რაიონის პოლიტ-სკოლების მსმენელთა კონფერენცია.**

დღის წესრიგი: 1) 1926—27 წლის პოლიტსწავლის შედეგები და პერსპექტივები 1927—28 წლისათვის.

2) პარტიულების საზაფხულო მუშაობა.

სავალდებულოა კონფერენციის ყველა დელეგატების, უჯრედთა მდივნების და აგიტპროპორგანიზატორების დასწრება.

— დღეს, 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის შენობაში **შესდგება ქალაქის რაიკომის ყველა უჯრედების ქალთა ორგანიზატორების თათბირი.**

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **არსენალის რაიკომის** მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 8 ივნისს, საღამოს, 6 საათზე, რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის კაბინეტში მოწვეულია ყველა ტიპის პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენცია.

— **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია** სთხოვს ამხ. ალექსანდრე ბაიკოს, ლონგინოზ ჯამატავს, კამილია ჩაპლინსკაიას, გერასიმე ბალდასაროვს, იოსებ კარამოვს და თედორე კალაშნიკოვს გამოცხადდენ 8 ივნისს, დილის 8 საათზე, ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული, ოთახი 12).

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია** წინადადებას აძლევს ამხ. ივანე კაპანაძეს, ანდრო ბუციკოვს და ალექსი ლოგინოვს გამოცხადდენ დღეს, 8 ივნისს, დილის 8 საათზე, ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპექტი 24, მე-3-ე სართული, ოთახი 12).

— სახ. უნივ. პედაგოგიური ფაკ. კომ-უჯრედის და კომ-კავშირის ბიუროები იტყობინებიან, რომ პარტიის და კომკავშირის ყველა წევრები და კანდიდატები ვალდებული არიან გამოცხადდენ სასწრაფოთ 8 და 9 ივნისს, საღამოს 5 საათ.—8 საათამდე კომ-უჯრედის ბიუროში (ადგილკომის ოთახში).

სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმი გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ტრაღიკულად დაიღუპა ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის უფროსი ასისტენტი ექიმი

ნიკო ორლოვსკი

ცხედარს თბილისში ჩამოასვენებენ დღეს, დილით 8 ს. 20 წ., სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, საღამოს 6 ნახ. საათზე, რესპუბლიკის (ყოფ. მიხეილის საავადმყ.) პროზექტურაში.
დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1 (დ)

ღრმად დამწუხრებული მამა ევგენი (კოკი) აპოლონის-ძე მიქელაძე მეუღლით და შვილებით, გაუბედურებული გამზრდელი ბებია ეფემია მიქელაძისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ უდროვოდ გარდაიცვალა დაბა კულაშში მათი საყვარელი 19 წლის შვილი

გიორგი (ქორქიკა)
მიქელაძე

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ საღამოს, დაკრძალვა სამოქალაქო წესით მოხდება დაბა კულაშში ხუთშაბათს, 9 ივნისს, დილის 12 საათზე
1—1 2956

აპოლლო
ტელ. 7—61.

არფასტო
ტელ. № 19—22.

სოლეი
ტელ. 20—44.

დარბაზი
ტელ. 14—03.
0—20 ნ. 1094

ახალი ამერიკული სურათი
„ბარიყული გემი"
ჟენი ჯიუგოს მონაწილეობით.

კონვეი ტირლი და ელენ გამერშტეინი
საუკეთესო სურათში
„ქალი ბურუსიდან"

მეორე კვირა გრძელდება
„სამთა სიყვარული"
რეჟ. ა. როომი. ბავშვები არ დაიშვება.

პირველად თბილისში
„ჯიმის ცირკი"
პროგრამის გარეშე „კაზოარი და ავაზაკები"

ანონსი: მალე საუკეთესო სურათი: „მისი უდიდესებულობის სოლისტკა".

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ეგლის მახლობლა დ. 25—21

**დაჰკარგა** სალექციო წიგნაკი № 994 და საბჭოთა მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 7246, ლიდა მათეს ასული ცაგარეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2958

**დაჰკარგა** სამხედრო სააღრიცხვო ბარათი, გაცემული ამბროლაურის რაიონიდან ქრისტეფორე ნესტორის-ძე ჰიჰინაძის სახელზე, ჩ. გ. 2957

**დაჰკარგა** მოწმობა № 856 გორის სასტატო სემინარიის დამთავრების შესახებ, მამალაძეს სახელზე, ჩ. გ. 2952

**დაჰკარგა** ლომბარდის ქვითარი № 57739, ჩ. გ. 2953

**დაჰკარგა** ცოფიანობისაგან სამკურნალო მოწმობა № 482, გაცემული თბილისის პასტერის ინსტიტუტის მიერ და მიმართვა № 486, თელავის სამაზრო ალმასკომისადმი ცხენის ცოფიანობის გამოკვლევის შესახებ რაჟდენ იასონის-ძე დავითაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2964

**დაჰკარგა** სამხედრო სააღრიცხვო ბარათი აბრამ შაბათას-ძე კოსტანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2955

**დაჰკარგა** მეტრიკული ამონაწერი ვახტანგ ნუცუბიძეს სახელზე, ჩ. გ. 2959

**დაკარგულია** დაბადების მეტრიკა ივანე ზინობის-ძის დედანიშვილის სახელზე, № 1458, ჩ. გ. 2960

**დაჰკარგა** ავტომობილის რეგისტრაციის წიგნაკი № 1364, ალექსანდრე ზულიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2961

**დაჰკარგა** პროფკავშირის საწევრო წიგნაკი, გაცემული შორაპნის მაზრის განათლების კავშირის მიერ შალვა თალაკვაძის სახელზე, ჩ. გ. 2962

**დაჰკარგა** მეტრიკული ამონაწერი № 2295, ნიკოლოზ სპირიდონის-ძე კვინტრაძის სახელზე, ჩ. გ. 2963

**დაჰკარგა** საბჭოთა მუშაკების კავშირის საწევრო წიგნაკი № 12295 და კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 17932, გაცემული გრიშა პოლიკარპისძე რატიანის სახელზე, ჩ. გ. 2964

**დაჰკარგა** ს. კ. პ. სიღნაღის სამკომიდან მოცემული საბუთი № 500868 თედო ლობჟანიძის სახელზე, ჩ. გ. 1292

**დაჰკარგა** საშვი („პროპუსკი") № 2145 გაცემული მე-2-რე უბნის სალიანდაგო ნაწილის უფროსის მიერ კოსტა გობეჩიას სახელზე, ჩ. გ. 1291

**დაჰკარგა** საშვი („პროპუსკი") № 2144 გაცემული მე-2-რე უბნის სალიანდაგო ნაწილის უფროსის მიერ ლუკა გიგოს-ძე კაჭარავას სახელზე, ჩ. გ. 1291

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 64.